



N1-19

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ქურნალი



I ი ა ნ ვ ა ს ი I

1913 წ.



N1-1028

ჩელება სისახს: წლიურ ხელის მომწერთათვის დაპირებული სურათ
განსვენებულის **საკოგ გოგიგაშვილის** სააფდოომოდ გაეგზავნება.
ხელის მომწერლებს, ვისაც წლიური ფასი სრულად ექნება შემოტკიც
ლი; ამიტომ რედაქცია სთხოვს ხელის მომწერთ მარტის ოცამდი
სრულად გამოგზავნონ ჟურნალის ფასი, რადგანაც სურათი დაიგებდებ
იმდენი, რამდენიც წლიური ხელის მომწერნი აღმოჩნდებან.

შინაგანი: 1) რედაქციისაგან. 2) საზოგადოებრივი აზრები მე-XIX საუკუნის
სიცუა-კზბმულ მწერლების — ს. დადიანი. 3) ფილოსოფიური მსოფლი-მედვედია—
გიორგი მეფარიშვილი. 4) სქესობრივი საკითხი (წერილი დსტან) — იგ. გომართელი
5) ერთი ძირითადი მიზეზი თვათმეცვლელისა — გრ. გრძელიშვილი. 6) ბენებრივი
დაზრდა (შროო. გურჯაოტრი) — ლ. ბოცვაძე. 7) ნიკოლოზ ბარათაშვილი — ილ. ვერაძე
8) გვისარ იმპერატორი (გერმანულიდან, ტრაგედია გრხრად ფასკებს) — ალ. შანშიაშვილი
და მ. შევარდნაძე. 9) იტია... იტია... — ილ. თურდოსპირელი. 10. დღე
მეც ჭარობ — ი. მჭედლიშვილი. 11) მშვიდობით — გელა. 12) Requiescat in pace—
გიორგი ჭარობი — ი. ბაირონიშვილი. 13) ნედილოვის ცის ქვეშ — დ. თურდოსპირელი. 14) იდუმალა ჩა
ბ. ტაბიძე. 15) ბენება და სამყურსალო მეცნიერება — ილ. ალხაზიშვილ
გიორგი — ს. ბაირონიშვილი. 16) შიხაური მიმხიალება — დ. ლუმბაძე. 17) ბიბლიოგრაფია — კახაბერი. 18) განცხადე
ბანი. 19) დამატება ქ. შ. წერა-კითხვის გამარტიველებელი საზოგადოება. აქვება საზო
გადაზების დელეგატთა და მთავარ გამგების წევრთა შეერთებულის გრძისა, წესი და
შირდები მმათა ზუბალაშვილთა სტამბილის დანიშნისა, წესდება თავადის გრიგორ
ჭავნის პრემიისა.

უფლება-დღიური სამოლიტვო და სალიტერატურო

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მეოთხე)

უფლება-დღიური გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეულ
სურათები და დამატება გამოვა კვირეულით
გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით, როგორც ქალაქი, ისე ქალაქ გარეთ ღირს
8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით — 4 მან. 50 კაპ., ერთი თვით — 75 კ.
ცალკე ნომერი ცველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაპეიკა
აღრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვით
2 მან. და 1 ივნისისთვის 1 მან. 50 კაპ.
1913 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ წიგნს: 1) ფულევის მწერლების
განგინი ზომით იქნება არა ნაჯდებ 400 გრ. და დაურიგდებათ იანვრის დასას-
ტი, ეს წიგნი ზომით იქნება არა ნაჯდებ 400 გრ. და დაურიგდებათ იანვრის დასას-
ტი. 2) ქართველი მწერლები, ეს წიგნი ზომით 500 გვ. დაურიგ. ეს წიგნისთვით
რედაქცია დაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

რედაქცია დაა 9—7 საათ.

განათლება

(წელიწადი მექანიკური)

I

იანვარი

1913 წ.

ურნალი წლიურად ღირს 4 მან.
ნახევარი წლით . . . 3 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს
ურნალი დაეთმობათ წლიურად
3 მან.

ცალკე ნომ-
რის ფასი
40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ტვილისში „წერა-
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და
„ნაკადულის“ რედაციაში. წერილები და
ურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-
რესით: თიფლის დავრიანსкая გრუზინსкая
გიმნაზია. **ლ. გ. ბოცვაძე.**

რედაქციის სახე

მექანიკური წელიწადი იწყება, რაც
ჩვენი ურნალი „განათლება“ გა-
მოდის. არ შეგვიძლია სიამოვნებით
არ აღვნიშნოთ, რომ „განათლება“,
თუმცა მძიმედ, მაგრამ თანდათან
გზას იკვლევს ცხოვრებაში და მკი-
თხველთა რიცხვსაც იძენს. ვისაც
თვალყური უდევნებია ჩვენი მწერ-
ლობის ბედილბლისათვის და წარ-
სოდგენილი აქვს — თუ რა მძიმე საჭ-
მეა სამწერლო მოღვაწეობა ჩვენში,
ადვილად მიხვდება, რომ ამ წარსუ-
ლი ხუთი წლის განმავლობაში „გა-
ნათლების“, რედაციისასც არა ერთი
მწარე წუთი გამოუცდია სხვა და
სხვა უნუგეშო გარემოებათა გამო;

მაგრამ მკითხველი დაგვეთანხმება,
რომ ერთხელ არჩეულის გზისა და
მიზნისათვის არ გვიღალატნია და
ყოველთვის ვცდილობდით მკითხვე-
ლებთან პირნათლად გამოვსულიყა-
ვით.

ჩვენი მკითხველები ადვილად მიხვ-
დებიან, რომ შედარებით „განათ-
ლება“ ძლიერ იაფი გამოცემაა.
ამოდენა ურნალებს რუსეთში ორ-
ჯელ მეტი ფასი აქვს და დიდი გა-
სავალიც. რამდენი ცალიც იბეჭდე-
ბა „განათლება“, იმდენი ხელის
მომწერლიც რომ ჰყავდეს, მხოლოდ
რაოდენობით თუ დაფარავს იმ
ხარჯს, რაც საჭიროა ურნალისა-

თვის. „განათლების“ რედაქციას არასოდეს არ ჰქონია და არც ექნება რაიმე გამორჩომის მიზანი. უურნალი ემსახურება სამეცნიერო-საპედაგოგიო აზრებისა და სიტყვა კაზ-მული. მწერლობის გავრცელებას მშობლიურის ენით. იგი ვიწრო საპედაგოგიო უურნალი არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰქონიათ. პირი-ქით „განათლება“ უნდა აკმაყოფილებდეს ყოველგვარ მკითხველს, რადგანაც მისი შინაარსი მრავალნაირია.

მაინც ჩვენი უურნალის მკითხველთა უმრავლესობას სოფლის მასწავლებლები შეადგენდნენ. ეჭვს გარეშეა, რომ „განათლებას“ ცოტად თუ ბევრად, გავლენა ჰქონდა ზოგ მასწავლებლებზე მაინც. სოფლის მასწავლებლებს დიდი მოვალეობა აწევთ კისერზე. ამ მოვალეობის პირ-ნათლად შესრულება ქვეყნის სასარგებლო საქმეა და თუ ამ საქმეში სოფლის მასწავლებელთა შორის სასურველი ერთობა დამყარდება, ამის უკეთეს ჩვენს დროში ვერ ისურვებს ვერც ერთი ჩვენი ხალხის განათლების გულშემატკივარი.

მართალია, ზოგნი მკითხველნი გვეკითხებოდნენ, რატომ „განათლების“ შესახებ უურნალ-გაზეთებში არაფერს სწერენო, მაგრამ ეს თვით მკითხველებისა და ჩვენი რედაქციების საქმეა.

ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით მივიღებთ ყოველ აზრსა და შენიშვნებს „განათლების“ შესახებ, თუ კი ვინ-მე მოისურვებს და გვამცნევს რასმე. ჩვენს მიზანს უფრო მკითხველთა სიმრავლე შეადგენს და ის სულიე-

რი კავშირი, რომელიც უნდა არსებოდეს მკითხველთა და რედაქციის შორის. ამ მხრით ბევრი რამ სასიამოვნო ცნობები გვაქვს: ზოგი მკითხველები, რომლებსაც უურნალის ნომრები დაეკარგებოდათ სადმე, მოწიწებით გვთხოვდენ ხელახლად ფასდადებით გაგზავნას, ზოგნიც, უსასრობის გამო, გვთხოვდნენ უურნალის მცირე ფასებში დათმობას, რასაც რედაქცია, სამწუხაროდ, თვითონ უსახსრობის გამო, ვერ ახერხებდა. ზოგიც, ვინც კი გულდასმით კითხულობდა „განათლებას“ თავიდან ბოლომდის და აკვირდებოდა ყველა მასალას, რაც კი უურნალში იბეჭდებოდა, კმაყოფილი რჩებოდა და ამ კმაყოფილებას რედაქციასაც უცხადებდა.

„განათლების“ რედაქცია თავის მხრით ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს, რომ უურნალი თანდათან უფრო და უფრო სანიაზო გახადოს მკითხველთათვის.

დასასრულ „განათლების“ რედაქციას თავის მოვალეობად მიაჩნია უგულითადესი მადლობა გამოუცხადოს ყველას, ვინც კი ხელს გვიწყობდა უურნალის გავრცელებაში, მადლობას ვსწირავთ აგრეთვე უურნალში თანამშრომელთ, რომელნიც უსასყიდლოდ და დაუზარებლად გვაწვდიდნენ დასასტამბავს შესაფერისს მასალებს.

ამ წელშიაც „განათლების“ რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას იხმარს, რომ მკითხველების წინაშე ყოველთვის პირნათლად გამოვიდეს.

საზოგადოებრივი პირები

მე-**XIX** საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში

(ნაწილი პირველი)

„კრიტიკოსისათვის ხელოვნური ნაწარმოები მხოლოდ იმპულსია, რომლის მეოხებითაც იგი ჰქმნის რაღაც თავისებურს, რაღაც ახალს, ისეთს რაღაცას, რაც შეიძლება განსაზღვრულად არც კი ჰგავდეს იმ საგანს, რომელსაც ეხება. ერთად-ერთი თავისებური თვისება მშვენიერი ფორმისა იგია, რომ შეგიძლიან რანაირიცა გსურს შინაარსი მისცე მას და რაცა გსურს იგი დაინახო მასში“...

(ოსკარ უაილდი. კრიტიკის ხელოვნება)

... ხელოვნების მიერ გამოხატული სინამდვილე არსებითად ყოველთვის საადამიანო სინამდვილეა; იგი ადამიანთა თვით ცხოვრება და ფსიხოლოგია, ქვეყანა მათი მისწრაფებისა, მათი ვაება-სიხარულისა, საკითხი ბედნიერებისა, საკითხი კეთილისა და ბოროტისა ადამიანთა ურთიერთობაში, იდეალთა ძებნა“...

(დ. ნ. ოვსიანიკა-კულიკოვსკი. „მარადისობის იდეა პოზიტიურ მეცნიერებაში და რეალურ ხელოვნებაში“).

I.

XVI საუკუნის განმავლობაში გარშე-მორტყმული უთვალავი მტრებით საქართველო იძულებული იყო თავისი საუკუნოებრივი კულტურული მსვლელობა მახვილით განემტკიცებინა და გავლილი ისტორიული გზა თავისი სისხლით მოერწყო. ქრისტიანობამ, რომელიც გავრცელდა საქართველოში ორი მხრით, სირიიდან და საბერძნეთიდან, ძირინად შეარყია ქართველთა სულიერი ფიზიონომია, გამარჯვებული გამოვიდა ბიზანტიის მეტოქე სპარსეთიდან გადმოტანილ კულტობან ბრძოლაში და ქართველთა ერობრივი თვით-შეგნებასთან ისე დაკავშირდა, რომ ბოლოს მათვების სარწმუნოება და ერობა (ეროვნება?) თითქმის ერთი და იგივე ცნება შეიქნა, რაც ფსიხოლოგიურადაც აღ-

ვილი შესაძლებელია. „ნაციონალურ (ერობრივ) თვითშეგნებაში მაგალითად, სარწმუნოებას ხშირად ისეთივე არსებობის ხასიათი და ისეთივე ძირითადი, თან დაყოლილი ერობრივი თვისება აქვს, როგორც ენას“, და ენა ხომ „ძირითადი და არსებითი ერობრივი თვისებაა, ყველა მის შემეცნებასთან დაკავშირებულ ასოციაციათა მატარებელი“...¹⁾ ეს ერთი მუჭა საქრისტიანო ქვეყანა დაუცხრომლად იბრძოდა თავისი სარწმუნოებისათვის, რაც იმავე დროს სამშობლოსათვის ბრძოლა იყო. ქართველს მტრად მიაჩნდა ყველა ის, ვინც არ აღიარებდა ქრისტეს სჯულს, იგი მას, მტრულად. მოსულს რაინდუ-

1) პ. 3. მილიუკოვი. Очерки по истории русской культуры ч. III, 8 გვ.



ლის თავგანწირულებით შეაკვდებოდა, ბავშვური გულუბრყვილობით სწამდა თავისი სარწმუნოების ქეშმარიტება და სხვას კი „უსჯულოს“ უწოდებდა. ეს რწმენა ანავონს ებდა საქართველოს უგზო უკვლოდ საუკუნოებით და, როდესაც ჩრდილოეთში გამოჩნდა ერთმორწმუნე ერი, საქართველოც იმედებით აივსო. ეგ იმედის მომგვრელი ქვეყანა რუსეთი იყო და ამ დროიდან მის ზრდასთან იზრდებოდა მათი დამაახლოვებელი შემთხვევები.

ჯერ კიდევ მე-X საუკუნის მეორე ნახევარში სვიატოსლავმა გამოიღა შერა კავკასიონის მთებისაკენ და ებრძოდა ოსებს და ჩერქეზებს¹⁾, ვლადიმირის მონომახის შვილის-შვილმა შეირთო აბაზეთის თავადის ქალი; ქართველ ვაჭრებს მისვლამოსვლა ჰქონდათ ყიფჩალელებთან, რომელთა ურდოშიც ეცნობოდნენ რუსის თავადებს; ამგვარი ნაცნობობით შეიქმნა გიორგი ბოგოლიუბსკი, ველიკოროსთა პირველი მთავრის ანდრიას შვილი, თამარ მეფის პირველ ქმრად. იოანე მრისხანედან დაწყებული ხან სახელი ემატება რუსეთის ტიტულს, ხან ახალ ციხე-სიმაგრეებს აშენებენ საქართველოს საზღვრებთან; ქართველი მეფები მოციქულებსაც უგზავნიან ხან იოანე მრისხანეს, ხან თეოდორე იოანეს ძეს, მაგრამ რადგანაც რუსეთს ჯერ არ ესაჭიროებოდა სამხრეთისაკენ საზღვრების გაფართოვება და საქართველო აღარ სჭირდებოდა, რუსეთი არ გასცილებია „დიპლომატიურ კეთილ-განწყობილ ინტერესს“: მაშინ მხოლოდ, როდესაც პეტრე დიდმა გადაიხედა კავკასიონის ქედს გადაღმაც, თვალი მიაპყრო ოსმალებს და სპარსეთს, რომელთანაც უთუოდ შე-

ტაკება მოუხდებოდა შავის გმილვისა და კასპიის ზღვის ნაპირების შემოერთების დროს, მაშინ მხოლოდ საქართველოც ლირსი შეიქმნა უფრო დაახლოვებით გასცნობოდნენ მას. 1720 წელს პეტრე დიდისაგან ბრძანება მოსდის ვოლკონსკის: „დაიყოლიოს ქართლის მეფე ვახტანგი და კახეთისა კონსტანტინე III რუსეთთან მეეგობრობაზე“¹⁾. პეტრეს სურდა რუსეთი ზღვაზედაც ძლიერი სახელმწიფო ყოფილიყო და დასავლეთიდან აღმოსავლეთში განათლების გადამცემ პუნქტად გამხდარიყო. „პეტრეს ექსპედიციას სპარსეთისაკენ, ამბობს კოსტომაროვი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსულ ისტორიაში. იგი პირველი ნაბიჯი იყო რუსეთის მსვლელობისა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, რომელიც დრო გამოშვებით იწყებოდა და ბოლოს რუსეთი მიიყვანა იმიერ კავკასიის ქართველთა მიწა-წყლის და მთელი კავკასიონის ქედის დაყრიბობამდე“. „ამ ლაშექრობის ბოლომ ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ რუსეთს შეეძლო იმიერ კავკასიაში მტკიცედ ფეხის მოკიდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველომ გახსნა თავისი საზღვრები რუსის ჯარისათვის“²⁾-ო, ამბობს პროფ. ცაგარელი²⁾. დერბენდის და ბაქოს აღებამ და ასტრაბალმდე რუსების შემოსვლამ ხომ უფრო დაუახლოვა რუსეთი საქართველოს, ამ დაახლოვებამ კი უსიამოვნოდ უკაბინა საქართველოს მეზობლებს გულზე და მთელი ორმოცი წლის განმავლობაში იერიში იერიშზე მოაქვთ სხვა და სხვა მტრებს

¹⁾ Бутковъ. Материалы для новой истории Кавказа. т. I.

²⁾ Цагарели. Грамоты и другие исторические документы XVIII в. т. I введ. XXXVII 83.

საქართველოზე. ამ დროს სპარსეთი არ არის მაინცა და მაინც კარგ მდგომარეობაში: ნაღირშაჰის მოკვლის შემდეგ იქ კარგა ხანი არ ჩამოგარდნილა შინაობაში შევიღობიანობა. სანამ იქ ყოველივე დალაგდებოდა, ოეიმურაზი და ერეკლე მხნედ განაგებდნენ სამეფოს და ქერიმხანი კი, რომელიც ავიდა სპარსეთის ტახტზე, მეგობრულად უსკეროდა ირაკლის. ირაკლიმ დაიმორჩილა ერეკლის სახანო და 200,000 გან. ხარკი დაადო, განჯის ხანი შავერდიც იძულებული შეიქნა 100,000 გ. ეძლია, ყარაბაღის ხანი დამარცხდა; აზატხანმა დაიჭირა ტახტი ისპაჰნში, მისმა დამარცხებამ ხომ სულ თავზარი დასცა საქართველოს მეზობლებს და ყველა ჩეკარობდა ერთგულობის გამოცხადებას. 1768 წ. ეკატერინე მეII-მ გამოცხადა ომი ოსმალეთს და რადგანაც ამ საქმეში საქართველოს შეეძლო დიდი როლი ეთამაშა, ყოველ ღონეს ხმარობდნენ ისიც ჩარეცხლიყო ამ საბედისწერო ომში. ეკატერინეს მინისტრი პინინი არწმუნებდა იმერეთის მეფეს სოლომონს, როდესაც ომს მოვიგებთ, ხელშეკრულობის დროს საქართველოს არ დავივიწყებთო. „თქვენი ბრძანებისამებრ მე მეფე ერეკლეს ვურჩიე, რომ მას აემხედრებინა თაორებზე არარატის სომხობაც (ზოგი მათგანი მისი ქვეშევრდომები არიან)“ სწერს ქობულოვი ყიზლიარის კომენდანტს პოტაპოვს. „Была бы душа здешняя, а т'ко грузинское“, სწერს გრაფი პანინი ტოტლებებს¹⁾, და კიდეც გადაადგმევინეს საქართველოს ეს ნაბიჯი და, ოუმცა ჯერ იმას ფიქრობდნენ, თუ როგორ ჩაეთრიათ ქართველები ომში სათაორეთთან, „მერე კი

ყვირიან ნება მივეცითო“ სწერს სოლომოვივი²⁾. 1770 წ. 20 აპრილს ფლიდი ტოტლებენისაგან თავმინებებული ირაკლი ერთი მუჭა მეომრებით იძულებული შეიქნა შებრძოლებოდა მტერს, სძლია იგი ჯერ აწყურთან, შემდეგ ამისა ამოსწყვიტა ახალციხის ფაშის უთვალავი ჯარი ასპინძასთან, მაგრამ „ირაკლის შერჩა მხოლოდ სახელი გამარჯვებისაგან და შურის ძიება ლეკებისა და თაორების მხრით“... „იმერეთის მეფეს სოლომონს მადლობის ნაცვლად ის მიუძღვნეს, რომ რუსეთმა ზავი შეჰკრა ოსმალეთთან და იმერეთი მას მიუვდო“-ო, სწერს ბრისე²⁾.

სათაორეთი საქართველოს დაუძინებელ მტრად გადაიქცა, აქეზებს მასზე მტრებს და ეხმარება დალისტნელებს, მაგრამ ირაკლი მაინც ყოველგან სწვდება და შიშის ზარსა სცემს დალისტანსაც, ოტომანთა პორტას და თვით დიდ ირანსაც. მასთან საჩუქრებით მოდიან ხანები: თავრიზისა, ურმიისა, მახარისა, მარაგისა და ბაიაზეთის საფაშოდან; მისი სახელი ევროპაშიაც გაითქვა, ერთი სიტყვით ივალიშვილის თქმისა არ იყოს „ძველ საქართველოს ჯერ კიდევ სწყურიან სიცოცხლე“...

მართალია, თითზე ჩამოსათვლელია შედარებით საუკეთესო და სანეტარო ხანები საქართველოს ისტორიაში, მაგრამ რამდენადაც შეიძლება ხალხის კეთილდღეობაზე ლაპარაკი იმის მიხედვით, თუ როგორ აწარმოებს იგი საგარეო და შინაურ პოლიტიკას, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლიან ვსოდეთ, რომ საქართველო რუსეთთან შეერთების ხანებში არც ისე დაცემული იყო, რომ არ შესძლებოდა თავისი საუკუნოებრივი კულტურა მომა-

¹⁾ პრ. დოც. ავალიშვილი. Присоединение Грузии к России 102 83.

²⁾ თხ. 336, 339 გვ. 28 ტომი.

²⁾ ამოღებ. ავალიშვილის წიგნიდან 111 გვ.



რალშიაც ჯტარებინა. ირაკლის შინაურ პოლიტიკას რომ დავაკვირდეთ, დავრწმუნდებით, რომ ქართველობას ხმლის ტრიალის გარდა გონებრივი, კულტურული ცხოვრებაც აინტერესებდა. ირაკლიმ ანტონ I-ის კათოლიკოსის შემწეობით „დაარსა თბილისში სტამბა, ზარაფხანა, თოფხანა, გაიყვანა არხები და გზები, დაარსა მონასტრებთან და ეკლესიებთან სკოლები, თელავში გახსნა სემინარია, დაარსა მუდმივი ჯარი 17,000 კაცისაგან შემდგარი, სურდა ჯარის ევროპიულად გაწყობა, ლამობდა ამიერ-იმერეთის გაერთიანებას“¹⁾). ამ დროს სოციალურ მდგომარეობასაც დაეტყო ცვლილება: „თითქოს საქართველოს მთავრობა ხედავდა ბატონ ყმობიდან გამოსვლის ცოტათი მანც გაადვილების საჭიროებას“-ო, ამბობს პრ. ლოც. ი. ჯავახიშვილი და ისახელებს რამდენიმე სოციალურ რეფორმებს.

1765 წელს შეფე ირაკლი, კათოლიკოსი, არქიეპი და დიდებულები აღგენენ: „ამ დროიდან ტყვეობიდან განთავისუფლებულ გლეხებზე ძველ ბატონებს უფლება აღარ აქვთ“... „უმა, რომელსაც ბატონი ტყვეობიდან არ დაიხსნის, თავისწალია“... „მებატონენი, რომელნიც სიმშილობის დროს თავიანთ ყმებს შემწეობას არ აღმოუჩენენ, ჰყარგავენ მათზე თავიანთ უფლებას“-ო და სხ. ²⁾).

ახალი მთავრობა შემოსვლისთანავე ძლიერ, ჭკვიანურ მაგრამ ვერაგულ პოლიტიკას დაადგა: იგი სიტყვით გლეხთა მდგომარეობას თანაუგრძნობდა და მაღლიერი გლეხობაც არ უჭერდა მხარს თავად-აზნაურობის სურვილებს. მას ეგ გულ-

უბრყვებილობა ძლიერ ძვირულდება, გულკეთილმა მთავრობამ, უთუოდ იმიტომ, რომ სჯეროდა მებატონეთა „სამართლიანობა“, ადმინისტრაციას მიანდო გლეხობა მებატონეთა მტკიცე მორჩილებაში მოყვანა და მებატონეთ კი, რუსეთის მებატონეთა მსგავსად მიენიჭა უფლება ყების ჯარის-კაცად მიცემისა და ციმბირში გაგზავნისაც; ამას ზედსართად რუსული როზგებიც დაემატა, უთუოთ იმისთვის, რომ „რუსული კულტურა“ ქართველს სისხლ ხორცში უკედ გასჯდომოდა. ამნაირად ქართველი გლეხი ვერც ვაის გაეყარა და უის ხომ კალთაში გახვეულს დაატარებდა. რუსეთთან დაახლოვებამ ის მოგვიტანა, რომ ირაკლის მეგობარი ქერიმ შაჰის შემდეგ გამეფებულმა ალიმურადმა გამოცხადებული მორჩილება მოსთხოვა მას, რადგანაც სურდა მისი რუსეთთან დამოკიდებულება გამოეაშკარავებინა. ირაკლიმ გადასწყვიტა ისევ რუსეთს მიჰყედლებოდა, რადგან „ქართველთა თვალში რუსეთი ყოველივე სამართლიანობის წყარო იყო“ ¹⁾, ამან კი „სულთანი და შაჰი ერთი ორად აუღელვა და გადაუმტერა“ ²⁾). აღმიმურადს შემდეგ გაძლიერებული აღამაშმად ხანი უთვალივი ჯარით წამოვიდა საქართველოსაკენ. მან 1795 წ. 10 სექტემბერს ააოხრა თბილისი და თუმცა 1783 წლის ხელშეკრულობით რუსეთი ვალდებული იყო შემწეობა აღმოეჩინა, მაგრამ იგი ყურსაც არ იძერტყავდა, რადგან ჩარევა ჯერ „ვი ბლაგი მე მიელეთს“ ³⁾). გულოვიჩმა მიშველების ბრძნება მხოლოდ პირველ ოქტომბერს მიიღო, ე. ი. მაშინ, როდესაც საქართვე-

¹⁾ ა. ნატროშვილი. ირაკლი II, 20 გვ.

²⁾ Политическое и социальное движение въ грузии XIX в. 6 გვ.

¹⁾ Ахриви госуд. совѣта т. III. 2.

²⁾ ჯანაშვილი. საქართველოს მოკლე ისტორია.

³⁾ И. Джаваховъ. ევე 7 გვ.



ლოც განადგურდა და მტერიც ისე შეი-
ბერტეა, რომ ირაკლის დახმარებით ზუ-
ბოვმა 1796 წელს წართვა სპარსეთს
დერბენდი, შამახია, სალიანი და განჯა.

საქართველოს თავზე გადაიარა ჩინგის—
ხანის ლაშქარმა; საქართველომ გადაიტანა
მრისხანე ლენგ-ოემურის შემოსევა; საქარ-
თველომ თავი დააღწია არაბთა და სელ-
ჯუთა ბრძოებს; იყი ვერ ჩაყლაპა ვერც
სპარსეთ-ოსმალეთმა: „სპარსეთი არასო-
დეს არ ყოფილა საქართველოში ისეთი
ძლიერი, რომ მათ მთავრობას შესძლე-
ბოდა ქართველების უნებური მოქმედე-
ბა“-თ სწერს Watson¹⁾, და მხოლოდ რუ-
სეთის პოლიტიკას ერ აუღო ალლო.
ერთ-მორწმუნოება ქართველებისათვის ისე-
თი გარანტია იყო, რომ სრულებით ვერ
აძნევდნენ თავიანთ მდგომარეობის სინდე-
ლეს. წარსულ იმედების გაცრუებამ მათ
ვერაფერი ასწავლა. „აღმოსავლურ პო-
ლიტიკაში გამობრძმედილებმა, რომელთაც
მშვენიერად იცოდნენ ყოველი მისი მი-
ხვეულ-მოხვეული და შეჩვეულნი იყენენ
იქ თავისუფლად ნაგარდობას, რუსეთთან
გულუბრყვილო მიმდობნი გამოდგნენ“²⁾.
იმ ხვეწნა-მუდარაზე და სასოებაზე, რო-
მლითაც რუსეთისადმი მიმართავდნენ ხოლ-
მე, იმათ პასუხად წინადადება მისცეს:
„გადასახლებულიყვნენ თერგის დაუჭერელ
ნაპირებზე—რაც რუსეთისათვის იყო
ძლიერ სასარგებლო“. ასე თუ ისე, რუ-
სეთშა მიიღო რამდენიმე უფლება და
ირაკლის სიკვდილის შემდეგ სულ სხვა-
ნაირად ისარგებლა. ირაკლის მემკვიდრე
გიორგი მე-XIII 1799 წ. მიიღო ინვენ-
ტიტურა და შეპფიცა რუსეთს ერთვუ-
ლება, რუსეთმა კი აღუთქვა საქართველოს

„предъ лицомъ всего свѣта 7
бонда და ხელ-უხლებლობა და ტახტი ნა-
ციონალურ დინასტიას, მაგრამ მაღა-
ისარგებლა მეფის უნიჭობით, და სრუ-
ლიად გააუქმეს 1783 წლის ხელშეკრუ-
ლობა იმ ინსტრუქციით, რომელიც უკვე
გამოგზავნილი იყო, სანამ გიორგი ელ-
ჩებს გაგზავნიდა რუსეთში ქვეშვრდომო-
ბის გამოსაცხადებლად: «Отправьте коль
скоро кончина (Георгія XIII) послѣ-
дуетъ, немедленно туда объявленіе
отъ имени нашего, чтобы до полу-
ченія отъ настъ соизволенія даже не
было приступлено къ назначенню
преемника на царство грузинское».
გიორგის მემკვიდრე დავითი დღე-დღეზე
ელოდა რეგალიებს და მართავდა სამე-
ფოს, რომ უცებ კნორინგმა დაიარადე-
ბულ ჯარით გარს შემორტყმულ ხალხს
გამოუცხადა მანიუსტი, უბრძანა ფიცი
მიეღოთ და ვინც უკმაყოფილების გამოც-
ხადება გაპბედა, იქვე დაატუსაღა¹⁾. ან
ვინ გაპბედავდა თამამად უკმაყოფილების
გამოთქმას, როდესაც კარგა ბლომად შე-
გროვილ რუსის ჯარის გარდა, სამი აღ-
გილობრივი მოწინააღმდეგე ჯუფი ერთ-
მანეთს კრიჭაში ედგა. ამ დროს ბევრი
აღმოჩნდა საქართველოში ისეთი პირი,
რომელსაც სხვისი ჭირი ჩირად უჩნდა,
რომელიც ერთი ჯვრისათვის ან მედალი-
სათვის ივიწყებდა თავის სამშობლოსაც,
ტოლ ამხანაგობასაც, რომელნიც სასიკვდი-
ლოდ ემზადებოდნენ, და თავ-დავიწყებამ-
დინ ემსახურებოდნენ იმათ, ვინც ქვეყნის
მტრად იყენენ მიჩნეულნი. ისეთნიც იყვ-
ნენ, რომელთაც წმინდის გაღლით სწამ-
დით, რომ ხსნა მხოლოდ რუსეთში იყო
„აჟყვნენ ბედის წერას და გულ-ხელ დაკ-

¹⁾ Аваловъ. Прис. Грузин.

²⁾ Аваловъ. იქვე.

1) Закавказье 1803 г. 33 ст. Дубровинъ.



რეფილნი დაქმორჩილნენ ღვთის განგება-
სა¹⁾). ისინი კი, ვინც თავიდანვე შეჩვეულს
ჭირს არჩევდა შეუჩვეველს ლხინსა, იწევ-
დნენ სპარსეთისაკენ და ამით ლაშობდნენ
საქართველოსათვის ცატა თავისუფლე
ბა მაინც შეენარჩუნებინათ, ისინი ალექ-
სანდრე ბატონიშვილთან ერთად ემზა-
დებოდნენ საერთო ამბოხებისათვის და
სკულილობდნენ სხვებისათვისაც აეხილათ
თვალები. მთავარ-სარდალი თ. პავლე
დიმიტრის-ძე ციციანოვი, რომელიც და-
ინიშნა 1802 წ., მაშინვე ძლიერ წინ-
დახედულად შეუდგა ბატონიშვილე-
ბის დატყვევებას: ვახტანგი ერეკლეს ძე
და დავითი ტახტის მემკვიდრე რუსეთს
გადააგზავნა და დედოფალი მარიამიც მა-
ლე მათ კვალს გააყოლა. თ. გიორგი
ამილახვარმა კი აღუთმა თ. ვოლკონ-
სკის: ბატონიშვილი ფარნაოზი მე მენდო-
ბა, მოვიტყუებ და დავიჭრო, თან მისი
წერილი გადასცა, რომელსაც ფარნაოზის
მომხრეები საქართველოში უხვად ავრცე-
ლებდნენ. „იმედი მაქს, რომ ღმერთი
ხელს მომიმართავს და პირნათლად შევა-
სრულებ ამ მონდობრლობას“-ო, ეუბნება
თავადი, თითქოს მდაბალი ნამუსის გარდა
ვისმე მისთვის დაევალებინოს ასეთი ულირ-
სი საქვიელი. „,თუ ოდესმე ჩვენსა და
თქვენს შორის უთანხმოება და ურიაშოვ-
ნება ყოფილა, უნდა დავიწყებას მივსცეთ:
დღეს განა დროა წასულის ანგარიშების
გასწორებისა? უსიამოვნო წარსული გო-
ნებიდან უნდა ამოვფხვრათ, რადგან დად-
გა უამი საერთო სიყვარულისა და მმუ-
რის დახმარებისა“... აი რა გულის სიღრ-
მეში ჩამწვდომ სიტყვებსა სწერს ბატო-
ნიშვილი ფარნაოზი თ. მიხეილ ერისთავს,
მაგრამ დახმარების ნაცვლად ქართველი

დიდებულები უთვლიან ფართულის და
იულონს: „თუ საქმაო ჯარი გეყოლებათ,
დახმარებას მაშინ გაგიწევთ რუსების წი-
ნააღმდეგა“-ო, ე. ი. თუ ბატონიშვილები
გაიმარჯვებდნენ, იმათ მხარეს გადავიდო-
დნენ, ახლა კი რუსები იყვნენ ბატონები
და იმათ მონურ არსებასაც მხოლოდ იქ
ჰქონდა ადგილი. მათ არც ის გულ-შემ-
ზარავი მოქმედება აფიქრებდა, რასაც რუ-
სის ჯარი და მექრთამე მოხელეები სხა
დიოდნენ. მეომართა აღვირ-წახსნილი თავ-
ხედობა და სამოქალაქო საქმეთა მმართვე-
ლი კოვალენსკი ერთნაირად ველურად
ეპყრობოდენ თავიანთ ადგილის მოვალეო-
ბას. ყველას თავის ჯიბისათვის იღვწოდა,
ყველა დაავიწყდა უმთავრესი მათი დანი-
შნულება ხალხის ბედ-ილბალი და თავ-გზა
დაბნეულ ხალხს მეზობელი ავაზაკთა
ბრბოები მუსრს ავლებენ. ამნაირად „სამი
წელიც არ გასულა, რომ სწორედ ისინი,
ვინც განგებას ლოცავდა, რომ რუსები
გამოჩნდნენ ქართველთა ტერიტორიაზე,
ახლა თავის ბედს იწყევლიდნენ“-ო, ამ-
ბობს ივ. ჯავახიშვილი¹⁾. შეუძლებელი
იყო ხალხის გულის წყრომა ბოლოს და
ბოლოს არ გამოცხადებულიყო, მით უმე-
ტეს რომ ერის უმრავლესობა, რომელიც
დიდის სიხარულით, და იმედებით ელო-
დებოდა ახალ მთავრობას, რადგან მისგან
ულელის შემსუბუქებას ელოდა, უფრო
უარეს მდგომარეობაში ჩავარდა. კახეთის
თავად-აზნაურობა ძლიერ აღელვებული
იყო საქმის ამგვარად დატრიალებით და
1802 წელს მრავალგზითი ამაო პრო-
ტესტი გამოცხადებულ აჯანყებაში გამოი-
ხატა, მაგრამ იგი უცებ ჩაქრეს. საქარ-
თველის თითქმის ყველა კუთხე ერთნაირ
აუტანელ მდგომარეობაში იყო და ამისა-

¹⁾ ა. ფრონელი. აჯანყება მთიულეთში.

¹⁾ დასახელებული წიგნაკი 11 83.

თვის ჩაქრობდნენ თუ არა აჯანყების ალს ერთს კუთხეში, იგი ახლა სხვაგან იფეტ-ქებდა. სწორედ ასეთმა უმწვერვალესმა ვაებამ გამოათქმევინა ხალხს „ღმერთი ძალიან მაღლაა და მეფე მიუწდომელ სი-შორეზე“-ო. მთელი სამოცდა ოთხი წლის ოში კავკასიაში მთელის თავისი სიმძიმით ქართველ ხალხს დააწვა კისრად, ქართველ გლეხობას, თორემ თავად-აზნაურობის ერთმა ნაწილმა კარგა თბილად მოიკალა-თა თავის ქვეყნის მტარვალის კალთის ქვეშ. ყოველგვარი ზნეობრივი შეურაცხ-ყოფა, ქონებრივად განადგურება და ადა-მიანურ ლირსების ფეხ-ქვეშ გათელვა გლე-ხობას დაატყდა: „რაც რუსობამ მწუხა-რება მოგვაყენა, მაგ გვარი თურქთა, ყი-ზილბაშთა და ლეკთა ბატონობის დრო-საც არ გამოგვივლია“-ო, სჩივან ბოდბის ხეველნი და არასიელნი გლეხები. სანამ საქართველო რუსეთისათვის საჭირო არ შეიქნებოდა, მის თხოვნაზე დახმარების ნაცვლად რუსეთიდან ბერ-მონაზნებსა გზავნიდნენ, უთუოდ ქართველების გასა-ნათლებლად და ახლა კი ქვეყანას ძლევა-მოსილი მხედრობა შემოჰსევოდა, ის მხედ-რობა, რომელიც ქართველებსავითვე ქრის-ტეს თაყვანის მცემელი იყო და მარკიზ პაულუჩის სიტყვით მათი „მფარველი და დამცველი, დამცველი მათი სახლ-კარისა, ჯვარისა და ავლა-დიდებისა გარეშე მტრი-საგან“. საბრალო მარკიზი ვერ ამჩნევდა, რომენი დაცინვა იყო ამ სიტყვებში იმ ხალხისა, რომელსაც თითქოს ქრისტეს სახელითვე ტყავს აძრობდნენ! მთიულები იძულებულნი იყვნენ, როდესაც შინ უკვე არაფერი მოეძებნებოდათ ამ „ქრისტეს მმოსავ მხედრობის“ მოთხოვნილებათა და-საქმაყოფილებლად, თავიანთი ეკლესიები გაეცარცვათ, ხატებისათვის სამკაულები დაეძროთ და მათვის მიერთმიათ. აი ამ

მდგომარეობამდე მიყვანილ ხალხმარტლები დესაც კი მართლაც მოყვასიღ საგულებე-ლი მტრად იცნო, შეიარაღდა და გადა-ჭრილ აზრს დაადგა: „ჩვენი ცოცხალის თავითა ვერ წავალო რუსის მხარესა“ თ. „ქართლში ამბოხება უგემურად მიღიო-და, რადგანაც თავად-აზნაურობა გვერდ-ში არ ამოუდგა გლეხ-კაცობას, როგორც კახეთში“-ო, სწორს ფრონელი. მართლა-დაც, მაშინ როდესაც კახეთში მეფეც კი ამოირჩიეს გრიგოლ იოანეს ძე, ქართლის ერისთავი: თორნიკე, შანშე და მიხეილ ემუდარებიან თ. ციციანოვს: «пороха и пулья пожалуйте для грузинамъ» რად-განაც „осмѣлюсь доложить вашему сиятельству это дѣло не пустоя имѣ-ють учители“-ო. ასეთი ბუნებისაგან დამახინჯებული ადამიანები ბევრი ყოფი-ლა მაშინაც და შეიძლება ლიტვინოვს ამან ათქმევინა ასეთი სიბრძნე: „любоовь къ отечеству, столь сильно дѣиств-ющая въ сердцахъ благомыслящихъ, жителямъ грузіи не извѣстно, даже название отечества на грузинскомъ языке не находится“¹⁾). რა სიკეთე უნდა დატრიალებულიყო შინაურ საქმე-ების მოწესრიგებაში, როდესაც ყველა მოხელე, ვისაც ხალხის ბედ-ილბალი ება-რა, ამ აზრისა იყო. „ყოველგან თაობ-დნენ რუსის მოხელეები, ვკითხულობთ ი. ჯავახიშვილის წიგნში, რომელთაც ქარ-თული არ ესმოდათ და საქართველოში მოდიოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ რუ-სეთში მათი ყოფნა არა სურდათ“-ო. მოიკალათა რა რუსეთმა ქართლ-კახეთში,

1) Акты т. III, 104 გვ. ამ სიტყვებზე ხომ არ ემყარება ნ. უორდანია და მისი ამალა, რო-დესაც ამტკიცებენ ქართველ ხალხს არ აქვს პატ-რიოტიული გრძნობაო?



მას შემდეგ რაც დათრგუნა და გაძვალ-ტყავებულ ხალხის სისხლში ჩახარჩო სა-ფუძვლიანი გულის წყარომა მთიულებისა, მან იმერეთისაკენაც მიიწია; იქ კიდევ იმერეთის მეფეს. სოლომონს „ერთი ვაი-ვაგლახი ჰქონდა დადიანთან ლექსუმის გამო“¹⁾). სამეგრელო გრიგოლ დადიანის თხოვნით უკვე 1802 წ. 2 დეკემბერს შე-უერთდა რუსეთს, მხოლოდ იმ პირობით, რომ მთავრად მუდამ მისი გვარი ყოფი-ლიყო. იმერეთიც შეუერთდა 1804 წ. 25 აპრილს, მაგრამ ამბოხება კახეთისა და მთიულეთის თავ-განწირული ბრძოლა იმასც გადაედო. საქართველოს ეგზარ-ხოსის ოეოფილაქტეს უდიერმა ქცევამ 1819 წელს მდინარე რიონის პირას შექ-ყარა ათასობით ხალხი წოდების განურ-ჩევლად, სადაც ერთმანეთს შეჭოცეს რუ-სები ამოეწყვიტათ და თავისი მეფე ამო-ერჩიათ. აქ აჯანყება უმთავრესად სარ-წმუნოებრივ გრძნობის შელიხვამ გამოი-წვია. 1811 წ. უძალლესი ბრძანებით, ერთი კალმის მოსმით მოსპეს საუკუნოე-ბით თავისუფალი ქართული ეკლესია, რომელიც თვით ბიზანტიის ეკლესიასაც კი არ ექვემდებარებოდა. კათოლიკოზი ანტონ 11 გადააგზავნეს რუსეთში და მი-სი მოადგილის ეგზარხოს თეოფილაქტეს მეოხებით „16 წლის შემდეგ, რაც სა-ქართველო რუსეთს შეუერთდა, ქართვე-ლებს შეძლება მოესპონთ თავიანთ კათედ-რალურ ეკლესიაში წირვა ლოცვა მოეს-მინათ ქართულად, მოესმინათ იმ ენაზე, რომელზედაც 1400 წლის განმავლობაში ქართველები თავიანთ მხურვალე ლოცვას აღავლენდენ“²⁾). გელათის და ქუთაისის მიტროპოლიტებს ხალხის თვალ წინ

სცემეს და დასისხლიანებულისა და სუსტიანის გზას გაუყენეს; გენერალ ტოტლებენმა პროექტი წარმოადგინა: „...მათი გავლე-ნის მოსპობისთვის, ყველა ეს აზნაურები გლეხებითურთ, რომელნიც ხაზინის ხელ-ში გადადიან, უნდა გადასახლებულ იქ-ნან სახელმწიფო ცარიელ მიწებზე“³⁾; გენ. ლევაშოვი, როგორც პროფ. ნ. 3. კონდაკოვი ამტკიცებს სისტემატიურად სცარცვავდა ქართულ ეკლესიებს და ხა-ტებს ძვირფას სამკაულებს აძრობდა²⁾. ამნაირად ულახავდნენ ხალხს სარწმუნოე-ბრივ გრძნობას და რა გასაკვირველია ხალხს იგი ახლა გულიდან ამოფეხვრილი ჰქონდეს! „არც სპარსელებს, ცეცხლის თაყვანის მცემლებს და მუსულმანებს, არც კერპთ თაყვანის მცემლებს მონოლოგებს, არც თათრებს არ ჩაუდენიათ ის, რაც რუსის მთავრობამ და მისმა ეგზარხოსმა ჩაიდინა მართლ-მადიდებელ ქრისტიანე ეკლესიისთვის“³⁾, სწერს ი. ჯავახიშვი-ლი. ისტორია, პირიქით, გადმოგვცემს, რომ ეს ველურები უფრო მოკრძალებით ექცეოდნენ ჩვენს სარწმუნოებას. მაგალი-თად, მრისხანე თემურ-ლენგმა XIV საუ-კუნეში დაანგრია მცხეთა და იმ ადგილს კი არ შექხებია, რომელიც ქრისტეს კვარ-თის ადგილად ითვლებოდა; შაჰაბაზმა და-აქცია საქართველო, მაგრამ როდესაც მისმა ჰიმამებმა მოახსენეს ეკლესიაზე: „ეს სალოუკავი ადგილია, რომელიც ადამია-ნის ხელი არ შექხებია, ამბობენ, თავისი მშესრავი მახვილი ჩაიგო, ჩამოხდა ცხენი-დან, მოწიწებით შემოუარა გარს საყდარს, ილოცვა სვეტის წინაშე და კათოლიკოზე ლრამოტა მისცა ქართლ-კახეთში საეკლე-სიო ადგილების მფლობელობისათვის“³⁾.

¹⁾ ფრონელი. მთიულეთი.

²⁾ И. Джавахов. Ист. полит. дв. 21 83.

²⁾ Н. Марр. Кр. Ист. гр. 27 83.

³⁾ Муравьевъ грузія и Арmenія т. I.

მე XIX საუკუნეში ჯერ კიდევ ხალხი საკმაო მოწიწებით ეპყრობოდა თავის სარწმუნოებას და ეკლესიას, რადგანაც გულებრილად ვერ აეტანა ის დამცირება, რომელიც მას მთავრობამ მიაყენა. „საითაც გავიქცი, იქითკენ წავიქეციო“, რომ იტყვიან იმის არ იყოს, საითკენაც უნდა მიიხედო, მმართველობის რომელი დარგიც არ უნდა განიხილო, ყოველგან საქმის უცოდინრობა, ყოველგან სიძულვილი, ყოველგან პირადი ინტერესები არსებობდნენ და ხალხი კი მივიწყებულია; მისი იტერესები სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეეწირა. ი ასეთმა გარემოებამ გამოიწვია იმერეთშიაც აჯანყება, მაგრამ იგიც რამოდენიმე თვის განმავლობაში მოსპეს. „მრავალს თავად-აზნაურს ჩამოართვეს მამულები და ერთი ნაწილი დაურიგეს იმათ, ვინც თავგამოდებულად რუსეთის მხარეს იყო, მეორე კი ხაზინამ დაინარჩუნა¹⁾). ამ დამარცხებამ ვერ მოსტება ხალხი და აჯანყება 1830 წელს ისევ განმეორდა; ან რა გასაკვირველია ვაიუზელურებაში მყოფი საქართველო ამხედრებულიყო, თუ ავტონომიურ პოლშაც კი არ იყო თავის მდგომარეობის კმაყოფილი! გლეხობას ამ დროს მოუმწიფდა თავისი კლასობრივი სპეციფიკური ინტერესები, იგი თავად-აზნაურობას გვერდში არ ამოუდგა ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში და ეგ მოძრაობაც უდღეური გამოდგა.

„სართველი თავად-აზნაურობა, სანამ იგი რადმე გამოადგებოდათ, გაბმული იყო თითქოს რუსულ სახელმწიფო, ნამდვილათ კი რუსულ ნაციონალისტურ ულელში, რომელიც თანდათან ათასი რებდა ყოველივეს ქართულს საქართვე-

ლოში და შემდეგ იგი ალალტელიზმის ისროლეს, როგორც გამოწურული ლიმონი, და სახელოვანი ქართველი თავად-აზნაურობა ყოველივე თვითმოქმედებას მოკლებული და საკუთარ ეროვნულ კალაპოტიდან ამოდენილი, იძულებული შეიქნა მაღლიდან მოღებულ სამოწყალოთი სამარცხეინოთ დარჩენილიყო— სწერს პრ. მარრი¹⁾). მას შემდეგ, რაც რუსის „ძლევა-მოსილი“ მხედრობა საქართველოს გარეშე მტრები ჩამოეცალნენ და ამ მხრივ სრული უშიშრობა სუფევდა. თავად-აზნაურობა, რომელიც ომის ქარცებულში იყო დაბადებული და მისი მშობლიური სფერო მხოლოდ ომის ორონტრიალი იყო, უცებ ამ სფერიდან იქნა ამოგლეჯილი და მის ენერგიას გასავალი გზა მოესპო. მუდამ საზღვრებზე მოდარავე და სამშობლოში სტუმარი წოდება უცებ მასპინძელი შეიქნა და მთელი თავისი გულის წყრომა ყმაზე ამოიყარა. აქ მათში გაიღვიძა თავისი ცხოველური სიძლიერით თავის შენახვის ინსტინქტმა და მოინდომა იმაზე მეტი ჩაენთქა, რისი მონელებაც შეეძლო. რუსული როზგიც ხომ ხელში მისცეს და გუშინდელი რაინდი დღეს უგუჯო მეშოლტე შეიქნა. სვანეთში, სამეგრელოში და გურიაში ბატონების სრული თვითნებობა და ყმის პიროვნების უარყოფა უმწვერვალესობამდე განვითარდა. თითქოს ალოო აელოო, რომ ყმის ზურგზე თარეშს მაღებოლოც მოედებოდა.

სამეგრელოში 1856 წლის ამბების პირდაპირი მიზეზი სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანის უკომო ექსპლოატაცია იყო.

¹⁾ ივანენკო, გრაжд. უპ. ვაკავკაზ. 128 გვ.

ამ ერთგული ადამიანის სამსახური დედოფლისათვის სწორედ დათვის სამსახური გამოდება: მეტის შეძენის ნაცვლად, დედოფალს ისიც კი დააკარგვინა, რაც ჰქონდა. პირველი აღი აჯანყებისა დედოფლის სოფლიდან სალხინოდან ამოვარდა. იქ მოხდა ის თავისებური სეცესია, რომელიც შეიქნა წინამორბედი, დედოფლის თქმისა არ იყოს, სამეგრელოს რევოლიუციისა, რომელსაც თავისი მარატებიც და დანტონებიც გამოუჩნდნენ. დასაწყისში ეგ მეტობული უაკერია სახლთ უხუცესის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ თან დათან, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, უფრო გონიერი სახე მიიღო. დედოფლის მოსვლამდი, სამეგრელოს მმართველად დატოვებული გრიგოლ დადიანი გულგრილად უცქეროდა ამ არეულობას, რადგანაც იმედი ჰქონდა, იგი თავის საპირადო საჭმისათვის გამოეყენებინა დედოფლის წინააღმდეგ. ხალხი დიდის იმედებით ელოდა დედოფალს და კიდეც შეჰვალადა მას თავისი გაჭირვება, მაგრამ სად მომხდარა, რომ მეფეს ყმის გულის ნადები სავსებით შეეგნოს და დედოფალმაც მზა-მზარეულ ძალას მიმართა. სამეგრელოს გლეხობა იმ თავითვე ძლიერ დაბეჭივებულ მდგომარეობაში იყო და ახლაც ერთხმად ამბობდა: „ჩევნი სამშობლო შეგვზარდა ჩვენ; გადავსწყვიტეთ მივანებოთ მას თავი და საღმე გადავიხვეწოთ... დეე, რაც მოგვივა მოგვევიდეს, დეე ყველანი დაგვხვრიტონ, მაგრამ აქ ჩვენ არ დავბრუნდებით. რაღა სამშობლოა, საღაც მოსვენება ვერ გვიპოვნია, სადაც შენზე როგორც მხეცებზე ისე ნადირობან“¹⁾.

¹⁾ Бороздинъ. Воспом. о Мингр. и Святейш.

ასეთ აზრს ადგა მოთმინებულია გამოსული გლეხობა, მაგრამ როდესაც საქმეზე მიდგა, იმის ნაცვლად რომ ბრძოლა განეგრძო, მან ნება მისცა მოხრილ ქედზე ახალი უდელი დაედგათ. დედოფალმა არ იკადრა სიტყვის გატეხა, არ ულალტა რუსეთს, სიხლოვესაც არ მიიკარა ინგლისის აგენტის ლონგვორტის, საფრანგეთისა შამპაუზენის და გრაფი მეფრეს წერილები, რჩევა და დახმარება სთხოვა ისევ რუსეთს, რომელმაც გლეხები კი დაამშვიდა, მაგრამ სამეგრელოს ავტონომია კი იმსხვერპლა. თვითონ დედოფალსაც დიდი მზრუნველობა აღმოუჩინეს: ოგი მოაშორეს ამ ვაი-ვაგლახით სავსე ქვეყანას და გადასახლეს რუსეთს, ამ ქართველ დიდებულთა აკალდამაში.

რა მოუტონა გულუბრყვილო გლეხობას ახალმა მთავრობამ? „ბატონ-ყმობა საქართველოში ძლიერ რთულია, მაგრამ ყმების ზოგიერთ კატეგორიებს ძლიერ გამორკვეული ხასიათი აქვთ: მრავალ შემთხვევაში უბრალო პატრონატი იყო, ყმა მიწის საუკუნო მფლობელად ითვლებოდა, ვალდებულებანი და გადასახადები სამუდმოდ მტკიცედ განსაზღვრული იყო, ზოგჯერ წერილობითი დადგენილება და პირობები არსებობდნენ“²⁾, ვკითხულობთ ი. ჯავახიშვილის წიგნში³⁾). მეფე ვახტანგ მე-VI-ის კანონების 172 მუხლში ნათქვამია: „ტყითა და შეშით სარგებლობა არ შეიძლება (გლეხებისათვის) აღკრძალული იყოს“³⁾; 1785 წ. ირაკლი II-მ უბრანა ამილახვრებს: „არ გაეცედათ გლეხებისათვის აეკრძალათ ტყიდან შეშისა და ურმის მასალების გამოტანა“, აგრეთვე უნდა ნება დაერთოთ პირუტყვი

²⁾ Ист. по лиг. и соц. движ. 36 88.

³⁾ იქვე.

ეძმვებინათ", და უბრძანა დაებრუნებინათ ის ფულები, რომელიც ასეთ სარგებლობისათვის მათთვის გადაეხდევინებინათ" ¹⁾). არც ერთი ეს არ იყო მიღებული მხედველობაში გლეხთა განთავისუფლების დროს, რის სიმწვავემაც აგრე 1905 წელს იჩინა თავი. 1878 წელს ერთხელ კიდევ გაიბრძოლა ხალხმა სილნალის მაზრაში, მაგრამ საქმე იქაც ციმბირმა, რომელმა და სახრჩობელამ გადასწყვიტა.

ზევით ჩვენა ვთქვით, რომ საქართველო რუსეთთან შეერთების დროს არც ისე დააბუნებული იყო, რომ თავი ვერ გაეტანაო. ამას თუნდა თითონ 64 სულ გამარჯვებით დამთავრებული ომი გვიმტკიცებს. მე-XIX საუკუნემ დიდი უბედურება მოუტანა ჩვენს ერს და ჩვენი საუკუნოებრივი კულტურული გზა კი არ შეერთო კულტურულ ერთა შარა-გზას, არამედ, პირიქით, დავშორდით მას და ეკონომიურადაც შესამჩნევად უკან დავიწიეთ. არც ეკონომიური მდგომარეობა იყო მე-XVIII-ის მიწურულში ისეთი უბადრუკი, როგორც ჰგონიათ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ სანამ არსებობს აღვირწახნილი ძალმომრეობა, სანამ აღამიანის პიროვნების ღირსება დათრგუნვილია, იმით რომ ერთს შეუძლიან მეორე თავისი მიზნისათვის, როგორც საშუალება, გამოიყენოს; სადაც განმტკიცებულია ინსტიტუტი კერძო საკუთრებისა, იქ ბედნიერებას და კეთილ-მდგომარეობას ადგილი არა აქვს, მაგრამ ამბობენ არ არსებობს აბსოლუტური ცნებათ და ამას არც ჩვენ ვეურჩებით. აუარებელ ომების შედეგი ის იყო, რომ თითქმის ყველა მეზობელი ხალხი საქართველოს ხარჯს აძლევდა; ამას რომ ნადავლიც მივუმატოთ, რომელიც

გამარჯვებულებს რჩებოდათ მაშინდან გაგვიკვირდება, რომ ქროველი შეიმჩნება თითო ცხვარს ორ უ-ურად ჰყიდდნენ, ძროხას მანეთად და ტყვეებს ორ მანეთად ¹⁾. რასაკვირველია ეგ ფაქტი ვერ გამოდგება ეკონომიურ კეთილდღეობის დასამტკიცებლად, რადგანაც საკითხავია რა ღირებულება ჰქონდა თითონ ფულს, მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ნატურალურ წარმოების სამეფოში დიდი მნიშვნელობა აქვს სანოვაგის საკითხს. ასე რომ ამ მხრით საკითხის გამოსარკვევად საინტერესოა გადაწყდეს რით იყო გამოწვეული, ჩვენი თანამედროვე შეხედულებით, ასეთი სიიაფე: თითონ შუამავალი საქონლის, ფულის სიძვირით, თუ სანოვაგის სიმრავლით. სხვა არა იყოს, ის რათა ღირს, რომ 1811 წელს მთავრობამ ქართულს ეკლესიას 140,330,000 მანეთის ღირებულება ჩამოართვა!! რა თქმა უნდა იმ დროს ფული ძვირი იყო. მაგალ. ამ ასი წლის წინად რუსეთში 1 მანეთი ახლანდელს 18 მანეთს უდრიდა, პრ. კლიუჩევსკის გამოკვლევით, ასეთი მდგომარეობა იქნებოდა უთუოდ საქართველოშიაც და მაშასადამე პირველი შეხედვით არც ისეთი იაფობა ყოფილა, მაგრამ ამასთანავე ის ხარკიც, რომელიც ირაკლიმ მეზობლებს დაადო, ხომ შესაფერად მოიმატებს.

"პოლიტიკურად იმდენად ძლიერი ყოფილა საქართველო, რომ სათათრები, რომელიც რუსეთს თამამად ეომებოდა, საქართველოს ეკრძალებოდა და სულთანი სულეიმან ფაშას ურჩებს: „თავი გაანებე, ნუ გააბრაზებ, არ წამოდგესო“ ²⁾). საქარ-

¹⁾ А. Натроевъ Ираклій II, 12 83.

²⁾ Д-р. Н. Эристовъ-Шервашидзе. Помятная зап. о нуждан. груз. нар.



თველი თავის სისუსტემ კი არ აიძულა რუსეთს მიკედლებოდა, არამედ ერთ-მორწმუნოებამ. რასაც საქართველოს ისეთი „მოკერძნიც“ არ უარყოფენ, როგორც მღ. ვოსტორგოვია: „მართლ-მადიდებლობის გრძნობა აღნებდა ქართველ ხალხს, მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა და ახლოვებოდა საუკუნოებით რუსეთის სახელმწიფოს... მე-XV საუკუნიდან დამოკიდებული, საქართველოს რუსეთისაკენ ერთმორწმუნობა ეწეოდა“¹⁾. ჩვენ არ შევეხებით იმ ძველ დროებს, როდესაც საქართველოს არსებობა საეჭვო. არ ყოფილა და როდესაც მათი კულტურაც იხსენებოდა; დევ, ამ დროებზე და წარსულ დიდებაზე სპეციალისტ-სწავლულებმა მოგვითხრონ, აქ მხოლოდ პროფ. ბროგეაუზის აზრს მოვიყვანთ: „ქართული მწერლობა და კერძოთ მისი პოეტიური ნაწილი, იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც ამ უამაღ გვაქვს, არ ეყუთვნის იმ მწერლობათ, რომელთაც კაცობრიობის კულტურის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნეს... მაგრამ მოვიგონებთ რა იმას, რომ თურქებთან, მუსლემინებთან, მონლოლებთან განუწყვეტლივ ანვითარებდა და ამუშავებდა პოეზიას და მეცნიერებას, არ შეგვიძლიან თავი შევიკავოთ და ჩვენი განციფრება არ გამოივხატოთ ამ ხალხის კეთილშობილურ და ვაჟეაცურ ხასიათის წინაშე“²⁾. სრულიადაც არ არის გასაკვირველი ის მოვლენა და აღვილი ასახსნელია, თუ რათ ვერ შექმნა საქართველომ „კაცობრიობის კულტურაში ეპოქა“. მთელი საუკუნოების განმავლობაში ბარბაროსებით გარს შემორტყმული და

მათთან მუდმივ ბრძოლაში გართული ნაბიჯით მიიზღაუნებოდა პროგრესის გზაზე. ძლიერ სახელმწიფოებს ისტორიაში ისეთი ბედი არ გუნა, რომ მათ შეეძლოთ სხვის დაპყრობაზე და ახალ-ახალ ექსპედიციებზე ეფუქრათ, მაშინ როდესაც საქართველო მხოლოდ თავის დაცვას ანდომებდა მთელს ენერგიას. ახლობელ მეზობლების მხრივ დაუწყნარებელ ომის გრძვინვა მოისმოდა და კულტურისან ქვეყნებიდან კი საქართველო მოწყვეტილი იყო. საქართველომ (თვით) არსებობისათვის ბრძოლის შეალია თავისი ძალალონე და თუმცა სამშობლო დაიცვა, მაგრამ, იღიას თქმისა არ იყოს, ყველაფერი მას ანაცვალა¹⁾.

1) მართალია ფილიპე შახარაძე ძლევა-მთასილად გაიძის: „უფეხული თმი, სისხლის დვრა, დაჭატი; როთ ისახელეს თავი ვახტანგი გროგასლანმა, ბაგრატ III, დავით აღმაშენებელმა, თამარ მეფემ, ერეკლე მეფორემ?.. გარდა სისხლის დვრასა, შეუწევებელი რეჟიმია, ადამიანთა უფეხულისა ჩვენ ვერადევის გერც თამარ მეფის დროს და ვერც ზევით ჩამოთვლილ პირთა შედგაწეობაში“, (დანელ ჭონქაძე და მისი დრო, 6 გვ.) მაგრამ ფილიპესაც კი არ ეპატიება ის ბაჟუური ჭუმანიზმი, რომელიც მოითხოვს გახტანგი გორგასლანისაგან, ბაგრატ შე-III და დავით აღმაშენებელისაგან იმ საერთაშორისო შევიდობაზეას, რომელიც შე-XX საუკუნეშიაც ზოგადი სიტუაცია არის დარჩენილი. ცხადი უნდა იყოს ვინ უფრო მომზადებული უფროისაც ცხოვრებისათვის: გახტანგი გროგასლანი, რომელიც დაემუდა სმლით დატრადებდა, თუ ისინი, ვინც მტრის მახვილს ქრისტიანული თავდაბლობით გულ-ხელ დაკრეულილი ებებებიას. არის ისეთი მომენტი ხალხის ცხოვრებაში, როდესაც საზოგადოება იმდენად უხსიათო

1) О. I. Восторговъ. „Церковная школа въ Закавказіи“. „Народное образование“ 1905 г.

ამნაირად უბრალო ქინიანობა არ არის, როდესაც ვიმეორებთ, რომ მე-XIX საუკუნეში საქართველოს კიდევ შეეძლოთავისი დღენი გაეჩანჩალებინა. მართლადაც 1801 წლიდან მოკიდებული თითქმის მთელი საუკუნე საქართველოში თოფ-ზარბაზნების ხმა არ მიწყნარებულა. რუსების შემოსვლამდი ხომ დიდი ვითვაგლახი გამოიარა ქვეყანამ და გამარჯვებული გამოვიდა. „ოქროს ვერძმა ბოლოს და ბოლოს მოიპოვა თავისი პატრონი;

და მოდუნებული ხდება, რომ იგი მის შეურაცხმელთველი პირის მხარეს იქნებს, მხოლოდ თავისი სიბეჭავით და არა იმტრომ, რომ იგი ვითომ სიამავით და ზიზღით თვალს არას დებდეს დანაშაულთბასო, ამბობს ნიცშე, მაგრამ ეს სიტყვები თუ აწინდელ საქართველოს შექება, თორებ დავით ადმ. შენებელის ეპთქას სულ არ უდგება და იგი ვერც მოიქცეოდა ისე, როგორც ფილიპე მახარაძე ქადას გებს. მახარაძეს რომ შესძლებოდა, იმ წარსულ ცხოველების შინაათსის შეგნება, რომ შესძლებოდა იმ ცხოველების ფილოსოფიას ჩაჭკვირვებოდა, იგი დამშვიდებით იტეოდა: „მაშინ საქართველოს თავის დასაცემელად მხოლოდ იარაღი ეჭირებოდა და გამა იმ სალეს, რომელსაც მტრის მოქნეულ ხშილს ხმალი შეუსევდა“. მაშინ კი არ შემდეგ მიაც რამთა დენიშე საუკუნის განმავლობაში ის დრო იყო, როდესაც საუკეთესო ადამიანთა დაკვირვებას ასეთი დასეგნა გამოჭერდა: „Homo homini lupus est“ და თუ ჭრის ფორმულა შირვებულებული მდგრადარებისათვის ძლიერ გადაჭრის ბულებული იყო, მას თამამად შეეძლო საშუალო საუკუნის აწერილ და მოუსვენარ ეპთქაზე ეთქვა: bellum omnium contra omnes. ამ დროს მუშავებოდა ამნაირი აზრები: si vis pacem — para bellum და რამდენათ უფრო მეტი სასიცოცხლო ძალა ჭრისათ იმათ,

იგი მოვიდა სკვითიიდან და არა ჰელინოს ქვეყნიდან, უთვალავმა არგონაგრებმა სტეფა და სხვა სჯულისა და საუკუნოებისამ ბევრი ბლუჯა მატყლი იმოგლიჯეს ამ ოქროს ტყავს და ძლიერ შეთხელებული ჩაუვარდა იგი რუსეთს. რა ძლიერ გამოიცვალა იგი იაზონის დროიდან „ო! სწერს ავალიშვილი. ამ ახალმა პატრონმაც ბევრი დავიდარაბა შიაყენა საქართველოს, მაგრამ ხომ ჰელიშვილი გამოვიდა. „ოქროს ვერძმა ბოლოს და ბოლოს მოიპოვა თავისი პატრონი;

გინც ასეთ დროს კბილისა წალ გბილს თხოულობდნენ და თვალისა წილ თვალს! ახლა კა, ახლა?! განა ფ. მახარაძე სხვანაირად იქცევა? განა ახლა კი იგი ხალხს პირველ საუკუნეა ქრისტიანულ მონასტრების აგონებს?! განა იგი ეთხებისა დ. ტოლისტოის მოთმინების თორაიას? დეე, მასგე დარჩეს მისი წეალ-წეალ ჭუმანიზმი, ჩვენ კი ჯერ კიდევ გამბირთ: „თუ გინმემ მარჯვენა უბაში გრძას, მარცხენას კი ნუ მიუშერ, ისეთი უთავაზე, რომ მოძრუნება ველარ გაგიბედოსთ“. „რა გავეთეს“ სხვა „დიდებულმა მეფეებმა“: იქლიუს კეისარმა, ალექსანდრე მაკედონელმა, ნაშრლენებმა და სხვა ათასში? რასაკვირველია არაური ავაზავიბისა და სისხლის დროის მეტია იტევის ფილიპე, მაგრამ ამასთანავე იგი არ ამბობს რომაელებს, ბერძენებს, გერმანებს და ფრანგებს ისტორია არა აქვთთ, როგორც ამას ქართველებზე ამბობს. რა საზომით, რა თვალისაზრისით უნდა მივიდუს ისტორიისი ქართულ ისტორიასთან, კითხულობს დიმილით ფილიპე. როგორ თუ რა თვალსაზრისით?! ასებითს თანაირი შეხედულება, როცნაირი მეტოდი, თანაირი თვალისაზრისი; ერთი უფრო ძველი, რომელსაც ესხრიბოდნენ თვით ისტორიის მეცნიერების ჩასხვიდან და მეორე კიდევ ბოლოითა და ტიერით იქვება. პირველი დაინტერესებულია გმირთა, გენიოს-



მეორე საუკუნეშიაც გამოსცადა, როგორც ვიღაცამ ნაღვლიანად იხუმრა, ყოველგვარი „ხანების“ შემოსევა; ერთხელ კიდევ გადაიწვა და გადაიბუგა იგი ერთი კუთხიდან მეორემდე და კიდევ სასოებით შესკერის იგი მომავალს. სამაჰმადიანოდან შეჩვეული ჭირი გადაიტანა, სკვითიიდან

თა, მეფეებისა და საქართველო შესამჩნევე პილავებითა მოქმედებით და იკვლევს მათ გავალით ისტორიულ გზას. შეორენი აშშაბენ, რომ ისტორიას შიროვნება კი არა ჭემნის, მას საჭირო ჭემნისთ და შირველ რიგში მასსა გამოჟავთ. რომელი მიმართულების მიმდევარი ბრძანდებით თქვენ და რომელი საზომით მიუსახლოვდით ჩვენს ისტორიას? ჩვენს საჭირს, ეს, მოქლეს მასსას, რომ ფართოდ ვაჟაფავის თავისი ისტორიული გზა, ამას მისი ახლანა დელი არსებობს, იგი კადეცი იბრძის, აზროვნებს, სცოცხლობს, რადგანაც უმისრადა შეუძლებელია უფლებელ ჯგუფისათვის მცენარიდან მოქალაქებული ადამიანს მდე. მეფორე შეირთ კიდევ უური დაუგდეთ და გარკვევით გაიგონებთ საერთ სადარაჯოდან გმირ გუშაგთა უივილს; აქაც ნიცშე და შემოწეულის თქმისა არ იყოს: „საუკუნეებთა უდაბნოში ერთი გენითსი მეორეს ხმას აძლევს და მთულენარ ფუსფუსს გაცუნების ზეგიდან ერთი ძალაშეც მეორეს ებასება“... არ ღრებარ საზომი, რომელთაგან ერთით მაინც გაიზმება ჩვენი ისტორია; მაში რათა გრონიათ, რომ ჩვენ ისტორია არა გვაქვს! უჭი, ეს იმის ბრალია, რომ ურთ დროს ჩვენში მოდათ იქთ ჩვენი წარსულის მითურთხება და თქვენც მას წისძილ წაჭერით. დამტკაცებულია, რომ ადამიანების საზოგადოებაში ბრძალა არსებობისათვის იმ სახით არ სწამოქმებს, როგორთაც სხვა ცხოველთა და მცენარეთა სამეფოში. ინდივიდუალური ბრძოლა არსებობა

შეუჩვეველ ლხინსაც გაუძლო, კულტურულ ზეობრივათ მაინც გამარჯვებული გამო-ვიდა და რუსეთის დიდ რევოლუციაშიც თავისი განსაკუთრებული ელფერი შეიტანა. როგორდა შეიძლებდა საქართველო ყოველსავე ამას, იგი რომ ერთი საუკუნის წინად სიკვდილის პირად ყოფილიყო?!

ბისათვის დაწულბრუნვი მცენარეთა სამეფოდან *) თანდათან უთმობს ადგილს კოლექტიურ ბრძოლას და ამ უკანასკნელთა საზოგადოებაში იგი თითქმის სრულიად იკარგის. „მე ვერსად გერ ვაზოვე ერთ და იმავე გვარის ცხოველთა შორის ის გამწვევებული ბრძოლა არსებობისათვის, რომელიც ბეჭრ დარგინისტეს (ხანდახან თითონ დარვინისაც), ცხოველების უმთავრეს დამახსიათებელ მოვლენად და ეკოდაუციის უპირველეს ფაქტორად მიაჩხდათ“ - ა, სწერს კრიშოტებინი (Взаимная помощь, какъ факторъ эволюціи. Введеніе, I стр.).

ჯგუფებრივი ბრძოლა, ბრძოლა ერთბრივი და რასებრივი, როგორც კლასობრივი ნამდგრები ფაქტია და იგი არსებობს მიუხედავად იმისა, ეთნოსებათ თუ არ იგი ჩვენს ზნებრივ შეგრძნებას. მახარაძეზე უფრო საღად უცემენის ამ საკითხს ნ. ჟორდანა (გვალი 1900 წ. № 51. „ჰატირა შასუხი დიდს კითხვაზე“). ამ უური დაუგებდოთ იგი რას ამბობს: «რა კი კვეუაზე ვინშე იშეა, არის ეს ბუნების გვირგვინი, თუ უბრალო ჭია, ის ამით იძულებულია თავის თავი დაცეს და სანკრძლივი არსებობა უზრუნველ ჭეოს .. ეს ბუნების განხილა... ამ კანონს ვერ გადაუხევს ვერც ერთ... რაკი ერთ არსებობს - ის ძალა უნებულად ერთგულ ცხოველებას ეწევა და მას

*) წარმოიდგინეთ, ერთი გვარის მცენარეებიც კი კოლექტიურ ბრძოლას ეწევიან სხვა გვარის მცენარეებთან.

ჩვენ გვწამდეს, რომ არა გვიშავს რა, სანამ სულიერად არ დავძაბუნდებით; შეგვეძლოს ლეიბინიცივით გვწამდეს, რომ ქვეყნად არსებული „ავი“, „კეთილის“ აუცილებელი პირობაა და უ „ავოთ“, „კეთილი“ არ იარსებებდა; რომ შეგვეძლოს ამ ლოზუნგის მიღება: „რაც უარესი—მით უკეთესი“-ო, მაშინ შეიძლებოდა კიდევ გულგრილად გვეცეირა არსებულ უბადრუკ მდგომარეობისათვის, რადგანაც

სხვანაირი ცხოვრება არც კი შეუძლია“. (დად, ამ გნონს „ერთ კერ გადაუხვევეს“, მხოლოდ თითონ ნ. ჟორდანიამ ძლიერ მაღავ გადაუხვია: სახეში მაქვს მისი თანაგრძნობა ინგლისელებისადმი ბურებთან ბრძოლის დროს. (იხ. ამის შესხებ ს. ხენდაძის წერილი მის თხზულებებში). ეს აღნუსტები კანონი ჩვენ შემდეგ დასკვნას გვიყარნას ქედი: ქართველი ერთ არსებობდა და მას უფეხლივე ხერთი უნდა ეხმარა, რომ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოხსულიერ. რასკვირველია, თქმეთ, ყლეტა-რბეჭა, სისხლის დერა მეოცე საუგშნები ისეთი ანთოლიაა, რომელიც კაცობრების გრძნობით გამოიყოფა.

შეიძლება უმშვერვალესმა გრაფიკულებამ აალაპარაკოს უკიდურესობამდე მიყვანილი ხალხი.

ამბობენ მწერლობა ხალხის ცხოვრების სარკე არისო და თუ ეს ასეა, ახლა ჩავიხედოთ ამ სარკეში და შევაფასოთ მისი მხატვრული ნაშენობა.

ს. დადიანი.

(შემდეგი იქნება)

ჭვალულს ადამიანს გულს უკავას, მაგრამ იგი ჯერ კიდევ დიდ ხანს იარსებებს და ვინ იცის რაოდენი გულის მომწევლელი სიმართლეა რენანის სიტუაციაში: „ისინი, ვინც ალექსანრე მაკედონელს გიუს უწოდებენ, რომელმაც მთელი აზია აახსრა მსოფლიდ თავის სიამოვნების გულისთვის, სულელები არიან. რა მოუკიდდა ადამიანს გენიოს, ალექსანდრე მაკედონელს, რომ თავისი სისწაულისებური მგზავრობა არ მოეხდინა! არა, თქმები და ხალხთა დაპურობანი პრიგრესის იარაღი იუგნება!“-ო. (Неизданные наброски Ренана. „Рეზь“ 1910 г. 4 янв.).

ფილოსოფიური მსოფლი-მხედველობა

დადამიანს, როგორც მთაზრე არსებას, ამ შეუძლიან იცხოვონ სიცოცხლის ძირითადი გითხვების გამოურკვეველიათ. ადამიანი განუწევეტოდ დაქმებს დიდია და სამარადის ჭეშმარიტებას და ცდილობს იქნიოს განსაზღვრული მსოფლი-მხედველობა დამუარებული სადს აზოვნებას და შეცნიერებაზე. რომ გადავავლოთ თვალი კაცობრიბის კულტურულისტორიულ ცხოვრებას დავინახავთ, რომ ამ მიზნისათვის არიან შექმნილი სხვა

და სხვა გვარი რელიგიური, ფილოსოფიური და შეცნიერული მოძღვრებანი. აშასთან ჩეენ ვხედავთ, რომ წარსული საუკუნეების განვახულობაში ხშირად უავილა ისეთი ხანა, როდესაც ადამიანი ადრ კამატებულდება ასკებული მსოფლი-მხედველობით და მასზე დამუარებული მრავლებრივი ცხოვრებით.

ეს ხდება მაშინ, როდესაც ადამიანის გონიერივი განვითარება უსწრებს წინ არსებულ მსოფლი-მხედველობას; ან და კიდევ, როდესაც

ბუნების მიუცილებელი მიზეზების ზე გავლენით იცვლება ადამიანის გარეგნული მდგრადა რეალია. აი ამ დროს ადამიანი უარესობს თავის ძეველ ღერძებს და ცხოვრებას. ის კვების თვალით უძრენის ცხოვრების უფლება შეარქს; გრძნობის მათს უხერობის და უარს ჰუთობს მთელ სისტემას მოძველებული ცხოვრებისას თეორიას და პრაქტიკაში.

ამ გმიარათ ჩენდება ცხოვრებაში ღროვბითი გამოურტკეველობა, უწესწეობილობა, ანარქია. ადამიანის არ შეუძლიან დამშვიდებული ცხოვრობის ასეთს მდგრადარებაში. ამიტომ ის გაფარიცებით დაქმებს ახალს იღებულის, ახალს ნიადაგს არსებობისათვის, ახალს საფუძველს, რაზეც უნდა დამიქაროს თავისი ქვეენიური ცხოვრება. ამისათვის ბუნებრივათ ძეველის დანგრევიდნებე იწევბა შექმნაც ახალი მსოფლიოებისათვის; სისტემისა; რომელიც შეესაბამება, ან რამდენიმე საუკუნით კიდეც უკრიებს წინ თანამედროვე ცხოვრების განვითარებას. მაგრამ ვინაიდან ბუნებაში უკეთესერი ცვალებადი და გარდამავალი არის, ამიტომ უკეთ თეორიები ცხოვრებისა რამდენიმე ხის არსებობის შემდეგ ისევ ძეველდებან და მათ მაგიერ იძალებიან ახალი თეორიები. ასე მისადინარების დღემდი კაცობრითის განვითარების ისტორია და ასე იგრის ის შემდეგშიც, შეიძლება მხრიდან უკრო სწორი და ჩქარი ნაბიჯით.

არსებობს რეგული მსოფლიოსებულებელია: რეალიგიური ანუ ღიგმატიური და მეცნიერული ფილოსოფიური ანუ კრიტიკული. შირველით სელმდგანელობის ცხოვრებაში მასსა ხალხისა, ავტორიტეტის მსაჭირებელი და გრძნობის (ინტეიციის) შირნი. მეორეთი კი სელმდგანელობებს შეცნიერნი და თავისუფლად მოზრენია ანუ ფილოსოფიკნი.

ურიად შესანიშნავია ის მდგრადარება, რომელშია იშეთვება ადამიანი მსოფლიოსებულების დაკარგვის და სელმდგანელი მისი პრე-

ნის ღროს. უოველი თეორეტიული და ტექნიკული გამოურტკეველობის ღროს ადამიანი დიდად შეწევებული არის. ის გზა დაბნეულია და არა აქვს გამორკვეული მიზანი, საითვისაც უნდა მიიღო ტვილების. ის ბევრათ უფრო უბედურია სულიერად, ვიდრე ჩექს მას გხედავთ გარეგნულად. ამიტომა, რომ უფლება ანარქიზმის და იდეიური გამოურტკეველობის ღროს ხდება მრავალი კერძო და საზოგადო უტებულობანი: საერთო აჯანყება, აუარებული მეცნიერობისა და თვით მკვლელობანი, უმრავლესობის გადატავება და სხვანი.

მაგრამ როგორც კი იშვის ადამიანი განსაზღვრულ მსოფლიოსებულობას, ის მაშინვე მთელს თავის ცხოვრებას შეუთანხმებს მას და რწმენის უფლება მუხლის შესრულებაში პაულობს ჯერვენ ბედიურებას. ადამიანი ბედიურად გრძნობის თავს, როდესაც ის სავსებით ემსახურება თავის რწმენას; ხოლო ის უბედურად გრძნობის თავს, თუ მოკლებულია საშვალების გაახორციელოს ცხოვრებაში თვითი რწმენა. ხშირად ასეთ თუ ისეთ რწმენას მიჰევას ადამიანი ისეთ ბედიურ მოქმედებას მდი, რომელიც ასეთი რწმენის არამატერიალობის დიდ უბედურებათ და სასჯელათ უნდა ჩაითვალოს. ასეთი არის, მაგალითად, ბუდიზმის ნირვანა, ასკეტიზმი და სხვანი.

თუმცა მსოფლიოსებულებელის შემუშავება დამოკიდებულია ადამიანის განვითარებასა და გარეგნულ მდგრადულაზე, მაგრამ განენისა და განვითარების შემდეგ ამ მსოფლიოსებულობის დიდი გავლენა აქვს მთელი ცხოვრების მოწყობაზე. როგორიც აზერბაიჯანი და რწმენითაც არის ადამიანი აღწერვილი, სწორედ მის თანახმად აქვს მოწყობილი თავის კერძო და საზოგადო ცხოვრებაც: სახელმწიფო ფილოსოფია, რემარკები, ჩემები, ჩვეულებები, ტანისამოსი, სამეცნიერო და სხვანი. აქედან ცხადა, რომ როგორიც უნდა იყოს მსოფლიოსებულების, მას, როგორც გნისაზღვრულ და დას-

რეზებულ მოძღვრებას მსოფლიოსა და ცხოვრების შინაგანსე, დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. მსოფლი-მხედველობა უსსის ადამიანის ცხოვრების უმთავრესს კითხვებს და აძლევს მას მიზანს და წესს ცხოვრებისათვის.

იდეალების საშუალებით ადამიანი თანდათან ვითარდება. ამ განვითარებას საზღვარი არ აქვს, რადგან იდეალები მუდაშ ვითარდებიან და წინ უსწრებენ ადამიანის ცხოვრებას. ადამიანის აქვს ისეთი სულიერი და ფიზიკური ძალა (გონების განვითარებით), რომლის საშუალებით ის უოველ მიზანს ახორციელებს; რაც ჩვენ დღეს შეუძლებლად მიგახნია, ის ხეალ ადამიანის განვითარების გაზრდით შესძლებელი ხდება. კაცობრიობა მოქმედად შიგი უფრო დიდათ დაიმორჩილებს ბუნებას და უოველინად ისრგებლებს მით. ადამიანის გარეგნული მდგრადარება შეიქნება შესამნენებად ძლიერი და ბრწყინვალე. ადმორჩინანი და გამოგრძებანი შეცნიერებაში, ხელოვებაში და ტეხნიკაში მოგვიცებენ ჩვენ საშუალებას ვიცხოვოთ დავიღად და ფართოდ. ეს მუდმივი მისწრაფება განვითარებისადმი, იდეალის განხორციელება და ახალი იდეალების აღმოჩენა შეადგენენ ადამიანის დირსეულ ცხოვრებას. ხოლო იდეალების გაქრთბა, უმიზნობა მომასწავებელია ადამიანის მისამისისა. ადამიანის უდევალოო, უმაღალ მიზნოთ ცხოვრება შეუძლებელია, თუ ის სადი წესით არას აღზრდილი და მასთან სადას და თავისუფალ სფეროში ცხოვრობს.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ უოველივე ამით მე არ მინდა ვსოქვა და ურიგოთაც ვსოვლო, რომ განვითარებისადმი მისწრაფებამ გამოიწვის ადამიანთა შორის მოუსივრნარი და დატანჯული ცხოვრება. შორის უნდა იყოს ჩვენგან ისეთი მისწრაფება ცუდი ან მიუწოდებული, რომელიც ჭიადებს ჩვენში სიმოვნების მაგიურ შეწეარებას. შირიქით, უოველი მის-

წრაფება თავისთავადაც უნდა შეადგინდეს ადამიანისათვის სისარულისა და ბედნიერებას.

ასეთი არის ჩვენი სურვილი, ცხოვრებაში კი სშირად ვერ გხედავთ სრულს ჟარმინიას განვითარებისა და ბედნიერების შორის. ისტორიული ცხოვრების განხილვა ნათლად გვიჩვებებს, რომ გარეგანი წარმატებანი თავისთავად არ აძლევენ ადამიანს სასურველ ბედნიერებას. ადამიანი რომ შესაძლო ბედნიერი და გმაუდილი იქმნეს ცხოვრებით, ამისათვის საჭიროა გარეგან განვითარებასთან მისი შესაფერი ფილოსოფიურ-ზნებრივი მსოფლი-მხედველობა, რამაც უნდა მისცეს ადამიანის სულიერი სიშვილე და გმაუდილება.

ეგოლუციონურმა განვითარებამ მიიუგანა ადამიანი ფილოსოფიამდი და მიიტომ რამდენიც უნდა გვიცადოთ ფილოსოფიური საკითხების გვერდის ახვევას, ჩვენ ამას ვერ შევძლებთ. ადამიანის უოველთვის აქვს ასეთი თუ ისეთი ფილოსოფიური შეცდეულობა ცხოვრებაზე.

ფილოსოფიური მსოფლი-მხედველობის ძარითად დებულებებს შეადგენენ ახსნა და შეგნება შემდეგი კითხებისა: ვინ, ვართ ჩვენ? რა არის მთელი მსოფლიო? აქვს თუ არა მსოფლიოს დასაბამი და დასასრული? როგორ დამტკიცებულება გვაქს ჩვენ მსოფლიოსთან? თვითმეტობა მსოფლიო თუ ჰყავს მას შემომქმედი? რა არის სიცოცხლე და სიკვდლეი? გვაქს თუ არა ჩვენ ნების (მოქმედების) თავისუფლება, თუ ჩვენი არსებობა სავსებით დეტრამინისტრურია (უთავისუფლო)? რა არის დანიშნულება მსოფლიოსი და გერძოთ ადამიანისა? რა დირსებულება აქვს ჩვენს სიცოცხლეს? და სხვანი. ეს კითხები მუდმივი არიან ფილოსოფიისათვის. ახსნა კი მათი სხვა და სხვა გვარის სხვა და სხვა დორში. ეს ახსნა დამტკიცებულება ადამიანის განვითარებასა და მდგრადრებაზე.

როგორც ზუგით ვსოქვი, გადის დორ და მა თუ იმ ფილოსოფიურ სისტემას უდიბეს

კრიზისი. ადამიანთათვის ეს გრიზისი ხშირად დიდათ ტრაგიურიც არის. ამ დროს ასევებული მსოფლი-მსედველის უღველი მუხლი იროვება. ასევებობს, აზრთა და ინტერესების საშინევლი შეჯახება, წინააღმდეგობა. საითაც უნდა მივისედოთ უჟღების, როგორც საზოგადო, ისე კერძო ცხოვრებაში სუვერენი უიმედო შესიმიზმი, ნიგილიზმი, სეპტემბრი და სოფისტია. ადარ არის ღდეალები და ზნეობრივი ძალა საცხოვრებელად. ცხოვრება შიშულდება და ჩნდება მისი უოველი წელები, სატრივარი. სოციცისებს დიასტებულება ეკარგება. უველას უმძიმს ცხოვრება და დღითი დღე გადიან ცხოვრებიდან თვით შევლელაბით დღით დღით და პატარა, მდიდარი და დარიბი, შეწავლული და უსწავლელი. სოლო დანარჩენები სარბად ეცილებიან ერთმანეთს ცხოვრების წვრილებისა და ამოებაში. ადამიანს არ აქვს რაიმე მაღალი და გეთალშობლური; ის ჩაფლულია მსოფლი თავის გწრო ეგრიზმისა და ტრანქ ცხოველურ ინსტინქტებსა და სურვილებში. ადამიანშია არ იცის, რას მოკვიდოს სელი, მას არა აქვს რაიმე მუდმივი მისწრავება და მიზანი. ის უოველ წერძი იცვლება და ცხოვრების უოველ დღიურ მოვლენებს ბრმად ემონება; ეცემა სულიერადაც და ფიზიკურადაც და საცოდეად მიათრებს თავის ასევებობას. კაცობრითია, სახელდობრ, უმრავლესი და საუკეთესო საწილი მისი, იღუპება ასეთი გამოურკვევლობით. ამ დროს ადამიანს უდგას წინ კოფნა თუ არ კოფნის საკითხი. აი ამ საკითხის ახსნა მეტის სისწონით და ადამიანთა შეტის რიცხვისათვის შეადგენს გალდებულებას უღველ კეთილ მოაზრე და მკრძნობით კრიზის.

მაგრამ კრიზისი და ტრაგიზმი ფილოსოფიის ისტორიაში ჩვეულებრივი პერიოდული მოვლენის არან, რომელთაც უღველთვის მოჭულება ახალი უმჯობესი ფილოსოფიური სისტემა და ახალი უმჯობესი პრაქტიკული ცხოვრება.

ცხადია, რომ ადამიანს ისტორიიში შემოგვიანებული მსოფლი-მსედველისა ერ დაკავშიროვილების. ამიტომ აუცილებელია შემწინა ახალი ფილოსოფიური სისტემისა. ეს ასაფი მსოფლი-მსედველისა რომ საკმაოდ სწორი და უნივერსალური (სუვერენითა) იქნეს, ამისათვის სასკირდია ის შეადგინდეს უველა სამეცნიერო ცოდნის დასკვნათა ჭარმინიულ სინტეზის (შეერთებას). ფილოსოფიური მსოფლი-მსედველობა - მშენდობული უნდა იყოს დაგავშეირებული ემპირიულ მეცნიერებასთან და ერთად მასთან უნდა ვითარდებოდეს და იზრდებოდეს. ჩვენი ცხოვრება და ჩვენი მეცნიერებული განვითარება ეფოლუციონური არის და ამიტომ ჩვენი ფილოსოფიაც აუცილებლად ეკოლუციონური უნდა იყოს.

ჩვენ ვიცით, რომ ცხოვრებაში მუდამ არ ასებობს არა ერთი, არამედ რამდენიმე, ხმირად შრინცისალურად ერთმანეთის მოწინააღმდეგები, მსოფლი-მსედველისანი. ამიტომ აქ თავისთვალი იძალება საკითხი, თუ რომელი მსოფლი-მსედველისა უნდა იარჩიოს ადამიანში სახელმძღვანელოდ თავის ცხოვრებაში. რასკვირველია, ასებულ მსოფლი-მსედველისათა შორის ერთს რომელიმე მათგანს აქვს სხვებთან შედარებით შეტი სისწონე მეცნიერებულის შერით. არჩევა კი ამა თუ იმ მსოფლი-მსედველისა სშირად დამოკიდებულია თითებული ადამიანის ინდივიდუალურ სასიათსა, განებრივ განვითარებასა და სოციალურეკომიურ მდგრძიანებაზე.

სოლო ფაქტი მრავალი და ერთმანეთის მოწინააღმდეგები მსოფლი-მსედველისათა ანსებობისა. გვაწვდომის ჩვენ, რომ თითოეული ადამიანი თავისით უნდა ექვიდეს სწორ მსოფლი-მსედველისა მეცნიერებისა და გონიერის საშეალებით. ჩემის აზრით, პირადად ძიება მსოფლი მსედველისათა არის ერთგვარი და მასთან საუკეთესო მსოფლი-მსედველისა. განცხადას კი მსოფლი-მსედველისა ასებულ სისტემებისას

აქვს დიდი შინიშვნელობა იმით, რომ ის ადა-
მიანის გრძებას ანვითარებს; აზროვნებას აჩ-
ქარებს; შეცდომებისაგან ითვარებს და გათვით-
ცნობიერებულს თვით დაწყებინებს შეშაო-
ბას სიცოცხლის უმთავრეს საკითხებზე. თა-
თვეული ადამიანი უნდა აზროვნებდეს იმდენად,
რამდენადც შესწევს ძალა. აზროვნება შეად-
გებს ადამიანის ნამდვილ დირსებას და ბენი-
ერებას.

წინააღმდეგობა ფილოსოფიურ სისტემების
შროის დაშაბრკოლებელი კი არ არის ადამია-
ნის გრძების განვითარებისათვის და კეშმარი-
ტების პოვნისათვის, არამედ ის კიდევ უფრო
ესმარება ადამიანს ამ საქმეში. ასეთი წინააღ-
მდეგობა აიძულებს ადამიანს მუდაშ ეძის მუ-
ტი კეშმარიტება და მით მუდამ წინსკლაში
იყოს, როგორც ამბობს ჰეგელი: *Der Wider-
spruch ist das Fortleitende: წინააღმდეგობა
არის წინმსკლალობა.*

ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ცხოვრების ის-
ტორიული მოვლენებისა. ჩვენ არ უნდა დაუკ-
იტო სეჭით და არ უნდა დავგარეთ იმედი
მომავლისა, როდესაც ვერდებით ამა თუ იმ
განსაცდელში და ვგრძნობთ სიძნელეს მისგან
თავის დაღწევისას. ნე თუ ჩვენ არ შეგვიძლიან
შეგქმნათ ჩვენთვის სასურველი მდგრადარება,
მიგადწით ჩვენს საწადელს, თუ გინდა ამისა-
თვის დიდი შრომაც იყოს საჭირო? სშირად
სიმსთავე და იჭირანობა არის მიზეზი, რომ

ჩვენ ვერ ვაღწევთ სასურველ მიზანი. გვადებუ-
ლობას, იმედიანობას და ბეჭით შრომას კი
ბევრი სასწაულებრივი საქმე შეუსრულება. გინ
იუვნენ ის შესანიშნავი გმირები და გენიასე-
ბი, რომელთაც შეჭქმის განსაკუთრებული სანა
გაცაბრიობის ისტორიაში? ისინი იუვნენ უმე-
ტეს საწილად ჩვეულებრივი ადამიანები, მა-
გრამ რწმენითა და იმედით ადგილზენი; თავი-
ანთ მისწრავებაში დაუდალავი მუშაქი; ჭე-
შმარიტებისა და სიმირლისადმი თავდადე-
ბული და ადამიანის სხვა და სხვა ძალისა და
ნიჭის აღმომჩენელი და გამზრდელი.

უმთავრესად ეს გაბედულობა და რწმენა თა-
ვის ძლიერებისადმი აძლევს ადამიანს იმ ნიჭ-
სა და ძალას, რომლითაც ის იქმს ჩვენთვის
დიდათ საგვირველ საგრიონ საქმეებს.

სწორედ ადამიანის ასეთმა გენისურმა შე-
მოქმედებამ ინდივიდუალურმა გინდა კოლეგი-
ურმა უნდა შეჭქმის ჩვენთვის საჭირო ფილო-
სოფიური მსოფლ-მხედველობა, რომელიც, ერ-
თის მხრით, დააკმაყოფილებს ჩვენს ცნობის
მოვერებას; შერე მხრით კი, გვისწავლის, თუ
როგორ უნდა ვიცხოვორთ პრაკტიკულად, რომ
ჩვენი ცხოვრება სასურველი და შესაძლო სასი-
ამო იქმნეს.

გიორგი მეფარიშვილი.

4 დეკემბერი. 1912 წელი.



სქესობრივი საკითხი

წერილი დასთან

I.

ლამ ქეთო!

შენი წერილი ყოველთვის სიხარულით ასებს ჩემს გულს, რადგანაც მომავონდება ხოლმე ჩენი ბავშვობა.

გახსოვს, ფეხსაცმელებს რომ გავიძრობდით და გავვარდებოდით მინდოორში! დედა კი უკან მოგვდევდა მუდარით: ფეხს ჩაიცვით, თორემ ავად გახდებით.

რა იყო ავადმყოფობა, სიკვდილი, მწუხარება,—ჩენ ამაზე არა ვფიქრობდით, რადგანაც ბუნებას ხარბად ვეწაფებოდით, ვსტკბებოდით და ბეღნიერი ვიყავით.

რა კარგია სიბავშვე!

ხომ გახსოვს, მე და შენ რომ ჯოხებზე გადავჯდებოდით და ჭიხვინ-ჭიხვინით შარა გზაზე ავირბენდით და ჩავირბენდით!

თითქოს დიდი ხანი არ უნდა იყოს მას შემდეგ გასული და შენ კი აგერ ოთხი შვილის დედა ხარ უკვე.

რა მალია ჩენი ცხოვრება!

მწერ: ჩემი ბავშვები იმ ხანაში არიან, როდესაც სქესობრივი კითხვების განმარტება საჭირო და აუცილებელია, და დარიგებასა მთხოვ: რა ვქნა, როგორ მოვიქცეო.

მეტად რთული და მძიმე საქმე დამაკისრე. პასუხის გაცემა ძალიან ძნელია.

ყოველ შემთხვევაში გაგიზიარებ ჩემს საკუთარ შეხელულებას ამ კითხვის შესახებ. საზოგადოთ არის თუ არა საჭირო ბავშვებთან სქესობრივი კითხვებზე ბაასი?

თუ მედველობაში არ მივიღებთ ისეთ ბავშვებს, რომლებსაც სქესობრივი აღლო მეტად ნააღრევად უღვივდებათ, ათ-

თორმეტ წლამდი ბავშვი სქესობრივ კავშირს არ უკვირდება და არც აქცევს ყურადღებას.

ამიტომ ჩემის ფიქრით განმარტება სქესობრივი კითხვებისა ამ წლოვანებაზე აღრე არ უნდა იწყებოდეს.

როდესაც ბავშვი იმ ხანაში გადადის, რომ თვითონ აქცევს ყურადღებას სქესობრივ ურთიერთობას, ჰეშმარიტი ახსნა და განმარტება აუცილებლად საჭიროა.

ჩენი ბავშვები ამ მხრივ ალალი ბედის ამარა არიან. ყოველივეს, რაც ამ კითხვებს შეეხება, დედ მამა ისე უცვევს გვერდს და სრული სიჩუმის სამოსელში ჰმალავს, რომ ბავშვი ვერა ჰბედავს, დედას ან მამას მიშმართოს და ახსნა სთხოვოს.

ვის უფრო ეხერხება ამ გვარ კითხვებზე ბაასი ბავშვებთან?

ეჭვს გარეშეა, დედას.

რატომ?

იმიტომ რომ დედასა და შვილებს შორის უფრო მეტი გულ ახდილობა და მოურიდებლობაა, ვიღრე მამასა და შვილებს შორის.

შვილებს დედა უფრო უყვართ, ვიდრე მამა; შვილები მამას უფრო ეკრძალებიან, ეხათრებიან და ხშირად ვერ ეტყვიან მას, რასაც დედას ადვილად და გულახლილად გაუზიარებენ.

როგორც უკვე მოვიხსენიე, ათ-თორმეტ წლამდი სქესობრივი კითხვების გაშუქება საჭირო არ არის.

რამდენადაც შემინიშნავს, ნორჩი ბავშვის გონება არ უკვირდება ამგვარ კითხვებს.



რას უნდა ცდილობდეს დედა ამ წლოვანებამდი?

იმას, რომ რაიმე მიზეზებისა გამო ბავშვმა ნაადრევად არ მიაქციოს ამ კითხვებს ყურადღება.

ოჯახში ყველა შეუგნებლად ძალას ატანს ბავშვს, სქესობრივ ასოებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

საკამარისია, ორი წლის ბავშვმა პერანგი აიწიოს, რომ მაშინათვე მიაძახონ:

ვუ სიცვილი, სიცვილი, დამალე, დამალეო, და სხვ.

მე მინახავს თავმომწონე მამა, რომელსაც წლინახევრის ვაჟისათვის სტუმრებთან უთქვამს: აბა ჩიტი მაჩვენეო. ბავშვსაც პერანგი ამოუწევია, ან პირდაპირ სასქესო ასოზე წაუვლია ხელი.

თავმომწონე მამას და მასთან ერთად სტუმრებსაც გაუცინიათ გულიანად.

რას გვიმტკიცებს ეს ორი მაგალითი?

ბავშვი ერთის მხრით რწმუნდება, რომ მას აქვს ისეთი ასო, რომლის გამოჩენაც სირცევილია, სხვებისათვის გასახარელი.

მეორეს მხრით ბავშვი გონების გაფურჩქვნისათანავე განსაკუთრებულ ყურადღებას აძლევს თავის სქესობრივ ასოებს.

ის უკვირდება მარტო თავის ასოს კი არა, სხვისასაც და ამ გვარად შეგნება, გაგება სქესობრივი სხვა და სხვაობისა ძალიან აღრე და დაჩქარებულად სწარმოებს.

ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ბავშვში სქესობრივი—სექსუალური გრძნობის აღრე გაღვიძებას.

დედ-მამა უნდა ცდილობდეს, რომ ბავშვს არ მიაქცევინოს სქესობრივი ასოებისაკენ განსაკუთრებული ყურადღება; არც უნდა ჩაუნერგოს ის ცრუ წარმოდგენა, ვითომ სქესობრივი ასოები რაიმე დამატირებელს, სასირცევოს წარმოადგენდნენ.

ბავშვი ისე უნდა უყურებდეს სქესობრივ ასოებს, როგორც ცხვირს, თვალებს, ყურებს, ენას და სხვ.

ნორჩმა ბავშვმა არ უნდა იცოდეს, რა განსხვავებაა ქალსა და მამაკაცს, ვაუსა და გოგოს შეუ.

არ უნდა იცოდეს იმიტომ რომ იმისი ბუნება, იმისი გონება სრულებით არ თხოულობს ამ განსხვავების შეგნებას.

თორმეტ წლამდი ბავშვის წარმოდგენაში სქესობრივი ასოები არ უნდა არსებობდნენ, უნდა იყოს მხოლოდ საშარდე ასოები.

ბავშვი ძვირად უკვირდება, თუ რატომა აქვს ვაჟს სხვანაირი საშარდე ასო და გოგოს სხვანაირი.

და თუ უკვირდება, ეს არის უგუნური აღმზრდელების ბრალი.

ბავშვებში სქესობრივი ალლოს აღრე გაღვიძების და მაშასადამე გარყვნის მოსამახურე და ძიდა განსაკუთრებით უწყობენ ხელს.

ნამეტანი ცნობის მოყვარეობა ბავშვის დამახასიათებელი თვისებაა.

მოსამსახურემ კი ხშირად მოურიდებლად იცის ლაპარაკი და ბავშვს ისეთ რასმე გააგონებს, ან ეტყვის, რასაც შედეგად სქესობრივი ალლოს აღრე გაღვიძება მოსდევს.

ამ მხრივ დედ-მამა და ოჯახიც ხშირათა სცოდავს. ბევრგან ოჯახში ბავშვებთან ისეთ ლაპარაკს გაიგონებთ, რასაც ბავშვებისათვის ზიანის მეტი არა მოაქვს რა.

თუ როგორა რყვნის ზოგიერთი ახალგაზრდა მოსამსახურე ქალი ბავშვს. იმისი მაგალითი არა ერთი და ორია.

ერთ მათგანს მეც გეტყვი.

უნივერსიტეტში მე მყავდა ერთი ამხანაგი და მეგობარი,—პოლონელი იყო. ყოველისტრით კარგი ყმაწვილი მონა იყო.



სექსუალური გრძნობისა. ქუჩაში რომ ქალი მოსწონებოდა, უსათუოდ უკან უნდა დასდევნებოდა, გაეცნო, დაახლოვებოდა. ხასიათის ამგვარმა თვისებამ ის ბოლოს იმსხვერპლა: ქალის გულისათვის მოჰკლეს.

ხშირად ვარიგებდი, რჩევას ვაძლევდი, ვაფრთხილებდი, ვარტხვენდი, ვეხვეწებოდი: შებრძოლებოდა თავის სისუსტეს, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. პატარაობიდანვე გამრყვნეს და ახლა ჩემი გასწორება შეუძლებელია, მასაუხა ერთხელ.

ვინ გაგრყვნა მეთქი, დავეკითხე.

— შვიდის წლისა ვიყავი. ახალგაზრდა მოსამსახურე გოგო გვყვავდა. როცა ჩვენები სხვაგან წავიღოდნენ, გოგო დამიჭრდა, დაწვებოდა, მე ზედ დამიწვენდა, ასოზე ხელს წამავლებოდა, მოსრესდა და სხვა და სხვ. მომიყვა პოლონელი.

— პირველ ხანებში მე მეშინოდა მისი, არ მესმოდა, ვერ გამეგო, რასა შერებოდა, ან რა უნდოდა ჩემგან. ბოლოს და ბოლოს სიამოენება ვიგრძენ; მე თვითონ მინდოდა, რომ ჩვენები სხვაგან წასულიყვნენ და მოსამსახურე გოგოსთან მარტო დავრჩნილიყავი. ათი წლისა რომ ვიყავი, ქალი მინდოდა და ქალებთან კავშირიცა მქონდა, დააბოლოვა განსვენებულმა.

განმარტება, ჩემო დაო, საჭირო აღარ არის. ამგვარათვე რყვნიან ზოგჯერ ბავშვებს ბონები და გუვერნანტები.

ჩვენში განათლებული დედების უმრავსლესობა შვილების აღზრდაზე სრულებით არა ჰფიქრობს.

ბავშვები, უმეტეს დროს მოსამსახურებთან ატარებენ და არა დედასთან.

შვილის ყოლა მეტად ადვილია; ამისათვის არც ჰქონა არის საჭირო, არც დიდი მსხვერპლი. ძნელი საქმე აღზრდაა. ჩვენი დედები სამწუხაროდ იმდენად დაწვრილ-

მანდნენ, რომ არშიყობაზე უფრო მიაუწევთ გული, ვიდრე შვილების აღზრდაზე.

ძიდების ერთი უმთავრესი ალერსი ასოზე ხელის წავლებაა და ამავე დროს „ამას შამოვევნე, ამას ვეკვანკვანე, ამას ვენაუცვალე, ჰირი შეოჭმე“ და სხვა ამისთანების ენამოჩლევებით წარმოთქმა.

ბოლოს და ბოლოს ბავშვი თვითონაც ეჩვევა წარამარა ხელის წავლებას ასოზე, რასაც შედეგად მოსდევს სქესობრივი ალლოს აღრე გაღვიძება, ონანიზმი და სხვ.

როთი, რა საშუალებით შეიძლება ყოველივე ამისი თავიდან აცილება?

ხშირად მოსამსახურეც საჭიროა, გუვერნანტებაც, ძიძაც.

მაშ სუყველა უნდა დავითხოვოთ და სახლში ნურავის გავაძაძინებთო? დამეკითხები შენ, არა?

არავინ არ უნდა დაითხოვო, მხოლოდ შვილებს უნდა უგდო ყური. მათი უმთავრესი აღმზრელი, უმთავრესი ყურის მგდებელი, უმთავრესი მეთვალყურე დედა უნდა იყოს.

არასოდეს არ უნდა დააწვინო ბავშვები ერთად. არც ვარგა მათთვის მეტად რბილი ლოგინი.

ერთიცა და მეორეც ხელს უწყობს სქესობრივი გრძნობის ნააღრევად გაღვიძებას.

საღაც კი შესაძლებელია, ბავშვები და დედ-მამა ცალკე თათხში უნდა იძინებონენ.

ბავშვს ზოგჯერ არა სძინავს, როცა დედ-მამას ჰეონია, სძინავსო, და ის ჰეოდავს ხანდახან ისეთ სურაოს, რაც მასში სქესობრივი ალლოს აღრე გაღვიძებას იწვევს.

როცა სქესობრივი გრძნობა ბავშვი ბუნებრივად ვითარდება, ბავშვის გარყვნა მე პირადათ შეუძლებლად მიმაჩნია.

ბავშვი ირყვნება მაშინ მხოლოდ, რო-

დესაც მასში სხვა და სხვა მიზეზებისა გამო სქესობრივი გრძნობა უდროოთ, ნაადრევად იღვიძებს.

სქესობრივი კითხვები თორმეტ წლამდი ბავშვს არ აინტერესებს.

ამიტომ ბავშვი უნდა არიდოთ ყოველისფერს, რაც კი იმის ყურადღებას ამ კითხვებისაკენ მიიპყრობს ნაადრევად, ან რაც იმის სქესობრივ ალოოს ნაადრევად აშლის.

აქ დედისოდენი სარგებლობის მოტანა არავის და არასფერს არ შეუძლიან. თუ დედა ნამდვილი დედა თავისი შვილებისა, თუ ისე დასტრიალებს შვილებს თავზე, როგორც კრუხი წიწილებს, ბავშვები მოცილებული იქნებიან ყოველგვარ გამრყვნელ ზეგავლენას.

— შესაძლებელია, პატარამ დაინახა სურათი სქესობრივი შეერთებისა პირუტყვთა ან ფრინველთა შორის. მერე? მეკითხებოდა ამას წინეთ ერთი ქალი, როცა ამ კითხვაზე გვერდა მსჯელობა.

უმეტეს შემთხვევაში მცირე წლოვანი ბავშვი ამგვარ სურათს არ აქცევს ყურადღებას და, თუ მიაქცია ყურადღება, ისევ დიდების ბრალია.

ამგვარი სურათები ყოველ ნაბიჯზე არა ხვდება ბავშვს; და თუ რომელიმე ბავშვია ამგვარი სურათის დანახვაზე დედას განმარტება მოსთხოვა, ჩემის ფიქრით ჭეშმარიტების ახსნა მცირე წლოვან ბავშვისათვის სრულებით ზედმეტი და უსარგებლოა; ზოგიერთ შემთხვევაში კი საზარალოც.

ამ გვარ კითხვებზე მათემათიკური სახლმძღვანელოს დაწერა შეუძლებელია.

ყოველ კერძო შემთხვევაში თვით დედის ალლომა და მოხერხებამ უნდა გამონახოს ასეთი ახსნა, რომ ბავშვის ცნობის მოყვარეობა დააკმაყოფილოს. ბავშვი ხში-

რად პასუხსა და ახსნას ითხოვს უსამდობო პასუხისა და ახსნის აწონდაწონგაში ის ძეირად შედის.

თორმეტ-ცამეტის წლიდან ბავშვში ნელნელა იწყებენ მომწიფებას და გაღვიძებას სასქესობრივო ორგანოები და მათი მომწიფება იწვევს ბავშვში შეუგნებლად შესაფერ გრძნობებს.

აი მაშინ ბავშვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სქესობრივ კითხვებს, სქესობრივი შეერთების სურათებს ცხოველებში: უკვირდება სქესს და სხვ.

ამ წლოვანებიდან გაჩუმება კი შეუძლებელია. ამ დროდან საჭიროა ბავშვს თვალებზე ბინდი მოაცილოთ და. სქესის მნიშვნელობა აუხსნათ.

წერილი გამიგრძელდა. დავიღალე კიდეც. ამიტომ ახლა ეს იქმარე და დანარჩენს ამ მოკლე დროში მოგწერ; მაგრამ ერთის პირობით: წერილი უფრო ხშირად მომწერე ხოლმე და ამ ზაფხულს კი შენი ბავშვები მანახვე.

როგორ არა გრცვენიან, ეს ორი წელიწადია, ჩემთან აღარა ყოფილხარ. გარწმუნებ, ჩემთვის რომ ისე ადვილი იყოს შენთან ჩამოსვლა, თავს მოგაბერებდი.

მოუსვი მაისში შენს წიწილებს ხელი და მეწვიე. მომიკითხე პეტრე. ეგ სულ საქმეებშია უთუოდ გართული და აბა აქ ჩამოსასვლელიდ სად ეცლება. ეჭ, ასეთია მამაკაცების ხვედრი. დილიდან საღამომდი უღელში ვართ გაბმული თქვენი გული-სათვის და თქვენ კიდევ რაღაც რავნოპრავიეს გაიძახით.. არა, დაო, გისურვებთ მალე ყველა უფლებების მოპოვებას, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ რუსეთში ვცხოვობობთ.

შენი მოყვარული ძმა.

იფ. გომართელი.

ერთი ძირითადი მიზეზი

თვით-მკვლელობისა

0თქმის უფელ-დღე ვკითხულობთ რუ-
 სულ და ქართულ გაზეთებში სამწესარო ამ
 ბავა: ამან და ამ მოწაფებ თავი ჩამოიხსინ,
 რევოლუციით თავი მოიგდა, სტუდენტმა კა-
 ბითლოს სიმძავე შეისხა, სიკვდლის გადარ-
 ჩა... და სხვა; —ცხადია, უკვე სადი მკით-
 ხელის უყრადებას იშერობს ეს ს. შინელი
 მოვლენა, თვითმკვლელობა. რა არის ძირი-
 თადი მიზეზები თვით-მკვლელობისა, რომე-
 ლიც ამ უკანასკნელ წლებში ეპიდემიურ სენ-
 იათ მოედგა უმეტესად ახლანდელ ახალ-გაზ-
 ლობის არსებე სჭეს? მიზეზები მაღანი ბევ-
 რია; ეს კითხვა საკმაოდ რთულია, და მასზე
 შესუბის მიცემა არც ადვილია; ამ საკითხს
 გერც შეგეხვით რომელიმე გერძო თვალსაზ-
 რისით, მაგალითად, გერ შეგეხვით მას მარ-
 ტო ბითლოგურათ, აგრეთვე გერ განვისი-
 ლავთ მას რომელიმე გერძო მოტივების მი-
 სედით, ეს ამ როგორი საკითხის ზერეფე
 შეხება იქნებოდა. ამ საკითხის საბოლოოთ
 გადასაწყვეტად საჭიროა საზოგადო განვი-
 სილოო თანამედროვე პირობები, განვისილოო
 დედა ლერძი ცხოვრებისა, შეგეხორ ცხოვრე-
 ბის უკვე დარგს და გერძოთ გამოვიყვლით
 თვითული თვითმკვლელობის მსხვერპლის
 პირვება, მოტივები, სულის გეგეთება და
 აგრეთვე გამოვიყვლით შესი ფიზიკური და
 სულიერი სალარო. —ამ მოვლე წერილში მე
 განზრახსა მაქეს შეგეხორ მოვლეთ ჩვენი ახალ-
 გაზრდობის დლევანდელ აღზრდას, რო-
 გორც, ჩემის აზრით, თვით მკვლელობის
 ერთ მიზეზთაგანს. რომ დლევანდელ პირ-
 ბებში მეოთე სკოლა, გერც თანამედროვე
 ფაზი, აღზრდის საქმეში სახასულოდაც გერ

ასრულებს თავის დანიშნულებას, ეს უკედა-
 თვის ცხადია; ამაზე ბევრი დაწერილა და
 თქმულა, მაგრამ სამწესაროდ, ამის შესახებ
 სმა დღეშის ჩემი „ხმათ მდალადებლისა
 უდაბნოსა შინა“. დღევანდელი აღზრდა, არამც
 თუ უსპებს გზას თვითმკვლელობისკენ მიმა-
 ვალს, ჰირიქით ხელს უწეობს თვით მკვლე-
 ლობას. მართლაც და როგორ გზრდით ჩვენ
 ჩემს შვალებს, ამ მომავალ თაბას? დღევან-
 დელი აღზრდის საქმე აწინდებს წოდებაში
 სხვა და სხვანაირად მიდის; თვითული წოდების
 აქეს განსაკუთრებითი მხარეები აღზრდის საქ-
 მეში. მდიდარი წოდება აღზრდის საქმეს
 სრულიად აღმაცურად ეშვრობა; არა სუს, მისი აზრით, ამ ინტერესს მოვლებულ საქმის
 უყრადების მიქცევა; ეს კლასი თავის შეი-
 ლების აზღრდას ჰატარაბიდანწევე ანდებს
 „დაქირავებულ ამდზრდელებს“, რომებისაგა-
 ნაც მოათხვენ ასწავლას მის შეიღებს მხოლოდ
 განვენებული საგნები, მანერები და საზოგა-
 დებაში თვით დაწერა. „უფლით ნაქირავები
 ადმზრდელები“ უჩვეუბენ მდიდარი კლასის
 შეიღებს ცხოვრების ზედა პირს, მხოლოდ
 ცხოვრების სიადვილეს; საზოგადო ცხოვ-
 რებას აცნობენ ისე, გითომ ის წარმოადგენ-
 დეს დაუსრულებულ სიამოვნებას, სიცილს და
 „ხსხა, ხახას“; ცხოვრებაზე, როგორც არსე-
 ბობისათვის ბრძოლის გელზე, ასეთად აღზ-
 დილ უმაწვილებს წარმოდგენაც არა ჭერ.
 ცხოვრებაში გამოსვლას შემდეგ ასეთ ნიადაგ-
 ზე აღზრდილ ახალგაზრდობას საკმაო ცოტა
 რამ გადაედობს ცხოვრებაში წინ, რომ ის
 სრულ სასოწარგვეთლებას მიეცეს; ასეთი ახალ-
 გაზრდობა გერ ურიგდება იმ ვიწრო ჩარჩეუ-

ში მოთავსებულ მოვლენა-ცვლილებებსაც კი, რომელისაც ისინი განიცდიან თანამედროვე სასწავლებლებში: საკმარისია რომელსამე სას განში მიიღოს „2“, საკმარისია, ჩაიჭრას გამოცდის დროს, რომ თავის თავი თავისვე ხელით მოისწოს.

მიზეზი ამისა? უკუდმართად აღზრდა; აღმზრდებებმა ბავშვობილანვე გერ განავითა-რეს უმაწევილში სიმტკიცე სასიათისა, ნება, სურვილი, ენერგია ბრძოლისა; ასეთ ნიადგ-ზე აღზრდილი ახალ-თაობა სიცილითვე გა-მოდის ცხოვრების საბიულზე; მას თავში არავითარი სერიოზული აზრი არ უტრიალებს; მას ჰქონია სკოლაშიაც და ცხოვრებაშიაც „სიცილ-სარხარით“ გაატარებს სიცოცხლეს; მაგრამ ცხოვრებაში გამოსვლის შემდეგ სხვა და სხვა მოვლენების წყალობით ის ოწმუნდე-ბა, რომ თვალი სხვა უფლისა, სკოლა და ცხოვრება კიდევ სხვა; ამ მოვლენებს უმა-წევილი გერ ურიგდება, უფლებივე ახალი მოვლენა მასზე სასტიკ შთაბეჭდილებას ახ-დენს, ეძლევა სრულ უმძლობას და ხშირად თავდება საქმე ტრალიკულად: თვით შევლე-ფობით.—

ასე მიდის აღზრდის საქმე მდიდარი კლა-სისა; მაგრამ არა უკეთ არის აღზრდის საქმე დარიბი კლასის თვალებში; დარიბი თვალები ბაზშების აღზრდას არ აქცივებ უურადღებას არა იმიტომ, რომ არ სურდეთ შვილების აღზრდა, არამედ იმიტომ, რომ არ იციან, როგორ აღზარდონ; ცხოვრების სხვა და სხვა შირობები მაჯლაჯუნსავით დასწოლია დარიბ კლას თავზე. ის მთელ თავის ენერგიას ან-დომებს ბუნებისთვის ბრძოლაში ასებითის გა-საგრძნობად; ამ ბრძოლაში ისარჯება მისი აზრი, სურვილები, გრძნობანი და თვით მი-სი სიცოცხლეც. დარიბი კლასის შვილებს არავინ ზრდის; მისი ერთად ერთა აღმზრდე-ლია ქანა; ქანა ათასობით ზრდის ქალაქის დარიბი კლასის და პროფესიულარის შვილებს;

ქანა უკარგავს მაზარდ თაბას ტენიონის, ად-ლევს მავნე მიმართულებას და ისერის მას ცხოვრების წესშეში, რომელიც სავსეა გელ-ბაყავითა. ნე თუ ქანა მომზადებს ცხოვრე-ბისათვის უმაწევილება? ვერა, და ამისათვისაც არის, რომ ამნაირად აღზრდილი უმაწევილები სიცოცხლეს ტრალიკულად ათავებენ.—

ეხლა განვიხილოთ, როგორ მიდის აღზრ-დის საქმე საშუალო, ბურჟუაზიულ კლასში; აქაც უნუგებში მდგრადი კლასის შვილები აკვი-დანვე ენერგიას იმ აზრს, რომ უფლებივე არ-სებული გარგა, უპეტესად გარდამქნა ცხოვ-რებისა არ შეიძლება; უკლამდის მაძღარი ბურჟუაზია, რომელის ღერალი შირად „მეს“ არ გასცილება, როგორ მოინდომებს განუმ-ტკიცს თავის შვილებს გრძნობა, სასიათა, განავითაროს მასში სურვილი, ნება, თანაგრძნო-ბა და სიბრალული სხვისადმი? ამ კლასის შვილები თავის სიცოცხლეს ფუნქსიალუ-რად ატარებენ; მოკლედ რომ ვსთქვათ, ბურ-ჟუაზია არამც თუ აკათარებს უმაწევილი სულს, არამედ უწამლავს მათ სულს —

ამგვარად მიდის მიმავალი თაბას აღზრ-დის საქმე სამიგე კლასებში; და რა გასაკვი-რებია, რომ ასეთ უადბ ნიადაგზე აღზრდილ-მა თაბამ, ცხოვრებაში გამოსვლის შემდეგ გერ აიტანოს ცხოვრების მარწესები; აღმზრ-დელებისა არ გააცნეს მათ ცხოვრების სიტ-კბობება თავის სიმწარით, სიხარულით და მწერ-ებით, არ ჩაახედეს ცხოვრების სინამდვილე-ში, არ ასწავლება, თუ როგორ უნდა ეწარვე-რათ.

„ჩვენ არ შეგვიძლიან ცხოვრება, სწერს სიკვდილის წინ ერთი ახალგაზრდა, იმიტომ რომ ჩვენ არ გვასწავლება, როგორ უნდა ცხოვ-რება და გვევდებით იმ აზრით, რომ გერ შევ-ძლით ცხოვრება, სიკვდილი მაინც უნდა შევიძლოთ“ (გაზე „Pyc.“).

ამ სიტყვებში ისატება დაუმორლებელი



ტრაგიზმი ნოტი ინდივიდუალისა, „რომელიც“ უნდა მოკვდეს იმიტომ, „რომ, მას არ ასწავლეს, როგორ უნდა ცხოვრება“; არავინ არ გააძლიერა მასში ენერგია, არ გააცნეს მას ცხოვრების უარყოფითი მსარევები, რომლის ფაზა ისეთივე საჭიროა, როგორც სუნთქვისათვის ჭარი.

აწინდელი აღზრდის წესადაბით, ზოგიერთი ახალ-გაზრდა ჰქონდა სელფონურად ცვილისაგან გაგეთებულ ადამიანს, რომლის მომზადებებს დაფიქცირდა და ვერ შემძებლა შეიგჩავა მაგარი მავთულები, რომ შექანიზშს შესძლებოდა გარგად და ხანგრძლივად მოქმე-

დება; და ამისათვის არის, რომის უკანასკნელი რეპი” ცვილი და ვედარ მდებარებას.—

ადგირდეთ უველა კლასისა და წილების შეიცემი მკვიდრ ცხოვრების ნიადაგზე, გააცანით მათ ცხოვრების უველა მხარეები, ჩაახედეთ ცხოვრებას სინამდვიცეში, აკვიდანვე შეუდექით მათ აღზრდას, შატრარაზბიდნევე ასაზრდოვეთ სამდვიცე აზრებით, ფჯახში აღზრდა დაუკავშირეთ სკლისას, თრივე კი— ცხოვრებას და დავრწმუნდებით, რომ თვით მკვლელობა შესუსტდება.—

გრ. გძელიშვილი.

ს. უალაშვილა.

შროვ. გურჯაოტტი

ბუნებრივი აღზრდა

V.

ჩვენს ახალს საამონზრდელო მეთოდს ახალი სახელი უნდა დაერქვას. მე მას ბუნებრივ-სამეცნიეროს სახელს დავარქმევდი, რომ ამ სახელით ვისმეში ეჭვი არ აღმეძრა, ვითომც სასურველი იყოს შექმნა რომლისამე სამეცნიერო სისტემისა, რომელსაც წინდაწინვე ვუწინასწარმეტყველებთ ყველა სისტემათა ბედ-იღბალს. მაგრამ ეს ეჭვი უსაფუძვლო იქნებოდა, რადგანაც ვამბობთ იმ აღზრდაზე, რომელიც ბუნებას შეესაბამება და ბუნების უფლებათა აღდგენას სცდილობს. ბევრნი მაშინვე გვიპასუხებენ: სჩანს ეს რუსსოს მოძღვრების აღორძინებაა, რაც გამოცდილებით უკვე ჩატარდა სიძველეს. ბუნებისკენ დაბრუნება პარალოქსი გახდა. არ შეიძლება შხარი დაუჭირო ისეთს აღზრდას, რომელსაც წინმსვლელობის ნაცვლად უკან მივყევართ და რომელიც არამც თუ

უარსპონს კულტურის ყველა შენაძენს, არამედ შეგნებულად ებრძვის მას.

სრული ჭეშმარიტებაა. ამაზე ლაპარაკიც მეტია. არავერი კულტურის მიერ შექმნილი არ უნდა დაიქცეს. არც ერთი კულტურული საქმე და არც ერთი ცხოვრების მხარე არ უნდა იქმნეს შეზღუდული ახალთაობისათვის და ცოდნის არც ერთი დარგი არუნდა იქმნას შემოფარგლული. ჩვენი ახალი საამონზრდელო მეთოდი იმას მოითხოვს, რომ ყოველი კერძო აღმიანას განვითარებაში მისი ბუნების მიხედვით, ეროვნულ და საკაცობრიო დიდებულ მოძრაობის განვითარებაში, არსებობდეს დამოუკიდებლობა, სრული თავისუფლება. ეჭვიც არ არის, რომ ახალი პედაგოგია მიაღწევს ამას, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ერთის მხრით საბუნების მეტყველო მეცნიერებამ და

უხერხულმა ფილოსოფიურმა თეორიებმა გზა გაუწმინდეს მას. ჩვენს დროში ბავშვი არ უნდა განვიხილოთ, მხოლოდ როგორც ერთეული არსება, რგორც ცოცხალი არსება მხოლოდ მის გაჩენის დღიდან კი არ უნდა დავაფასოთ, არამედ უნდა განსვეტვრიტოთ მისი დაბადების საიდუმლოება, რომელსაც კავშირი აქვს მრავალ მილიონ წლების თვითეულ ბავშვის გაჩენის ისტორიებთან, და თუ აღზრდის საკითხს მშობელთა შესწავლას დავუკავშირებთ და საკითხების გამოკვლევას: რა ძალა და თვისება ჰყვება თან მემკვიდრეობით ამ ახალ არსებას, მაშინ ჩვენ ამ საკითხს საბუნების-მეცნიერო თვალსაზრისით ვარკვევთ. ჩვენ ყველანი ბიოლოგები გაფხდით. თითქმის მორწმუნებიც უნდა დაადგნენ ამ გზას, თუ არ უნდათ მეცნიერთაგან განკიცხულნი იქმნენ. იმათაც აღიარეს ეს, როგორც ერთ დროს გამწვავებული ბრძოლის შემდეგ, იწამეს კეპლერის, პალილის და ნიუტონის მოძღვრება, რაც წინააღმდეგი იყო მათის რწმენისა. მათ ეს უნდა აღიარონ, თუ არ უნდათ განდევნა მომქმედთა წრიდან. მაშასადამე ჩვენ პედაგოგებიც ბიოლოგებად უნდა შევიქმნეთ და ჩვენი საპედაგოებით შრომა დაუქვემდებაროთ იმ ცოდნას, რომელიც განაგებს მთელს ჩვენს გონიერივს ცხოვრებას.

ვინც მიეჩვევა უყუროს ბავშვს, როგორც დაუსრულებელ განვითარების წარმომადგენელს, როგორც გვირგვინს და ყველა ძალთა ჯამს, რომელიც შეგროვილა უხსოვარის დროიდან მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჩვენს დრომდის, და ვინც მიეჩვევა ამ ქმნილებას შეხედოს იმგვარისავე ღვთიერ მოწიწებით, როგორადაც ის უყურებს დაბალ ქმნილებათ, მაგალ.

ადამიანის ხელით აგებულს შენობებს, პართენონს, კელნის ტაძარს და სხ. ვინც ცხადად წარმოიდგენს, თუ რამდენი მილიონი წლები იყო საჭირო ბუნებაში შემოქმედისათვის, რომ ბოლოს შეექმნა ეს სრული ქმნილება, იგი განცვიფრებული ხელებს ძირს დაუშვებს და თუ შერჩენია მცირე წვეთი ჰეშმარიტის ღვთის მსახურებისა, ლმობიერებით თავს მოიხრის ამ შემოქმედების სასწაულის წინაშე. იგი ყოველთ უწინარეს თავს შეიკავებს ყოველ გვარს დაფასებაზე და მაშინვე არ ამეტყველდება ცოდვებზე, კეთილსა და ბოროტზე, მცირე ღირებულებაზე, არამედ ეცდება მოთმინებით დაუკვირდეს და შეისწავლოს, თუ რა მისცა ბუნებამ ამ ახალ ქმნილებას.

ნუ გვისაყვედურებენ უაზრო სანტიმენტალობას. თითქოს ბავშვები ცამდის ავყყავდეს—ის თვითკმაყოფილნი გონებით ბეცნი არიან, რომელთაც ჰგონიათ, რომ ამით ზიზლს გამოიწვევენ ჩვენდამი და ჩვენის მუშაობისადმი. ისინი, რომელთაც მცირე კრიტიკისაც კი ეშინიათ, მუხლს იდრეკენ ძველი ტექსტის წინაშე, როგორც საღვთო განცხადების წინაშე—მაშინ, როდესაც მეტად შეურაცხვიყითებურობიან ბავშვებს—ამ ქვეყნიურ შემოქმედების სულის უფრო სარწმუნო გამოცხადებას.

ბავშვი პასუხს არ აგებს იმ ფიზიკურსა და გონებრივს ნიჭზე, რაც მისთვის ბუნებას მიუნიჭებია. ამას პედაგოგმა ანგარიში უნდა გაუწიოს, როგორც აუცილებელს საჭიროებას. ჩვენ არ შეგვიძლიან ბავშვს შეუცვალოთ თმისა ან თვალის ფერი. ყველა ჩვენი ცდა ამ მხრით სისულელე და ფიზიკურად ძალდატანება იქნებოდა. აგრეთვე ჩვენ არ შეგვიძლიან აღზრდით მოდუნებული გონების, სუსტი ნიჭის,



ძელად შემთვისებელის და მხატვრულ ნიჭის მოკლებული ბავშვის ცოცხალ გონებიან, სწრაფი შეგნების და ხელოვნების ყურმახვილობით მიმღების ბავშვებად გარდაქმნა. აი საიდან უნდა დაიწყოს თავისი სამუშაო ახალმა პედაგოგიკაშ: მან მტკაცედ უნდა განსაზღვროს ამ შრომის შედეგი, რომ წარსულ დროთა მიხედვით არ მოსთხოვოს შეუსაბამო საქმე შეუსაბამო პირებს და ამით არც თავისი თავი დასტანჯოს და არც ახალგაზლები.

მოწაფეთა შორის არიან ისეთები, რომლებიც სრულიად ვერ ითვისებენ უცხო ენებს, მაგრამ სულელები კი არ არიან, ისინი მხოლოდ ბუნებით მოკლებულნი არიან ნიჭის იმ ნაწილს, რაც საჭიროა ენების შესასწავლად. სხვები, რომელთაც დიდი სამუსიკო ნიჭი აქვთ და მუსიკალური მეცნიერება, რომლის წყალობით ერთხელ გაგონილს მელოდის მაშინვე აღადგენენ, გონების სამუშაოს სხვა დარგში სრულს უნიჭობას იჩენენ. ისეთი შემთხვევებიც ხშირია, როცა ბავშვი ერთ მასწავლებლის ხელში ვერაფერს სწავლობს, ხოლო მეორეს ხელში მშვენიერად, სწავლობს და პირიქით. ყველა ეს დამოკიდებულია არა სწავლების მეთოდზე და არც მასწავლებელზე, არამედ მოწაფისა და მასწავლებლის ბუნებათა შორის არსებულს დისგარმონიაზე. ოდესაც ჰიოტემ წარმოსთქვა ასეთი აზრი: ჩვენ ვსწავლობთ მხოლოდ იმისგან, ვინც გვიყვარს. ჩვენი ბუნებრივი აღზრდა ვერც ერთის კაცისაგან ვერ მოითხოვს იმას, როს ნიჭიც არ შიუცია მისთვის ბუნებას.

ახალი სააღმზრდელო მეთოდი არასოდეს არ მოითხოვს ბავშვისაგან იმას, რასაც თვითონვე მისი ბუნება არ ითხოვს. ნუ გვეუბნებიან, რომ ბავშვის ბუნებას არ შეუძლიან თავის თავს უხელმძღვანელოს,

და ამიტომაც ბავშვები გარეშეთა უქელმძღვანელოდ და უგავლენოთ ვერ განვითარდებიან და ცრუ გზით წავლენო. ეს არის ძველი აზრია, რომელსაც ყოველის ლონისძიებით უნდა ვეძრძოდეთ. ისევ ის საბუნებისმეტყველო საგნები გვამცნევს, რომ ბავშვის განვითარება წინ მიღის არა მარტო პირველ ცხრა თვეში ჩასახვიდან დაბადებამდის, არამედ ყველა ეს მეთოდიური განვითარება საჭირო ორგანოებისა და ძალებისა გრძელდება დაბადების შემდეგაც; ბავშვი ფიზიკურად იზრდება და იმავე დროს გონებრივადაც ვითარდება. ტვინის ზრდასთან აზროვნებისა და მოქმედების ნიჭიც ვითარდება.

აღამიანის გონება ისე იზრდება, როგორც თმა, აზრი და მეტყველების ნიჭიც ისე მარტივად და ბუნებრივად იზრდება, როგორც კბილები. საშუალება, რასაც ბუნება ხმარობს ძალთა გასავითარებლად— მოძრაობაა. არ არის არც ერთი ბავშვი, რომელსაც არ ჰქონდეს მოძრაობისა და მოქმედების მოთხოვნილება. თუ ისინი ფიზიკურად და გონებრივად უმოქმედონი არიან, ეს პირველი ნიშანია ავადმყოფოւ ბისა.

ნორმალური ბავშვი შეუგნებლად ემორჩილება განვითარების კანონს იმ საშუალებით, რასაც ჩვენ თამაშობას ვუწოდებთ. ჰედაგოგები დიდის ზიზღით უყურებდნენ ბავშვების თამაშობას. იმათ ეგონათ, ყოველ შემთხვევაში, რაკი ბავშვი სკოლაში სიარულს იწყებს, თამაშობა თავის თავად უნდა მოისპოს, რადგანაც იწყება სერიოზული და სასტიკი ცხოვრებაო. საკვირველია, რომ ისევ ჩვენმა დრომ აღმოაჩინა, თუ როგორ სერიოზულად ეპყრობა თვითონ ბუნება თამაშობას და რამდენად საჭიროა იგი ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებისა-

თვის. მხოლოდ ცალმხრივ, ბეკ და უგულო პედაგოგებს შეეძლოთ შეზიზღებოდათ და ჰერნებოდათ, რომ თამაშობა შესაძლებელია ბავშვისთვის დაბადებიდან მხოლოდ პირველს წლებში, მაშინ როდესაც ყოველ საღი ადამიანისათვის თამაშობა მთელს სიცოცხლეში სამხიარულო და კარგი წამქეზებელია საღ მოქმედებაში. რა არის ჩვენი თეატრები, კონცერტები, გასართობები და მთელი ჩვენი ხელოვნება, თუ არა იგივე თამაშობა. განა ჩვენმა დალრეჯილმა და მყაცრმა აღმზრდელებმა არ იციან, რომ მათ მიერ სიტყვიერად ნაქები საბერძნეთის კულტურა არის სწორედ თამაშობის კულტურა. განა პაროენინი, პროპილეი, ყველა პანათიპიის დღესასწაული, ყველა წარმოდგენები დიონისიის თეატრებში, ყველა მარმარილოს სილამაზე ქალაქებისა—შექმნილი იყო მძაფრი პრაქტიკული ცხოვრების ნივთიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად? განა იმისთვის არ არსებობდენ ისინი, როგორც მთელი ფილოსოფია და თითქმის მთელი მწერლობა, რომ ფიზიკური და გონებრივი თამაშობის საშუალებით მოელობოთ სიმკაცრე ცხოვრებისა და შეერიგებინათ მასთან. ბავშვების თამაშობამ, ბუნების მოთხოვნილების კვალობაზე, კვლავ უნდა მოიპოვოს თავისი უფლება, როგორც უსაჭიროესმა საშუალებამ ბავშვთა ცხოველ მოქმედებისათვის. პედაგოგები არ უნდა ჰქოქუობდენ, რომ ვითომ ნება აქვთ ასწავლონ ბავშვებს სერიოზულის, ხანდახან ძალაზე აღმატებულის შრომით, და თამაშობის ნება კი წვეთობით საჩუქრად აძლიონ კარგის ყოფაცევისათვის. ახალის პედაგოგიკისა მიზანია ხელი შეუშეყოს, რომ ძველმა სასტიკმა და სერიოზულმა სააღმზრდელო პრაქტიკამ ხელახლად გზა გა-

იკვლიოს ბუნების მუდმივისა და ჭეშმარიტის კანონებისაკენ. არა მარტო სალისი, არამედ ყველა მხეცები თამაშობით ივითარებენ თავიანთ ძალებს. რაც ახალგაზრდაა ქვეყანაზე, ყველა თამაშობს. თამაშობლენენ ახალგაზრდა ბერძნები, ახალგაზრდა რომაელები და მძაფრი გერმანელების შვილები. ძველს ეგვიპტურს ფრესკებზე ვხედავთ ახალგაზრდა ეგვიპტელების თამაშობას. შორეულ ჩრდილოეთის ქვეყნებში მოგზაურობის დროს ვუყურებთ გრეგლანდელებისა და ესკიმოსების შვილების თამაშობას, ვუკვირდებით აფრიკის ველურების შვილების თამაშს, სიმოვნებით შევსკერით პატარა მაიმუნების მხიარულ თამაშობას, ხის ტოტებზე ხტომას უტეხ ტყეებში, ვხედავთ პატარა მელიებს დედის თვალშინ მოთამაშებს, ბუზებს და კოლოებს, რომლებიც დასრიალებენ მზის შუქზე—მთელი ქვეყანა ემორჩილება ბუნების კანონს—თამაშობის მოთხოვნილებას. საითკენაც უნდა მივიხედ-მოვიხედოთ, ყველგან დედამიწის ზურგზედ დავინახავთ ყოველ გვარ ქმნილების ნორჩ არსებას მოთამაშეს, და მოცერიალეს, რითაც ის ემზადება საარსებო ბრძოლისათვის. ამ ბუნებრივს ცხოველ მოქმედებაში მოზრდილებიც მონაწილეობას იღებდნენ, რაკი სძლევლნენ ცხოვრების დაბრუოლებათა და დაიკმაყოფილებდენ მოთხოვნილებათ. მუდამ და შეუცვლელად უბრუნდება ბუნება ამ საღს, გამამნევებელს და სამხიარულო ცხოველ-მოქმედებას—თამაშობას. მხრილოდ მარტო სკოლის პედანტებს არ სურთ მისი ლირსება აღიარონ. მთელი უთანხმოება მოწაფეთა და მასწავლებელთა შორის, სკოლისა და ოჯხის შორის იმისგამო ხდება, რომ სკოლას უნდა ბავშვის თამაშობა განსაზღვროს მისი ცხოვრების პირველ წლებით, შემდეგ მოსახლე და ბავშვის ამ

ბუნებრივს მოთხოვნილებას წინ დაუყენოს სერიოზული, მომქანცველი შრომა და ყველა თავისი სასტიკი მოთხოვნილებანი. სანამ სასკოლო და საშინაო აღზრდა ხელს არ აიღებს ბავშვების თამაშობის ბრძოლაზე, მანამდის აღზრდა ცრუ გზით ივლის.

აღზდის ერთი დანიშნულებაა ყოველის მხრით გამოიყენოს ბავშვების მისწრაფება თამაშობისაკენ და მისი ბუნების მიხედვით აღმზრდელებმა ისარგებლონ ამ მისწრაფებით. სამწუხაროდ მცირე წერილში ამდენისამე სიტყვით არ შეიძლება დაწვრილებით დამტკიცება, თუ რამდენს უსაჭიროების ძალასა და ცოდნას იძენს ბავშვი თამაშობის წყალობით. ამაშია ჩვენი უახლესი დანიშნულება, გავიგოთ თუ რას უნდა მოველოდეთ კიდევ ბავშვების თამაშობისაგან. მეშინიან, რომ ეს აზრი, რასაც პირადათ დიდს მნიშვნელობას გაძლევ, სხვებმა ვერ შეიგნოს საკმარისად, ან დაამახინჯოს და უაზრობად დასახოს. მოზრდილებმა არასდროს არ უნდა მიაწოდონ ბავშვებს ისეთი უაზრო სათამაშოები, რომელშიაც არა სჩანს არც გონების სიმახვილე და არც საკუთარი ინიციატივა, რაც ბავშვებს აზრში არ მოუვა და ამით სრულიად უსარგებლოდ ბავშვებს დრო არ უნდა დააკარგვინონ. მოზრდილები უნდა გაურბოდნენ ძველს შეცდომებს. ხელოვნური სათამაშოები და ძალის დატანება, რომ განსაზღვრულს დროს შეასრულონ ბავშვებმა ესა თუ ის სათამაშოები, წამებაა ბავშვებისათვის; პედაგოგებმა ეს გონიერი შრომა ტანჯვად გადააქციეს. ესეც ბუნების წინააღმდეგობას ძალდატანებასა და შეცდომას ნიშნავს. ამგვარ შემთხვევებში ბავშვი ისევე უხალისოდ მოეკიდება თამაშობას, როგორც ახლა სასკოლო სამუშაოს უყურებს და ვერც

დაინახვდა რაიმე განსხვავებას, სწორებისა და თამაშობის შორის. ამან ცნადად იჩინა თავი ესრედ წოდებულის ფრებელის სისტემის თამაშობაში. კარგად მახსოვეს საკუთარის ბავშვობიდან რამდენად ნაკლებ სასიმოვნო იყო ჩემთვის ოსტატურად მოგონებული დაწვნა, რაც ისეთსავე სიბრაზეს მგვრიდა, როგორც საგრამატიკო წესების მექანიკური გადმოწერა. საჭიროა შედგენა გონიერის სახელმძღვანელოსი, რომელშიაც დანამდვილებით გარჩეული და შემუშავებული უნდა იქმნას საკითხები: ბავშვების განვათარებისათვის როგორ უნდა გამოვიცნოთ მეტი სარგებლობა თამაშობიდან. ეს ჩემის აზრით უპირველესი დანიშნულებაა. დარწმუნებული ვარ სახალხო სკოლების შეგნებულ მასწავლებლთა შორის იქნებიან არა ერთნი, რომელნიც მოისურვებენ ამის შესრულებას.

აქ უკეთესია თამაშობის მოწინააღმდეგეთაგან მოისმენთ მრავალს საწინააღმდეგო აზრებს. და აი მე მინდა აქ შევეხო ამ აზრების უმთავრესს მხარეს. ძველი ჰედაგოგის მიმდევართ არ შეუძლიათ უკუაგდონ ცრუმორწმუნოება, თითქოს თამაშობა აღვირ აშვებულობას ნიშნავდეს და არა სერიოზულ საქმეს. მათ არ იციან, რომ თამაშობაში ყველაზე მეტი ძალა მოითხოვება და იხარჯება. თავის შინაგანი მოთხოვნილების თანახმად მოთამაშეს შეაქვს თამაშობაში უმაღლესი, რის ნიჭიც კი აქვს. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ მოთამაშე ბავშვები და მოზრდილებიც თამაშობის დროს ძალას ატანენ თავის თავს სისუსტეს და განებივრებას აქ აღგილი არ აქვს.

აღამიანისა და ბავშვების ცხოვრებაში მრავალი დაბრკოლება, ტანჯვა და უსიამოვნებაა და რად უნდა გავამრავლოთ



ჩევნ ხელოვნურის მოგონებით ეს ტანჯვა მწუხარება. ბავშვებს, როგორც მოზრდილებსაც, კბილი, თავი და მუცელი ასტკივდებათ ხოლმე, კოპს დაისვამენ შუბლზე, მოიჭრიან რასმე, დაიწვავენ, დაიმდულრებიან, და ყველა ეს პატარებს გამოუცდელობის გამო ემართებათ. ბევრი ავადმყოფობა: წითელი, ხველი, ყელჭირვება, ხუნაგი თითქოს ბავშვებისთვისაა შექმნილი. ბავშვებში ნახავთ ბრძებს, კოჭლებს, კუზიანებს, ნერვებ აშლილებს, სუსტ გულიანებსაც. ამას დაუმატეთ სულის ტანჯვა, რასაც განიცდიან ფიზიკურად სუსტი, უშნო, უნიჭო ბავშვები. მაგრამ საღ ნორმალურ ბავშვებში ბევრი ისეთებია, რომლებიც მარტოობისა და დაცივის გამო იტანჯებიან. რა საშიშ მდგომარეობას განიცდიან ზოგი მათგანი ბნელ ოთახებში, უცხოთა შორის, ან როცა ძალები დაედევნებიან, ლოთები აეკვიატებიან, როცა გზას დაჰკარგვენ და ან როცა მოზრდილები ელაპარაკებიან უწმაწურს სიტყვებს. სავსეა ბავშვის უცნობი ქვეყანა საშიშარ სანახაობით და სიმწუხარით. როგორ იტანჯებიან ხშირად ცხოვრების უსამართლობის გამო! ჰენრის ზეიმე გვიამბობს თავის მამაზე, რომელსაც ეჭვი მიუტანია ხუთი წლის შვილზე ქურდობაში და ისე უცემია, რომ კინაღამ მოუკლავს. ეს მაგალითი აღებულია აუარებელ მსგავს ფაქტებიდან, რაც მომზდარა წარსულში და ახლაც ხშირია. ბავშვებს ეკარგებათ საყვარელი საგანი, დასტირიან მახლობელთა სიკვდილს, სწუხან დამტვრეულ ტიკინის, მკვდარიადნისა და დაკარგულ ძალის გამო. ისინი სულიერად მოზრდილზე მეტად იტანჯებიან მშობელთა სიყვარულის სიმკირით, მეგობართა გაუტანლობით, უსაფუძვლო საყვედურებით და სასტიკი ზო-

ბებით, მახლობლებისა და უკანასაზღვების, მასწავლებლებისა და სხვა უფლებიანი პირების ცუდი მოპყრობით. უკვე ბავშვობიდანვე იგრძნობენ ისინი ცხოვრების სიმკაცრეს და პირველივე ტანჯვა სულს უშფოთებს მოზარდ თაობას.

ბერლინის სკოლებში თოთხმეტი წლის განმავლობაში 15 წლის ნაკლებ ასაკის ბავშვებში 165 მოუკლავს თავი. მიხეხები, რომელმაც აიძულეს ეს ყმაწვილები გამოსალმებოდნენ წუთისოფელს, ყოფილა შემდეგი: მკაცრი და უსამართლო მოპყრობა, შიში სასჯელისა, ან ჩაჭრა გამოცდაზე. ქორწინების გარეშე ბავშვების მფარველი საზოგადოება, რომელიც უკანასკნელს წლებში დაარსდა იმ აზრით, რომ დაიფარონ ბავშვები მკაცრი მოპყრობისა და შრომის ექსპლოატაციისაგან, საშინელს და გულშემზარევ სურათს გვიყენებს თვალწინ ბავშვების ტანჯვისას და სიღატაკისას. დღე არ გაივლის, რომ გაზეთებმა არ გვაცნობოს რომელიმე გულ ასამღვრევი ფაქტი ბავშვებთან მხეცურ მოპყრობაზე, შვილებიანათ დედის თავის მკვლელობაზე, რომელსაც გადაეწყვიტა ერთბაშად მოესპონ სიცოცხლე, რომ თავისი თვალით არ ენახა ის მწუხარება და ტანჯვა, რასაც შვალები განიცდილნენ სიმშილის გამო; ან ცნობები ისეთს ბავშვებზე, რომლებიც სასტიკ ყინვაში გაფიჩეულები ასანთებს ჰყიდიან, მაგრამ, მიუხედავად გამვლელთა რჩევისა, შიშით ვერ ჰქედვენ შინ წასვლას, რაღანაც იქ ცემა-ტყება მოელით—ცოტა რად გაგიყიდნია.

ერთხელ წავიკითხე „მამის გამო“ ყმაწვილის თავის მოკვლაზე: მუდამ ლოთი მამის გამო სირცხვილს ყმაწვილმა სიკვდილი არჩია.

ჟეშმარიტად ბავშვებისათვის სრულიად საქმარისია ის ტანჯვა, რომლის ატანას იძრლებულნი არიან; სანამ ბავშვები ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულან ამ სასტიკ ქვეყანაში, რა საჭიროა კიდევ ხელოვნური სიმწარე, უიმისოდაც სიმწარით მოშხამულს ცხოვრებაში.

თითქმის მრავალ შემთხვევებში, როცა მშობლები სიყვარულის სიჭარბით აძლევენ შვილებს ძლიერ ბევრს უწესოდ არჩეულს სიამოვნებას, ბავშვები იტანჯებიან მშობლების მოუფიქრებლობით. ნუ გვინიათ, რომ ეს მორთული, მოკაზმული და მედიდურ მშობლების მიერ გამოფენილი ახალგაზრდა დედოფლები ბედნიერებასა პერძნობდნენ იმ მდიდრულს მორთულობაში,—არა, ისინი ისე იტანჯებიან, როგორც ჩიტი ოქროს გალიაში. ყველა ეს აკრძალვა, დარიგება, თუ როგორ უნდა მოიქცენ ბავშვები, ავიწროებს და ზღუდავს მათს ბუნებას, თამაშობის დროსაც კი ნებას არ აძლევს გამოიჩინოს უზრუნველი მხიარულება და არ უშვებენ ძალა დამოუკიდებლად განავითარონ რაც ცხოვრების უდიდესი ბედნიერებაა. ის ტანჯვა, რაც მეტის მეტს ნაყროვანებას მოჰყვება, არა ნაკლებ სამწუხაროა სიმშილობით, ტანჯვაზე. ხელოვნურად აღზრდილი ბავშვები, რომელთა ნამდვილი ბუნება ვერ გაიგეს და ყურადღებაშიაც არ მიიღეს, ვერადღეს ვერ შეიგნებენ ნამდვილს სრულს ბედნიერებას. იმიტომ რომ ბედნიერება, რომელიც არ უნდა ვეძიოთ ადამიანს გარეშე, განვითარდება მხოლოდ თვითონ ადამიანში და მდგომარეობს შინაგან ჰარმონიაში, ყველა ძალების სწორ შეწონილ და წესიერ განვითარებაში და ამ ძალების გარშემო არსებ კლთან წესიერად გამოყენებაში.

მაგრამ ამისათვის საჭიროა დამოუკიდებლობა. სხვა ვერ მოგვანიჭებს ჩვენ ბედნიერებას, ვერც მოგვიმზადებს მას. თვითოვეული ბედნიერება და ბედნიერება თვითოვეულისა დამოუკიდებლად უნდა შეიძინებოდეს. ბავშვები, მუდამ მფარველობის ქვეშ მყოფნი, მუდამ ხელმძღვანელობის გაფლენით, განზე სტოვებენ ბედნიერებას. აღამიანშა თავის თავი უნდა შეიგნოს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, იპოვოს თავისი თავი და ბედნიერებაც იქ ეძიოს. თავისი თავის პოვნისათვის თავდაპირველად საჭიროა საკუთარის ძალების ცდა, მაგრამ ამისათვის განთავისუფლებული უნდა იქმნე ყოველგვარ დამხმარე და მაშველთაგან, და გააკეთო ის, რის გაკეთებაც საკუთარის ძალდონით შესაძლებელია. საკუთარი ნებისა და ძალის პირველი წარმატება არის იმავე დროს ბედნიერების პირველი სხივი და გამარჯვების შევნება. როგორც ძალლი, პირველად ნადირის დაჭერის დროს, ასტებს დაუსრულებელს სამხიარულო ყეფას, აგრეთვე ბავშვიც მიეცემა გიურის აღტაცებას, როცა დაინახავს საკუთარის ძალების პირველს შედეგს თავისუფლად ნაბიჯის გადადგმაში, ბავშვს ბედნიერებით თვალები უბრწყინავს, პირველმა თავისუფალმა ნახატმა, თუნდა დაჯღაბნილი რამ იყოს, აღძრა ბავშვში ისეთი მაღალი კმაყოფილების გრძნობა, რასაც განიცდის ნამდვილი ხელოვანი მხატვარი ჭეშმარიტ ხელოვნურ ნაწარმოების შექმნის დროს.

ვისაც უნდა ცხოვრებაში ბავშვის სამოქმედოდ აღზრდა, ნება უნდა მისცეს ყველა ძალთა განვითარებისა, ნამდვილ ბედნიერების შეგნებისა, მან ბავშვს აღრეუნდა მისცეს ნება მისწრაფებისა საკუთარის, დამოუკიდებელის შემოქმედებისაკენ.

ჩვენი აწინდელი აღზრდა, რომელიც ჯალათივით კვალ და კვალ მისდევს და უკარნახებს ყოველ გვარ მისნა და დანიშნულებას, თვისი პედანტიურის ძალადობით სპობს ყველა ელემენტარულ ბუნებრივს ძალებს, რომელიც თავისუფალ განვითარებისკენ მიისწრაფის. ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც ხდება სხვისი ნებით და ნებაყოფლობით, იშვიათად და-აკმაყოფილებს მომქმედ ნების საღს თავ-მოყვარეობას. და იმ თავმოყვარეობის გასაღვიძებლად მიჰმართავენ ხოლმე ხელოვნურს წასაქეზებელ საშუალებებს, როგორიც არის — ქება, დაგმობა, სწავლის ნიშნები და საჩუქრები. მსგავსს მოტყუებასა და წაქეზებას ხელმძღვანელობს დღევანდელი აღზრდის სისტემა და ამ სახით ღირებულობას უკარგავს შრომას და მასთან შეერთებულს ძალებს. მაშასადამე აქაც უნდა გამეფდეს ლოზუნგი: კავშირი ბუნებასთან და დაცვა მისი მუდმივი კანონებისა. ჩვენ უკან დაწევას კი არ ვქა-დაგებთ, არა, ნაბიჯსაც კი არ გადავდგამთ უკან. ჩვენ სულ წინ მივდივართ და ვებრძივით ყველაფერს, რაც ავიწროებს და ზღუდვს თავისუფლებას. მაშ, არა დაბრუნება ბუნებისაკენ, არამედ პატივისცემა და შეგნება ბუნებისა და თავისუფლება ბუნების მოქმედებისა. არის კიდევ მეორე აზრი, მომართული ჩვენს საწინააღმდეგოდ, რაც ბევრჯელ დაგმობილ იქმნა, მაგრამ ისეთივე მწვავეა, რომ ისევ იმ საბუთებითვე ილაშქრებენ ჩვენს საწინააღმდე-გოდ. ბუნება ცოდვილიაო, გვეუბნებიან ისინი და — ბავშვებიც რომ თავიანთ თავზედ მინებებული დავსტოვოთ, ადვილად დაიბნევიან, შესცდებიან.

რა უნდა ვუპასუხოთ ამაზე? ჯერ უნდა განსაზღვრულად განვმარტოთ ეს აზრი.

რას უწოდებენ ჩვენი მოწინააღმდეგები ბავშვების შეცოდებას, ცუდს საქციელსა და შეცოდებებს? ჩვენ ჩამოვთვლით ყველაზე უფრო საზარელს, ყველაზე უარესს: ლანძღვა-გინებას, ცხოველთა და ამხანა-გების წვალებას, სქესობრივ ცდომილებას და სიმახინჯეს.

საიდან სჩნდება ყველა ეს ბავშვებში? ზოგი მიმბაცველობით, ზოგი თანდაყოლილ მოთხოვნილებით და აგრეთვე გულ-უბრყვილო მისწრაფებით ყველაფრის შეგნებისაკენ. უეჭველია ყოველს შემთხვევა-ში ბუნება თავს იჩენს. ჩვენი მოწინააღმდეგენი განვაშს ასტეხენ და გვამცნევენ, მაშ, ჩვენ უნდა აღვიაროთ ბუნების ამ-გვარი მოვლენა და მივუშვათ იგი, თუ ნამდვილად სერიოზულად ვიცავთ ჩვენს მოძღვრებას ბუნებრივი აღზრდის შესახებ. განა ეჭვი აქვს ვისმე, რომ ჩვენ შევგებრძოლებით ყველა ამ გვარ მოვლენას, როგორც სხვა თავის დამღუპველ გარემოებას და იმ ზარალს, რაც შეიძლება სხვამ მია-ყენოს მეორე არსების სწორუფლებიან სიცოცხლეს. იმავე საფუძველით ჩვენ ბავშვს ნებას არ მივსცემთ ფანჯრიდან გადავარდეს, ან სხვა გადააგდოს. ისევ იმავე საფუძლით ნებას არ მივსცემთ ბა-ვშვს რითიმე სქესობრივი მოქმედება გა-მოიჩინოს, რომ ამით თავისთავს ზარალი მიაყენოს და დაიმახინჯოს საკუთარი ბუნება. განსხვავება ჩვენსა და ძველი ზე-ობის მქადაგებელთა შორის ამ მოვლენა-თა დაფასებაში და მოპყრობაშია. ამ მო-ვლენებში ჩვენ ვხედავთ სისუსტის, დაუ-ჯერებლობის და ბუნების აღვირ ახსნი-ლობის გამოსახულებას, თუ ბავშვი თვი-თონ იწვევს სქესობრივს გალიზიანებას, იმას თავდაპირველად არ ჰეონია, რომ ეს აკრძალულია და დანაშაულობას შეადგენს.



შეიძლება მიზეზი ამ გალიზიანებისა ბავშვის ბუნებაში იყოს, ან შეიძლება შემთხვევის ბრალიც იყოს, ან და იქნება ცნობის მოყვარეობით და თამაშობით წაატყდება ბავშვი ამ ახალ გასართობს. მხოლოდ ამით გამოწვეული სიამოვნების გრძნობა, რომელიც პრინციპიალურად არ განირჩევა სხვაგვარ სიამოვნების შეგრძნებათაგან, აქეზებს მას განაგრძოს ეს თამაშობა. მაგრამ ეს პირველი ცდა შეიძლება სწორ მავნე ჩვეულებად გადაექცეს. ყველა დაგვეთანხმება, რომ აქ საკითხი ზნეობისა და უზნეობისა არ შეიძლება. როცა აკრძალვა მოხდება და მით ბავშვის სვინიდისიც გაიღვიძებს, და ბრძოლა იღიძერება ნებისა და მგრძნობელობის შორის,— მაშინ მივიღებთ მხოლოდ საზნეობრივო პრობლემას.

მაგრამ ამ სახით საკითხი დანაშაულობისა სრულიად გადაწყვეტილი არ არის. იმიტომ, რომ ბავშვი პასუხს ვერ აებს თავის ნების ძალაზე. ამიტომაც ახლა ექიმები მეტს არ ლაპარაკობენ ბიჭიერსა და სწორს ბავშვებზე. იმათ იციან, რომ ამ სიმახინჯეს ხშირად ნიადაგი აქვს დასუსტებული ნერვების სისტემაში. ამ შემთხვევაში აღმზრდელმა ხელი უნდა შეუწყოს სუსტს ბუნებას. ეს უნდა არა დაშინებითა და დასჯით, რომელიც უფრო აუშლის ნერვებს, არამედ ჯერ სხეულისა და ამით ნების გამაგრებით.

მეორე მაგალითია ცხოვრების სასტიკი მოპყრობა. ეს ძველი მექანიდრეობაა პირველ ყოფილ კაცობრიობის დროინდელი, იგი თვითოეულს აღამიანში ისევ თავს იჩენს.

სრულიად კულტურულ ხალხს სასურველიად მიაჩნია გასწყვიტოს გარეული მხეცები. ჩვენი მონადირეები გაფაციცე-

ბით ეძებენ ამ ცხოველებს ყველგან მოქმედებენ ამ სახით არა საჭირო თავის დაცვისათვის. არც ლომი და არც ვეფხვი არას გვერჩიან ქალაქებში. ახლა სამწუხაროდ შენიშნულია, რომ ზოგიერთი შესანიშნავი ცხოველები, მთლად ისპობა დედამიწის ზურგიდან და ბევრი კიდეც აღვილა. იქნებ როდისმე გაიღვიძოს ადამიანის სვინიდისმა და ცხოველების დაცვის საკითხმა სრულიად ახალი მიმართულება მიიღოს. იქ, სადაც მოზრდილებსაც კი არ აქვთ თავისი საკუთარის საქციელისათვის სრულიად მტკიცე ნორმები, იმათ არ შეეფერებათ მკაცრი კანონმდებლობისა და მსაჯულის როლი პავშვებთან. ჩვენ მაგ. სრულიად არ ვიცით, როგორ უნდა განუვითარდეს ზნეობა ცხოველების მოპყრობაში, როცა ბავშვები წამოიზრდებიან. ყველა ეს ისე ძლიერ იცვლება, ჩვენი მოყვასნი ისე ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთში და ისე მიუყოლებელნი არიან თავის დაფისებაში.

აქ რომ კითხვითი ნიშანი არ დავუსვათ და მოწინააღმდეგებებს არ მიისცეთ იაფი გამარჯვების შეძლება, ჩვენ ამ წერილს დავამთავრებთ წესებით, რომელსაც ყველა ბავშვი გაიგებს და დიდებიც მოვარისებენ: ჩვენ თავიდანვე ჩავაგონებთ ბავშვებს შემდეგს: „ნუ უზამ სხვას იმას, რაც არ გინდა რომ სხვამ გიყოს“. როცა ვერავითარი ჩაგონება და რჩევა ვერას გასპრის, მაშინ მივმართავთ იმავე სამართლს, რაც ბუნებაში არსებობს, ბავშვს გამოვასყიდვინებთ იმ ტკიცილს, რაც მან აგრძნობინა თავისს ამხანაგს თუ ცხოველს თავისთავზე შესაფერისის ტკიცილით. საზოგადოთ ბავშვმა არ იცის, რომ მუნჯი არსება - ცხოველიც გრძნობს ტკიცილსა.

მაღალ კულტუროსანი ხალხნი, ხმელთა ზღვის ნაპირებზე მცხოვრებნი, თავიდან იცილებენ საყვედლურს ცხოველებთან სასტიკ მოპყრობის შესახებ, იმიტომ, რომ: „la bestia non e christiano“. აქ ჩვენ ვხედავთ ძველს დანაშაულობას იმ აღმზრდელებისას, რომლებიც ყოველთვის ქადაგებლნენ, რომ ადამიანი ბუნებაში სრულიად განცალკევებულია და ყველაზე მაღლა სდგას და ამ სახით ჰკლავლნენ ადამიანში სხვა ცხოველ არსების სიბრალულს, თანაგრძნობას და გულშემატკიფრობას. თუ ჩვენი ბავშვები დღესაც შეუბრალებელნი არიან, ეს იმის ბრალია, რომ მათში ბუნების გარდა მოქმედებს აგრეთვე ცუდი ტრადიცია და ცუდი მაგალითი: რად დადიან მათი მამები სანადიროდ? რად იღებენ მონაწილეობას ცხოველების დახოცვაში? რად ჰკოულობენ სიამოვნებას ცხოველების გაწრთვნაში? რად ჰკავთ ჩიტები გალიაში? რად ატარებენ მათი დედები ფრინველების ტიკინებს შლიაპებზე? რად მიირთმევენ შაშვებს და ტოროლებს? რად ატყავებენ ცოცხლად გველთვევზებს? რად ხარშვენ ცოცხალ კიბოებს? რად გზავნიან კალათებში ცოცხალს ზღვის კიბოებს და შემდეგ ჰგლეჯენ ნაწილებს? ერთის სიტყვით რად სახდიან თვითონ მამები ასეთს სისატიკეს, თუ კი მართლა უნდათ თავიანთი შვილების ზნეობრივად და ჰუმანიურად აღზრდა?

ჩვენ ბრალს ვერ დავსდებთ ბუნებას იმაში, რაშიაც ჩვენვე ვართ დამნაშავე. ის ინსტიკტი, რომლითაც ბუნებამ დააჯილდოვა ადამიანი, საჭიროა ადამიანის სიცოცხლისა და მოქმედებისათვის. ეს არის და იქნება კიდევ ჩვენი რწმენა. ჩვენ დაგვრჩება მხოლოდ ის, რომ ჩვენი გონება,

რომელიც ბუნების ნაწილსავე შეადგენს, გაეხადოთ ჩვენი ცხოვრების ხელმძღვანელად. ეს არც სიკვდილს ნიშავს და არც ბუნებისაგან უკუქცევას, არამედ თავისუფალ შეერთებულ მუშაობას. ინსტიკტი არ უნდა სხაგრავდეს მას; ერთი ბუნება მეორეს არ უნდა სპობდეს; გონება უნდა განაგებდეს ბუნებას კერძო ცხოვრებაში, როგორც კარგი მმართველობა განაგებს მთელს ხალხს.

გონიერი ლტოლვილება მოძრავ თამაშობისაკენ, გამოყენებული და პედაგოგიურად ხეარებული, აღმზრდელთა დაუხმარებლადაც უვითარებს ახალგაზღლობას მრავალს პირადს და სოციალურ ძალას. თავისუფლად არჩეულს სათამაშოებში თვითეული მონაწილე უნდა შეეგუოს და დამორჩილდეს თამაშის არსებულს წესებს. ეს უვითარებს უფლების შეგნებას, წარმოადგენს ასპარეზს კეთილ შობილურ გაჯიბრებისას ყოველს ვაჟკაცურს სათნოებაში: სიმარდეში, ძალაში, თავშეეკვებაში, სიმტკიცეში, ამხანაგურ გრძნობაში, სწრაფ და შეგნებულ გადაწყვეტაში და საქციელში. ამით ახალგაზღლობა თავის თავს უკეთ ამზადებს სოციალურ ცხოვრებისათვის, ვიდრე აღმზრდელები თეორიულის დარიგებით. უკანასკნელი რწმენა სასარგებლოდ არის გამოყენებული ინგლისში, ამერიკაში და შევიცარიაში.

მაგრამ თამშობის დროს უკეთ და ბუნებრივად ვითარდება ყველა მდიდარი და შიძინებული ძალა ფანტაზიისა და შემოქმედებისა; ვითარდება მოსაზრება, მოგონების ნიჭი და ამასთან ერთად ნიჭი და ძალა შემოქმედებით მუშაობისა. ამაზეა დამყარებული ის ბრწყინვალე შედეგი, რომელიც მოსდევს სკოლებში ხელით შრომის სწავლების დროს; აგრეთვე თა-




ვისუფალი კავშირი; „თამაშობა და მუშაობა“ ბერლინში ებრძვის ძველს დახავსებულს სასკოლო სააღმზრდელო სისტემას.

ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე ისეთს აღზრდას, რომელიც ეთანხმება ქვეყნის საწარმოვო ცხოვრებას და ახალთაობას ჰქმნის ყოველის მხრით ამ ცხოვრების სასარგებლოდ. ჩვენ გვინდა, რომ ყოველდღიური ცდა ცოცხალი ნიადაგი იყოს ყოველგვარ სწავლებისა და დარიგებისა, რომ ყველაფერი, რასაც ბავშვი სწავლობს, სასარგებლო და ცხოვრებაში გამოსაყენებელი იყვეს. ჩვენ კულტურას ისე კი არ ვუყურებთ, როგორც ბუნების საწინააღმდეგოს, არამედ როგორც მისს გასაუმჯობესებელს, ასამაღლებელს და ვემსახურებით მას თავ-გამოდებით და გონივრულად. კულტურამ ნება უნდა მისცეს ადამიანს ინდივიდუალურად განვითარებისა იმ კანონით, რომელიც იმასთან ერთად გაჩნდა. მაშასადამე ჩვენ კი არ გავურბივართ კულტურას,—ჩვენ ვეძიებთ აწინდელ კულტურულ ცხოვრებასთან კავშირს, ვსარგებლობთ კულტურის ახალ გამოგონებას და წარმატებას, მაგრამ გადაჭარბებულს ღირებულებას მაინც არ ვაძლევთ იმას, რაც კულტურას მოუცია. ჩვენ ანგრიშს ვუწევთ აგრეთვე ყველა უგზოუკვლოდ აზროვნებას რელიგიურსა და ზნეობრივს სფეროში, არ გვწამს არსებობა „საუკუ-

ნო ღირებულებისა“, რადგანაც დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველაფერი მოძრაობს და იცვლება.

დედა-კაცი სიკეთითაც იგრე უხვია, როგორც შეგნებით! უეჭველად მიზანს მიაღწევს!

ჭაბუკი უოველი გული ალისება შენდამი მაღლით!

ქალწული ბედნიერებას შენის ხელით პელაშ შეღიარებით.

ჰილას (სასოწარკვეთილი, ფრინეს) გაბულას ჩემს გულს შენის ტრფობით დაბრმავებულს! გამოტუდ ბარე: გრად მბრძნებულს

და მონავთ, რომ დამონებით, უბურესობა სძლით იგი.

ფრინე (სულ მაღლობის გამომეტებალებით და შინერა-მონერით) ჰე, ჰილას ჩემთ! მწესარება შენი ჰილალადებს! შენ თუ გწეუროდა ბრძოლის უელზე დაცემულიყავ, განა ჰეთნებ, მე სხვა წადილი მასულდგმულებდეს? მხოლოდ ეს არის განსხვავება: რასაც სიკვდილით შენ ვერ შესძლებდი, იქნებ შესძლოს ჩემმა გრძიროვაშ და მიანიჭის საბრალო ხალას თავისუფლება! (ხალხში აღტაცებულ თანაგრძნობის ხმა) (ფრინე ელჩს) შითხარ, კეისარს როდის უნდა გასცე ჰასები?

ელჩი ვიდრე იგი მზე უკანასკნელს სხივს არ ჩაქრიბის.

ფრინე წადი, ხომალდი განამზადე! თვით ვარ ჰასები. (ელჩი გადის).

ხალხი (აღტაცებით ფრინეს გარს ეხვევა. ზოგი მის კალთას ემთხვევა).

ჰილას (უკანასკნელის დონისძიებით) ვით მოისმინეთ მისი სიტუაცია აღუშეთველად? რად არ შესძნებოთ უელა ერთად: „არა, გეთავება, შენ ნუ მოჰკვდები! ისევ შენთვის ჩვენ განვიწიროთ! შენ ხარ მშვინიერ სამშობლოის მშვინიერება და როგორც მისთვის, ეგრეც შეხთვის გვარების ვითხოვთვლა! უშინასრო, შენგნით მოძღვნილ სიცოცხლის საცვლად ის გვიაჩეგნა, დვთაებრივ, ჩვენ თვითონ გაგწევდეთ!“ (არავინ უგდებს უურს. უგელა ტრინეს შეჰეურებს).

ფრინე (რომელის გარშემოც დობილ-ქალებს თავი მოუერათ) შენ ჩემთ ხლოე და შენც ირას, მე გამომევებით! (ხლოეს:) შენ იგალობებ გადაფურჩნილ ვარდის სამზღვის, წენარ, მეუდრა ბაღში მზეს რო მკერდი გადაუსალა, და მის სიცხოვლეს უძღვნა ნამი თვისი გულისა. (ირას:) შენ ჩანგს აავლენ და გამოსცემ სამარ ჭანგებს, რათა თვით ლექსი უნაზესის სულით აღივსოს და უოველ სიტუაციას ქალა მისცეს გრძნეულებისა. მე კი

ვერებებ და თვალთათვის ლექსს და გალო-
ბას მოსდენილ ტანის ნელის რხევით ავამე-
ტუმელებ, რომ მით სასტიკი, უდიშბელი
გული მოგხიბდეთ. წადით, დობილნო! მოი-
კაზებ და მიართებით! მეც მომიტანეთ გამ-
ჭირებულ ტანისამოსი. მე კი მანამდე აფრო-
დატეს შევეღებები.

(ხლოე და ინას გავლენ მარცხნით. ჰილას,
ფრინებგან პირ-მიბრუნებით, სდგას დრმად
ადელადებული).

ფრინე (მიძის ტერასაზე. სახეს ნახევრად
ტაძრისებ და იშენს, ხალხი მის დაბლა მოკრ-
ძალებით მუხლს მიაყრის).

ოჳ, აფროდიტე შევენიერო, კეთილდ
ღმერთო! შენ, ზღვის კერცხლოვან ქაფისაგნ
წარმოშეგებულო, ტახტი რო გიდგის სხვით
შემკულ ღრუბელთა ზედან! თუ მე დღესმე
წრფელის გულით მისვერბლას მწირავდი, საუ-
გრძელ მტრედებს სკეტაკ-ფრთას სკდვნილი
შენს წალკოტს და ჩემის ლოცვას მხერგალე-
სა ურად იღებდი, აწც ნება დამთე, მოწეა-
ლეო, შენს წინ წარმოვსდგე და შემოგებდო,
ზეციურ შენი მშვენება: ქვევის ბატონი,
მბრძანებელი თავისთან მიწვევს! ამათ გულის-
თვის, ჩემთხ ერთად რომ გადიდებენ, მომეც
შე გრძება მომხიბლებული შენის მშვენების,
შენის სხეულის ბრწინვალებით შეცა შემაშე-
და ჩემი სულის მდელოვარება ჰქავ ლალი,
სრული, იგი გაჭიტანტე ამ სხეულის ნაზს
ნაკვთებში, რათა ამბორმა, ტრიტობა-ხევნიშ
მე მანეტაროს. გთხოვ, მოუვლინო ჩემი თა-
ვი, ჰე აფროდიტე, ქვემის უძლევებ მფლო-
ბელს არა შეძავ დაცად, არამედ წმინდა გან-
თიადის მთრთოლავ სინათლედ, რომელს ამ-
შვენებს ამომავალ მზისა ალმური. მომეც შე
ძალა, წარგსდგე სასტიკ თვალთა წანაშე,
გრძნობათ წარმტაცი, მშვენიერი და მომხიბ-
ლებული. და იმის გულს ესალბუნოსჩემი არ-
სება, უხვად შთაღვაროს ნეტარება იმის მჭაცრ

სულში, იმდენად ტკბილი, მხერგალე და ლუ-
ზიწერი, რომ ჩემს ბაგებს გამოეეს მსთ-
ლოდ იმისთვის, რათა სოფელი მბრძანებელ-
მა ფეხთ გარდმიშალის, და მე კი აქროს
და სხვა ძვიროვის ჯალდოს მაგიერ მოვსთხო-
ვი: ერის და მამულის თავისუფლება!

ოჳ, აფროდიტე, შევენიერო, კეთილდ
ღმერთო! შენ, მოწეალეო, ურად იხვენ ჩემი
გედრება, რამეთუ მსხვერპლად შემოგწირე
ჩემი არსება. უარესავ იგი, ვის გეტრფლი
წრფელის გულითა და ამ განწირვით არ ერ-
თას ზვარაკის სისხლი შენდა მოგიძლევნ:
ნორჩი ბავშვი, რომის ღიმილიც უტებილე-
სია, ვიდრე სხივი მნათბელ მზისა, მკრდ-
ზედ მიკრული მე არ მეტევის: დედა ჩემთო!
გნა ეს მსხვერპლი იმ მტრედებზედ ძირიად
არ მიღირს, მხერებზე შემოსმული რო გწი-
რავდი განთიადისას? თვით გემისგერცებია,
სახარებით, თავაგანწირული, რაც ჩემს გა-
რეშე სხებს არავის გაუბედნა. და როდეს
მომცემს მტრეცე სიტევას ქვეუნის ბატონი
და ჩემს სამშობლოს მით ასცდება შავბედი
ხედრი, და მის შემდეგ ალარ ვენისძე ცის
სურნელებას და სახრდილოს ჩავესვენო ერის
დამსწერილი.

(ფრინე და ხალხი მლოცველთა შაზაში
დარჩებიან).

დედა (მიუახლოვდება, წენარად სტირის)
მაშ წადი, შვილო!... არ ასეთს დღეს გუქა-
ლოდი შენს პატარძლობას! შენს ქორწინებას
მე ვმოსავდი სხვა ფერადებით. ასეთი ბედი,
სხის უთვილა, ღმერთების ნება! გაჭ, ჩვენ
უბედურ! უკანასკნელ იმდედ ვგზავნით! სრულ
ჰქავ გედრება ჩვენის ხალხის! იგავ გურთხეულ!
(ფრინე არ უშენეს).

ხლოე (უბებ შემკული ინასთან ერთად
შემოდის მარცხნით და ფრინესთვის ტანისა-
მოსი მთაქვს). მიღიე, ფრინე, სამოსელი და
საბურავი!



ირას (უპყე შემკული, ჩანგით ხელში, ტერასიდგან მარცხნით მიუთითების) ნავი მზადათის, შეზღვაურიც გვიჩმობს: მოდით!

ფრინე (გამოერგვება დოცვიდგან) მაშ წაშმებებით! ხლოე, გზაში კთხტად შემმოსვდა შენ კი, ირას, იგალიბებ ზეირთთა სრბოდის ლექსს.

1. **ჰეტერა** (ბორთტის დაცინებით) რით განსხვავდება ამა ფრინე ესლა ჩვენთაგან?

2. **ჰეტერა** (ზიზდით) მით, რომ სასუიდელს იღებს იგი კეისრისაგან.

მამაკაცი (მუქარით) დაჩუმდით ურცხვნო, თქვე რესკიმნო, ბოზნო დიაცნო, თორემიაგ უელზე ლოდს დაგვიდებთ და წეალსა მიგცმით!

ჰილას (ფრინეს გედრებით გზაზე გადაუდება და ჰეტერებზე მიუთითებს) გესმის, ისინი რას ამბობენ და მაინც მიხვალ! სტერეტ შენ წინაშე ერთგულს მიჯნურს და მაინც მიხვალ!

ფრინე (თავის დობილთა თანამგზავრობით უსიტყვოდ. ამაუად ბგერდს ჩაუვალს და გადის მარჯვნით).

ჰილას (ტერასაზე. მიჭმართავს სალეს უფაბედის გადაწევილებით) ერთიანა დამრჩა! კეისარი, თვით კეისარი! როდესაც ფრინე მოწიწებით წინ წარუდგება, გეტუგი: ა, ჰესევა, სულმდაბალმა ერმა მოგაძლენა თვისი დიდება, რათა ისწავს თავი განსაცდელს.

ავოლოლიკოს (გაბრაზებით) ვერ იქ მაგასა, სანამ ძალმის გზა გადგილობრივ!

დედა-კაცი (ჭუვირის) რა უნდა მაგრა გერსართან? საჭირო ჩაგვიშლის!

მამა-კაცი (საზარდად) დავიღუშებით, არ გაუშვათ! შეჭბოჭეოთ იგი!

ჰილას (ხმალს იშიშვლებს) უერ დამაკავებთ! ბოლოზში სდგას ჩემი სომალდიც! და კორინთისკენ! გზა, თქვე მხდალნო, სულით დანართნო! თქვენ ისე რისა გეშინანთ, როგორც სიგვდილის!

(ხმალ-ამოლებული სალეს გაარღვევს და მიერაება).

სალხი დაიწით იგი! ნუ გაუშვებთ მას ბეისართან!

(დაედეგნებიან, სხვათა შორის ავტოლიკოსიც. სალხში შეიათება, რომელიც აქტის დასასრულამდე გასტანს).

ჰიბუკი ზღვის შუაგულში ფრინეს ნავის აფრასა უხედავ!

დედა-კაცი ჩვენ აფრთდიტეს შეგდალადოთ!

მამაკაცი ჰილას მისცურავს! აგრ დაიძრა მისი ნავი ზღვის ნაპირიდგნ!

ჰილწული ღვთაებრიგ-ოქროს-სარტელოვანო, შენ დაგვითარე!

ჰიბუკი ფრინეს სომალდი შიჭკის, როგორც მალი ფრინეგლი!

მამაკაცი (შვებით) ჰილას ჩამორჩა!

დედა-კაცი (მუხლს მიაღრევს) გმადლობთ, გმადლობთ, თჲ, აფრთდიტე! თ, დიდ არს შენი ძლიერება!

(დასასრული იქნება)



იტირე... იტირე!

I.

¶ გლოვე... იგლოვე, ფოთოლო მომწყდარო,
გაეთიშე ბუჩქარებს მწუხრის უაშს დამჭკარო,
ველარ მოისმენ ფრთოსანთა ჟიღურეს,
ველარ აჰყვები ზეფირის ლივლივეს,
ანკარა წყარო არ გეტყვის ზღაპარს;
ვერ ჰნახავ სიზმარს, სანატრელ სიზმარს.

II

გულო, ეჭ გულო,
გათანგულო,
შეიწროებულო,
ავყია ბედის ლაზოსაგან
მოყივნებულო!
ნუდარ ჰსასოებ
განიფანტე კვამლი გოდების.
არ აჰყვადება ცრემლთა ტერფზე
გრძნობა ოცნების.
აღსრულდა!.. ჭმუნვა
ჩაგინერგდა მტკიცედ და მყარად

ეკლის ყანაზე ეკლის თავთავს
მოიმკი მარად.
მევობართ გესლმა გაგიფანტა
სიცოცხლის ხვავი,
სატრფოს ლალატმან შეგიმუსრა
ოცნების ნავი.
სახვაშიადო არა რა გიხმის
მუხანათ სოფლად,
იტირე... იტირე! სევდის ლრუბლებს
შეერთე ორთქლად...
დ. თურდოსპირელი.

დღეს მესა ვხარომ...

ღ ღეს მეცა ვხარობ შვების მეჯლისში,
გადავივიწყე ტანჯვა და კვნესა;
ცხოვრების მკერდზე ხელ-ახლა ვიშვი,
ამურის ლიმით შევხედე მზესა.

განა ვიცი, თუ რათა და რისთვის
ვნეტარებ ღლეს მე ესრედ ძალიან?.
არა, არ ვიცი და სწორედ მისთვის,
მისთვის ვიცინი და მიხარიან!

o. მ ჭედლიშვილი.

მუსიკის გიგანტი!

მუსიდობით! ნუ დაღონდები,
ტყუილ ნუ დაღვრი ცრემლებსა,
„ვაის“ ნუ მეტყვე გულსაკლავს,
ოდეს მაჭრიდნენ ხელებსა!..

დეე, მომისპონ ნუგეში—
უნარი ყოფნა-შრომისა,
ენა მაჭვს—ამეტყველდება,
ხმა დაიჭექებს წყრომისა!..

წავალ მე... ველად დავდგები,
წაებით მოსილ ველათა,
იმედის ჰიმნებს ვიმლერებ
მოძმის გულ-ასაძერათა!..

მაწამონ... დეე, აწამონ,
კლიტე დაადონ ენასა,
ფეხები არ მოისვენებს
გული არ შეწყვეტს ძერასა!..

შენ ნუ მოიწყენ, იმედო,
ცრემლებს ნუ დაღვრი ცხარესა,
თუნდ მოვკვდე, მშვიდობით გუთხრა,
ჩემ ტანჯულ-შობელ მხარესა!..

მოვკვდე საერთო საქმისთვის,
მოვკვდე—ეს ჩვენი ვალია,
ჩვენი გზა შორი, უვალი,
ეკლიინი და მწარია!..

ამას გთხოვ, ჩემო იმედო,
ამას გთხოვ, გენაცვალები,
ოდეს დაჭრილი მიპოვო
დახუჭულ მექნეს თვალები!..

შორის ნუ წამილებ, დამმარხე,
საღ ჩემი მოძმე მარხია,
მასთან დამტოვე საფლავში,
მისკენ მიბრუნე სახეია!..

განთიაღისას, ხანდახან,
ჩვენს საფლავს ევლინებოდე,
და გათენებას,—მზის სხივებს
ძლევის ჰიმნებით ხვდებოდე!..

საფლავში დებულს—ეს ხმები,
სიცოცხლეთ მომედინება,
და ჩემი სულის აჩრდილი,
თეთრ ჩიტათ მოგევლინება!..

დიდი-ჯიხაიში.

გელა.

REFUIESCAT IN PACE

მესაფლავევ, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება...
ეჲ, არ მჯერა მე ეგ რაღაც... მომაბეზრე კიდეც თავი,
და შესწყვიტე, თუ ღმერთი გწამს, ეგ დაცინვა გულ-საკლავი...
...ვარდის თვეა, მაისია, ნორჩ ბალახებს სიო არხევს,
ხეებს ყვავილთ თეთრი გუნდი, როგორც თოვლი ისე აწევს.
მზე ნარნარი სხივებს აფრქვევს და სითბოში მთაბარს ახვევს,
საფლავებზე გადაშლილა ყვავილთ გროვა მომხიბლავი.

ვერა ხედავ, იმ საფლავზე როგორ სტირის ოფლად ქვრივი? პისძიობით
რა რიგ შვენის ახალგაზდა ქალს ეგ სევდა ღვთაებრივი!
განა გუშინ არ იყო რომ ამ მოკლულმა დარღით ქალმა
ცრემლი ჰლვარა, როცა სატრფო ცივ სამარეს მიესალმა?
დღესაც იგი ამ სამარეს გულ-მოკლული დაქვითინებს,
ღღით არ იცის მოსვენება და ღამითაც არ იძინებს.
მოვა ხოლმე და დაჯდება ცივ სამარის გაშლილ ქვაზე,
გლოვით არის გაულენთილი მისი უღვთო სილამაზე,
თმას გაიშლის, დაემხობა და ცრემლები სცვივა, სცვივა,
სულს მიშტოთებს ეგ ქვითინი, გული მტკივა, გული მტკივა...
მაგრამ რა ვწნა? მესაფლავევ, ჩუბად იყავ, უგდე უური,
გესმის? გესმის, როგორ კვნესის დაღლილი და უბედური:—
„გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
„არ მელირსოს კვალ-არეულს სიმშვიდე და მოსვენება;
„შენი ჩრდილი გულს ჰკაწრავდეს, როგორც ვიყო, სადაც ვიყო,
„თუ როდისმე არ მახსოვდე, თუ როდისმე დაგივიწყო“!

მესაფლავევ, კიდევ იტყვი რომ ამ ქვეყნად ვინც კი ჰკვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

აი, თუნდაც, მესაფლავე გალავნისას აღებს კარებს,
ახალგაზდა ვინმე ვაჟი კიდევ სატრფოს ასამარებს,
გულ-მოკლული ძეირფას კუბოს არ სცილდება, არ შორდება,
განა როსმე სხვა ამგვარი სიყვარული მეორდება?
უსაზღვროა მისი სევდა, უსაზღვროა მწეხარება,
და გადმოსჩეეფს საბრალო ვაჟს თვალთვან ცრემლთა მდუღარება;
ფიცით ამბობს:— „ოჂ, შეშფოთდეს სამარეში ჩემი ძვლები,
„არ ათბობდეს ჩემს სამარეს გაზაფხულის მზის სხივები,
„გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
„არ მელირსოს კვალ-არეულს სიმშვიდე და მოსვენება.
„შენი სახე გულს ჰკაწრავდეს სადაც ვიყო, როგორც ვიყო,
„თუ როდისმე არ მახსოვდე, თუ როდისმე დაგივიწყო“!

მესაფლავევ, კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყოველ ჩვენგანს ავიწყდება?

ის ქალი კი, წელან რომ ვთქვი, ისევ მოდის ვით აჩრდილი,
და სამარეს დაუვიწყარს თავს აღგება თმა-გაშლილი;
ხედავ, ვარდის მთელი ბუჩქი ჯერ ისევე დაუმჭკნარი,
მოაქს, რომ მით დაამშვენოს სამარისა თეთრი ჯვარი.
ოჂ, ეს ქალი! ალბად დარღით ყვავილივით ჰკნება, ჰკნება,
სევდას სახე დაუფარავს და სიყვითლე ეპარება.



საცოდავი! თვალებსაც კი დასჩნევია უძილობა,
ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძნობა!
ეხლა? ეხლა კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი ჰქონდება
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყოველ ჩვენგანს ავიწყდება?

და ის ვაჟიც გუშინ წინ რომ მიაბარა სატრფო საფლავს
არ სცილდება სასაფლაოს, სევდიანს და გულ-მოსაკლავს,
სახე თაფლის სანთელს უგავს, სანთელივით დნება, დნება,
თავს დასცეკრის დაუვიწყარს, გლოვის სიტყვას ეუბნება,
მის თვალებსაც დასჩნევია ღამის თევა, უძილობა,
ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძნობა.

მესაფლავევ, კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი ჰქონდება
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

დღეს იმ ვაჟმა სევდიან ვაჟს უნებურად მოჰკრა თვალი,
გაიფიქრა: — „ისიც ჩემებრ სტირის ცრემლებ-შეუმშრალი.
„უძიროა კაცის სევდა, უფრო ღრმია კაცის გული,
„რას არ ითმენს სიყვარულის წმიდა ალერსს მოკლებული“.
ასე ამბობს გულ-დამწველი ქალის ცისფერ თვალთა ცქერა;
ალბად ვაჟსაც ამ უსიტყვო ცქერაშ გული აუმგერა.
ასე იცის თანაგრძნობამ... შენ კი ისე ილიმები,
თითქო მართლაც იბმებოდეს იმათ შორის ის სიმები,
რომელთ ძალით ორი გული სამუდამოდ შეერთდება...
ეჭ, არ მჯერა მე ეგ რაღაც, ქვეყნად ეგრე როდი ხდება!
როცა ფიცით აცილებენ მიცვალებულს სამარემდე,
ფიცის არ სტეხენ... ფიცის არ სტეხენ უკანასკნელ ყოფნის დღემდე.
გამიგონე, მესაფლავევ, შენ არ იცი კაცის ღარდი,
თორემ რაა ჩემს თქმაზე რომ სულელივით ახარხარდი?
რა ვუყოთ, რომ იმ ვაჟმა ქალს მიუტანა ნორჩი ვარდი
და მწუხარედ წასჩურჩულა: — „შემიყვარდი, შემიყვარდი!
„ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, შევაერთოთ სულთან სული,
„გამომყევი, ქალო, ცოლად... ძლიერი მაქვს სიყვარული!
„მართალია, ის სატრფონი არც შენ, არც მე აღარა გვყავს,
„მაგრამ მათი მოგონება ვერ გაარღვევს უხმო საფლავს.
„დავივიწყოთ ის წარსული, სატირალი, სავალალო,
„და ახალი შევქმნათ ყოფნა... გამომყევი ცოლად, ქალო“!

დაიცადე, მესაფლავევ, თუ რა პასუხს მისცემს ქალი,
შენ გგონია, რაკი ვაჟმა დაივიწყა თავის ვალი,

ქალიც ასე მოიქცევა? მე მგონია არა, არა!
 განა გუშინ არ იყო რომ სატრფო საფლავს მიაბარა?
 მკვდრის აჩრდილთან ვინ იცინის, მკვდრის აჩრდილთან ვინ იხუმრებს?
 აი, ნახავ, აბეზარ ვაჟს რა პასუხით გაისტუმრებს!

მაგრამ ქალი, ღმერთო ჩემო, მორცხვად თავს ხრის და ჩურჩულებს:—
 „თანახმა ვარ... ერთად ერთი მომავალი მასულდგმულებს...
 „ჩენ ერთი გვაქვს მწუხარება, ნუ ვიგონებთ დროს უბედურს
 „მე შენი ვარ სამუდამოდ, წამიყვანე სადაცა გსურს“!

მესაფლავევ, ეხლა კი გაქვს ნება რაც გსურს კვლავ იგი სთქვა! სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა,
 ალბად ქალ-ვაჟს დღეს ერთი აქვს ბინა... ხედავ, გადის ხანი,
 არ ნახულობს სასაფლაოს დღეს არც ერთი იმათგანი
 საფლავთაგან მტვერს და ბალახს დღეს არავინ არ აცილებს
 და მოვლასთან ერთად ფერი წართმევიათ გარდ-ყვავილებს.
 განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულ არსთა ძვლებო,
 თქვენს ყოფნაში არ ერევა ცოცხალთ ფიქრი საარსებო.
 განისვენეთ! ძლიერი და უკვდავია თქვენი ძილი,
 რაღად უნდათ, რად სჭირიათ თქვენს საფლავებს გარდ-ყვავილი?
 ან რას გარგებთ მოკვდავ კაცთა ტირილი და ცრემლთა ფრქვევა?
 ძილით ვეღარ გამოგარკვევთ ვერ-რა ძალა, ვერც შემთხვევა
 ასე ხდება ქვეყანაზე, ყველა სცოცხლობს, ყველა ჰკვდება
 და ვაი მას ვის სიკვდილი სიცოცხლეშავ ავიწყდება!

ზარსა სცემენ... იმ ორს, რომელთ დაივიწყეს ბედი მწვავი,
 იმ ორს ერთად შემოვერცხლილ კუბოში სჭედს მესაფლავე...
 სჭედს და რაღაც მწარე ფიქრზე თან გველურად იღიმება,
 იცის, იცის მესაფლავემ როგორც უნდა, როგორც ხდება!

განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულ არსთა ძვლებო,
 თქვენს ყოფნაში მე ბევრი მაქვს მწუხარე უამს საოცნებო!

გ. ტაბიძე.

ჩრდილოეთის ცის ქვეშ

ლიდხანს იჯდა დიმიტრი მაგიდასთანა და ჩაჰურებდა ბერძნულ წიგნს. ამაოდ ცდილობდა გადათარგმნას. მისი ყურადღება ისე იქსაქსებოდა სევდის ველზე, როგორც ქარის დევნისაგან გზა-კვალ აბნეული ნისლი. რამდენადაც სცდილობდა თავი მოქმორებინა ირაო ფიქრებისათვის, იმდენად იგინი ძალუმად ეუფლებოდნენ, უფრო მკაფიოდ მოესმოდნენ შემოდგომის მწუხრის ხები, რომელიც უცნაურად ათრთოლებს მარტო მყოფ ადამიანის არსებას.

დიმიტრის პატია ოთახის ჰაერი აღარა ჰყოფნიდა... სული ეხუთებოდა... სარკმელი გამოაღო... ოთახში შემოსრიალდა მიცვალებულის ხელებსავით ღამის ცივი ტალღები... ყრმამ მოწყენილი თვალები შეავლო ნისლებით მოცულ ავადმყოფ ცასა... ჩრდილოეთის უფრო მქისე ბუნება არაფერს ეუბნებოდა ქაბუკის ოცნებასა. პირდაპირ გაშენებულ რკინის გზის საღვარიდან ხანდასმით მოისმოდა ორთქლ-მავალის წივილი... საკმარისი იყო ორთქლ მავალისთვის მოექრა თვალი, რომ დიმიტრის თავისი ქვეყანა მოპოვნებოდა. ომ, მრავალს, მრავალს ფიქრებს აღუძრავდა იგი ქვეყანა... იქიდან წამოიღო მისტიურ თვალთა მეტყველება... ის თვალები აღმოცენდნენ მისს გულში ორ ყვავილად... ეს კია, რომ ლაუვარდის ნამცვრევის ნაცვლად ნიადაგ აფრქვევდა სევდის ცრეპლებს და შიშობდა, ძნიად შიშობდა იგი ყვავილი არ მოესთვლა მდუღარებას... კუბოდ არ ჰქეცეოდა ისედაც ქვითინით დაოსებული გული. როგორც შუა ღამისას აღმოსავლეთისკენ წარვლენილი იების

კვნესა, ისე დიმიტრის ოცნება ჰურინვილა იქით, სადაც არსებობდა მისი ღვთაება... ცისმარე დღეს თითებზე ითვლიდა თვეებს, თუ როდის დაჰკრავდა უამი შინ დაბრუნებისა... თვეები კი წლებად გადაიქცნენ... მაისი ჯერ ისევ დიად მთათა გადაღმით იყო.

— სს — სისინებდა ქარი და იუბნებდა ადამიანისაგან შეუცნობელ ამბავსა...

დიმიტრის საკაეშნოდ მოწყობილ სულს ასლად შეესაბამებოდა ქარის მოთქმა და მიუყურნა კიდეც, თითქოს ისმენდეს სატრფოს ტიტინსა.

მართლაც! დიმიტრის არ ახსოეს მისათან ვისმეს ისე გულახდით ესაუბროს, როგორც ესაუბრებოდა ჭმუნვარების ფრთით მოხეტიალე ქარი.

როდესაც ქარმა იყეჩა, ბინის კარების ზარამ წკრიალი მორთო. ყრმას ყურადღება არ მიუქცევია, ისე იყო ჩაფიქრებული... ფოსტის მოხელემ ეპისტოლე შემოუტანა... დიმიტრიმ სანთელი აანთო, ზლაზენით გაღუბია ეპისტოლეს თავი და უგულის ნებოდ დაიწყო კითხვა. უკურივ ასოები აიშალნენ თავ-თავიანთ აღვილიდან და დაიწყეს უცნაურად ტრიალი... თვითეული ასო გულს ნემსივით ეხებოდა .. თავი ნელ-ნელა დაუმძიმდა... თვალებში ჩამოებინდა, უსტარში ეწერა: „მართლა ტიტო! ჩენი საერთო ნაცნობი თამარო(თუმცა მასთან ორჯელ ფარსაგად არ გვილაპარაქნია, მაგრამ ყველაზე პატივსაცემ ნაცნობად მაინც მიგვაჩნდა) ერთი კვირაა, რაც სოფლად გაემგზავრა. ექიმებმა აუკრძალეს ქალაქად ცხოვრება. საწყალს გულის ავადმყოფობა ჰქონია მე-



მკვიდრეობით გაღმოცემული.“ — როგორ? — გულის შეჭირვებისგან მრთოლავის ხმით წარმოსთქვა დიმიტრიმ... ჩემი თამარი აყად უოფილა! მისი პატია გული იტანჯება, დასნეულებულა ის, ვინც უკანასკნელ იმედად და მივის დუშმან წუთისოფლად.

ჩემო პატაწავ, ყარიბ ოცნების აღმაფრთოვანებელო! უარპყავი ეს ხმები... გენაცვალე, განარინე ჩემს სულს მწუხარება. სიცოცხლის უკანასკნელ ძაფს ნუ ჩამიწყვეტ, შენგანა მაქვს სასოება. შენ კარგად უნდა იყო. ჩემი ცხოვრების კაბალონზე უნდა ციმუსიებდე, როგორც შუქურა და ისე უნდა ნარნარებდე ჩემი სულის წიაღში, როგორც ნიავით აფოფინებულ მდელოზე ნაზი სუმბული. სულის სილალე! რად არ მაუწყუნენ სნება?

ყინვით მოვარაყებულ იალბუზის თხემს ზედ მოვექცეოდი, დავიჩოქებდი და ზენაარს შევავედრებდი შენს თავსა.

ლოცვა-დადადით მთელს კავკასიონს ავაჩქურებდი, ცრემლად დავალხობდი. მთებს ნისლს გამოვსთხოვდი და ცად წარვავლენდი მაჯებლად, რადა განმიკურნოს სატრფო გულისა.

განა ცა ისე გულქვაა, რომ არ ითნოს მულარა? განა იგი ისეთი შურიანია, რომ შემეცილოს, რაყიფად გამიხდეს, წარგიტაცოს თავისს წიაღოთ შინა. სასოებავ! რად, არად არ მაუწყე პატაწა გულის დასნეულება. დიმიტრიმ თვითვე უპასუხა თავისს თავს: რად უნდა ეცნობებინა. თამარმა ხომ არცყი იცოდა ტიტოს გულის თქმა, ხომ არასოდეს მოუსმენია მასი ხვაშიადი.

ქარის ზუზუნი დიმიტრის თუ წელან გულის მოსაოხებლად მიაჩნდა, ახლა პზარავდა... მისს მოთქმაში მოქსმოდა უველა ყარიბთა დაღადი და სნეულთა ქვითინი.

მზად იყო ლუციფელად გადაჭრეულის ყო, ოლონდ კი თვისი ხარხარით ჩაეჭმო ფიქრთა ამრევი ველური მელოდია.

ტიტო რომ სევდის ორწოხებში დაწანწალებდა, მისს ოთახის კარებს ვიღაცა მიადგა და ნებიერის ხმით შეეკითხა: შეიძლება?

ის ტიტოს ნაცნობი ქალი იყო, უმაღლეს კურსების მსმენელი. იგი იყო განსახიერება ჩრდილოეთის სილამაზისა; არავითარი ხინჯი, არავითარი ნაკლი მოვპოვებოდა, გარდა უსიმმეტრიო ცხვირისა, რომელიც ისე აწეულიყო მაღლა, თითქოს აინუნშიაც არ მოჰქონდეს ქვეყანა. მისს თეთრ-ყირმიზა შუბლისა და ღაწვებს ამშვენებდა გვირგვინი ოქროსავით მზადინავი თმისა... ცისფერი თვალები ხომ აბრეშუმის მსვანე წამწამების ჩრდილში საიდუმლოდ ჰლელავლნენ და ოცნებას შიგ სასრბოლად მოიწოდებდნენ.

ვიტია (სახელი ქალისა) ისე იყო დიმიტრისაგან გათამამებული, რომ მას ნებართვას არც კი მოუცადა და შემოაღო კარები.

დიმიტრი თუმცა გულგრილობას არ იჩენდა მისდამი... უყვარდა მასთან ყოფნა, მასთან ლაყაფი. განსაკუთრებით მოწყენის უასეს. ვიტიას შემოსვლის უმაღლიტიტოს დალვრემილი ოთახი გაშუქდებოდა. კედლებზე აციმციმდებოლნენ ხოლმე სიხარულისა და სიმაღლეაზის სხივები. ტიტოს ამ უამად მაინც არ ეპრიანა მისი შემოსვლა და შუბლ შეჭმუხენილმა უგულოდ მოიწვია.

—ღმერთო ჩემო, რა დემონიური გამომეტყველება მიგილიათ. კავკასიონის მთის რომელ გრეხილებზე სრბის თქვენი ფიქრი, ხომ არ მოგენატრად სადმე ფრიალო კლდესთან ჩასაფრება და მგზავრთა გვამებზე სიკვდილის დავლურის გაჩაღება.

აი თქვე ველურებო, თქვენა!
არა, გამოტყდით, ხომ წამოიღეთ აქაც
ხანჯალი?

იმ დღეს თქვენს თანამემამულეს რომ
რალაცას გაცხარებით ედავებოდით, მეგო-
ნა ხანჯლებით შეუტევდით ერთურის.
გაგონილა ისეთი კამათი?

თქვენ ისევ გაჩუმებულხართ.

ხა, ხა, ხა, ხა, მართლა! თქვენ ძალი-
ანა გყვარებიათ სტუმრების ტყუილით
გამასპინძლება. მაგალითად იმ დღეს კავ-
კასისას რომ ჰლაპარაკობდით და იმის
დასამტკიცებლად, რომ კავკასი უშმუები-
ერესი ქვეყანაა დედამიწის ზურგზეო—
სთქვით—ვითომ ბერძენთა მითოლოგი-
აში იყოს მოხსენებული, რომ აპოლონმა
როგორც კი თვალი მოავლო კავკასის
თხემებს, მოიწადინა პარნასიდან იქ გადა-
სახლება ქალ-ღმერთებისა და მუზები-
თურთო.

ამის თაობაზე შევეკითხე ჩვენს პროფე-
სორს, მან მხოლოდ სიცილით მეპასუხა.

არა, გრცხვენიანთ, პატრიოტობის გუ-
ლისათვის ამისთანა სისულელსა სოხზავთ?
მერე ვის მოსალორებლად? ჩემს?

თქვენ ხომ ჩემს რაინდობას სჩემულო-
ბდით. განა ასე გაუმასპინძლდებიან თავი-
ანთ ტროფობის საგანსა?

—უკვე დავმარხე ყოველივე ის, რასაც
ვეთაყვანებოდი. უპასუხა დიმიტრიმ გამო-
ჯავრებით.

—მართლა?! საწყალი ჩვენი ტროფობა!
მერე რატომ არ შემატყობინეთ მისი და-
კრძალვის დღე? გვირგვინით შეუმკობდი
კუბოს—წარმოსთქვა ვიტიამა და გადი-
კისკისა.

ტიტოს სახემაც ღიმილი გამოპატა,
თუმცა გული კვლავ სევდით ჰქონდა გა-
თანგული და უპასუხა:

—ეჭ, ვიტიავ, შენ მხიარულების ჩიტი
გიფრინიავს გულში, მე კი არ მიყურებ
შავ-ბედითი ყორანი ვით დამყრაშერა-
შებს თავსა.

ვიტია მიპხვდა, რომ ტიტოს ამ უძალ
მისთვის არ ეცალა, გამოეთხოვა, თუმცა
კარებიდან მაინც კეკლუცად თითი დაუ-
ქნია დატუქსვის ნიშად და გავიდა.

—ო, ჩრდილოეთის ასულო! —წარმო-
სთქვა ტიტომ, როგორც კი კარი მიიხუ-
რა ვიტიამა—სპეტაკი ხარ, ვით სპეტაკია
მყინვარზე მომზინიავი თოვლი და მომხი-
ბლავია შენი ტიტონი, როგორც მოცარ-
ტის უკაეშნო, გიუმაჟი მელოდიები. წარ-
მტაცი ხარ შენ, მაგრამ უფრო წარმტა-
ცია ჩემთვის არსება, რომელსაც ვჰგიებ
შორს სამხრეთისკენ.

მართალია, იგი ფერ-მკრთალია გუ-
ლის სწებასგან, ვიდრე ბოტიჩელის სიმო-
ნეტა, მისი ხმა სუსტია ვით ნაზი ის
ქვითინი, მაგრამ მაინც მას ვამჯობინებ
ვიდრე მთელი ქვეყნის კეკლუცებს.

ტიტომ დალლილობა იგრძნო და მიწვა
სარეცელზე. ოთახში ბნელოდა... მხო-
ლოდ ერთ კედელზე ქუჩიდან შემოპარუ-
ლი ელექტრონის შუქი ბარბაცებდა.

მეზობელ ოთახიდან მოისმა ჯერ ნელი,
შემდეგ გაიზარდა... აზვირთდა...

ეს იყო კავკასის მელოდია.

ქართველი სტუდენტი, რომელიც იქვე
მეორე ოთახში ბინადრობდა, მღეროდა
„მთაო, გადმიშვი, გადმიშვი!“ -ს.

დიმიტრი გაილურსა, სწებად გადაიქცა.
არასოდეს მოუსმენია ასეთი ელეგიური
სიმღერა. მასა ჰგონია, მელოდიის ჰანგე-
ბი თრთოლით დასტირიან სუნ მიღებულ
ყვავილებს.

მისი შეურვებული ოცნებაც მოქვითი-
ნე ჰანგად გადაიქცა, ჩაექსოვა სიმღერას.

მასთან ერთად გადავლო ტრიალი, ერთ-
ფეროვანი მინდვრები და ევედრებოდა
კავკასიის მთებს გადაეყარათ ტყვიასავით
დამძიმებული ნისლი და გადაეშვათ სწე-
ული სატრფოს სანახავად...

დ. თურდოსპირელი.



იდუმალი ჩანგი

მინისტრა — ამონა ვეგე

ცხოვრების დაღმართზე მიექანება ადა-
მიანის სიცოცხლე... სატანის ხითხითს
ჩაექსოვა ეს იდუმალი ჩანგი ცხოვრებისა...
სიკვდილი მღერის სულთათანას...

— ბედნიერება კი, ჯერ შორს არის!.. —
ეს გზა ბედისწერისაა!..

— ეჭ, ვინ უწყის, თუ სად ჩამქრალა
იმედებით აღსავსე რწმენის ლაშპარი...

— ეჭ, ვინ უწყის ბედის ეტლი სად
მიგვაქროლებს, სად გადაგვტყორცნის...

— არვინ უწყის საიდუმლო ამ სოფ-
ლისა.

წელიწადები კი მიჰქრიან... საუკუნეს
საუკუნე აღარ ახსოეს... სიკვდილის ორ-
გიაზე უხმობს ავ სულებს სათანაელი...
სიკვდილის ხუნდი სჭედს საუკუნებს, —
მაგრამ გასწყდება...

— კოლხიდის მთები რაღაცას ელიან...
უკვდავია და დაუსრულებელი მათი ლო-
დინი.

და მიჰქრის ასე, მიჰქრის ასე ეს ცხოვ-
რება ჩუმათ, შეუმჩნევლად. ადამიანს არ
სურს ბედნიერება. წელიწადები მიჰქრი-
ან, — და იგი ამას ვერ ამჩნევს.

— სიკვდილის ანგელოზი კი ცელს იქ-
ნევს — მაგრამ მას ესმის ადამიანის სულის
კვეთება, — და ხელი უკანკალებს. გაცრე-
ცილ ტუჩებზე ამოიკითხა იდუმალმა ხმამ
მათი უმანკო და უმწიყვლო სიყვარული;
მან ინახულა უფსკრული საშინელებისა, —
სადაც პირმშო გვამს იკრავდა საფლავის
სიცივე და დედის მხურვალე გულ-მკერდს
ვერ გაეთბო იგი.

ოხ! რა კარგი იყო იგი პირველი სი-
ყვარული, რომელიც ეკუთვნოდა საკანე-
ში დატყვევებულს ახალგაზდა ჭაბუკს.
მან ინახულა იგი მთვარიან ღამეს.

ის ეკვროდა მას... ესმოდა მკაფიოდ
მისი გულის ფეთქა, — უხაროდა ყვავილებს
მათი სიყვარული... უხაროდათ ზღვის
სფეროებს, ღამის იდუმალობას, ღილის
საოცნებო ჩანგს.

— მხოლოდ ამ დროს, ერთხელ მხო-
ლოდ აკვნესდა იდუმალი ჩანგი, — და მა-
შინ შვება, სიხარული იგრძნო დაღლილ,
დაქანცულმა სოფელმა.

მაშინ მგოსნის ჩანგმა ტკბილი მელო-
დიები უმღერა სამშობლო მხარეს. უხა-
როდათ ყვავილებს, — უხაროდათ ნარგიზს,
იასგანს...

ზღვის თბილი ტალღები უმღერდენ
თავისუფლების სიმღერას.

ისინი ბედნიერნი იყვნენ...
მახსოვეს...

მახსოვეს, და ნუ მომაგონებ მეც განვ-
ლილ წუთებს, ყვავილო!

მახსოვეს შემოდგომის სუსხიანმა ქარმა
როგორ გაიტაცა უკანასკნელი ტრფობის
ყვავილი, და არ ვიცი, არა, სად დასა-
მარა?..

მახსოვეს, გაზაფხულის ნელი სიო ჰქო-
და, — სურნელებით დამტკარი ასე სიხა-
რულს მისცემოდა, — ყველას, და ყველა-
ფერს ნეტარების ღიმი უკრთოდა. ცეცხლის
ბურთმა უკანასკნელი შუქი სტყორცნა
კოლხიდის მთებს და შორს, მთებს იქით
გადასრიალდა, მდინარის ცელქათ სრბო-
ლა, ტალღათ სიმღერა, ყრუ, გაურკვე-
ველ სიმღერით იქცა. მის ჰანგებში გაის-
მა ჩუმი, ნაღველთ ბერა.

ტყეში მონობა სიცოცხლე... დამგლო-
ვიარებული ხეები მზეს მისტიროდენ, —
საყვარელ მზეს, მზე კი, მზე, დაუსრუ-



ლებელ უფსკრულში ჩაინთქა. წამი და მოლივლივე ცელქი ტალღები, ცის მკრთალ აფერადებულ ზეირთებს ჰკოცნიდენ...

გაცრეცილ ცის კიდურზე ამოიპარა მთვარე, — მან დააგდო ძილის სამყარო და ლაუგვარდისაკენ მოილვტოდა. სულის იდუმალი მეოლოდია აღმოსავლეთს მკრთალ ფერადებს შეჰკვენესოდა.

მახსოვს, ამ დროს მომეურდნო მკერდზე იგი და ჩამჩურჩულა: „შენი ვარ, შენი თვით სამარემდისო“ — ოხ! რა კარგი იყო მაშინ!..

— მაგრამ განა ყოველივე ხანგრძლივია ამ სოფლად?..

დაიცრეცა სიყვარული, — დაიმსხვრა სიამის ჩანგი და, უკანასკნელი სევდის აკეთრდი მიმოეფინა ჩაგრულსა მხარეს... .

— სიყვარული არ არსებობს, — არარა სებობს ჩამომძახის იღუმალი ხმა, — უკვდავია ამ ქვეყნად მხოლოდ ბორკილები, უკვდავია იღუმალი ჩანგი...

არარა ა მხოლოდ ამაოება, — არარა — ადამიანის სიცოცხლე...

და მიჰქრის ასე, მიჰქრის ასე ადამიანის სიცოცხლე უამთა დაუსრულებელ უფსკრულში...

ცრემლის ზღვა დადგა, — მაშვრალთ ცრემლით აივსო ტანჯვის ფიალა, მაგრამ ჩანგი იღუმალი ამხნევებს მას.

— „ნუ იცრემლებით, — მოსჩანს ცისკარი, განახლების ჭინამორბედი, — და მე უცდი ამ ცისკარს.

უცდი, — მაგრამ სად არის დასასრული, სად?..

დაუსრულებელია ლოდინი!!.

ს. ბაირონიშვილი.

ბუნება და სამკურნალო მეცნიერება

პირიანა

(წერილი შესახებ)

„ყველა ერთისოფვის
და ერთი ყველასოფვის“
(დებულება)

„ზოგი ჭირი მარგებელია“, ამბობს ხალხური სიბრძნე. 1830—40 წლებში ევროპას რო დიდ ხორცებითა არ განეცადა, იქნება დღესაც ჭკუა-გონებას არ ჩავარდილიყო... ყირიმის ომაც 1853 წ. ძლიერ გამოაფხიზდა ევროპის ხალხი და მთავრობანი. თოვთი და ზარბაზანი არ ანადგურებდა იმდენს მეომარს და ხალხს, რამდენიც, ომის გამო გაჩენილს, გადამდებ ჭირს მსხვერპლი მიჰქონდა *).

ყირიმის ომის შემდეგ დამტკიცეს საერთაშორისო ჰიგიენური საზოგადო კანონ-დებულებანი და ყველა სახელმწიფო

*) შეადარეთ ყირიმის თმის ოუს-იაშონის თმი. ჭრდა რაღაც 50 წლის განმავლობაში ხედავთ რა მდეგნად განვითარდა ჭიგირური სწავლა. ბრძოლის გელზე რო შილიონამდე ჰილურები და ჰირშტეგები ტრიალებდა, მაგრამ გერაფერმა ჭირმა აქ ფრთა ვერ გა-

ფოსთვის საფალდებულო გახადეს. მას შემდეგ ახლა იმ აზრს დაადგნენ, რომ მარტოდ და მხოლოდ გვირგვინოსანის და წარჩინებულთა გვამთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ფიქრი ამაო არის. უნდა მთელს სახელმწიფოებს, მთელს კაცობრიობას მივაქციოთ ყურადღებაო—მხედრობა და ხალხი, მდიდარი და ღატაკი იმ გვარ ჰიგიენურ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რომ ვერავითარმა ჭირმა ფეხი ვერსად გაიჩინოს, კერა ვერსად დაიღასო.

„ყველა ერისთვის და ერთი ყველას-თვის“—თუ გინდა, რომ ჯანმრთელი, დღეგრძელი და ბედნიერი იყო, ეცადე რომ შენი მეზობელი (მტერია იგი თუ მოყვარე) ჯანმრთელი, დღეგრძელი და ბედნიერი იყოს. აი ეს არის ჩვენი დროის ჭეშმარიტი მცნება და მთავრება. ამ იდეას უნდა ვმსახურებდეთ ყველანი.

დიალ, ჩვენი დროის პრაქტიკული ჭკუა იმ აზრს დაადგა, რომ ღარიბ-ღატაკს როცა რითიმე ჰშველით, ეგ ქველმოქმედებად ნუ კი მიგაჩნიათ; მაგით მხოლოდ თქვენს პირად ინტერესს იცავთ—ცეცხლს აქრობთ, რომ თქვენი სახლიც არ გადაიწვას.—ვინაიდგან თუ მშიერს არ გააღლობთ, შიშველს არ შემოსავთ და კარგს ბინას არ გაუჩენთ, აშკარაა ეს კაცი ჭირის მსხვერპლად გახდება, ჭირის ბუდეს გააჩენს და თუ რო ხელაც არ განკურნავთ, ვაი თქვენს თავს, სულ ერთია მისი ჭირი თქვენც გეწვევათ—მდიდრად მოქარგულ თქვენს სახლ-ღარბაზში შემო-

შალა. ადგილთბრივ აქთაბდენ, ან გავიხსენთ განველიალ წელს შავი ჭირი რთ გაჩნდა კლადიგასტროგმი. უწინდევ დროს მთელს ქვეურებას მოვდებოდა, მაგრამ ჭირიენაშ ადგილთბრივ მთსპო.

გივარდება და თქვენს უსიყვარულებას შვილს, ანუ გულის მეგობარს წუთი-სოუფელს გამოასალმებს.

ჰიგიენურმა სწავლა-მოძღვრებამ მეტად თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას. ჩვენს დროს მეტად ძნელი ღაა და ძნელადაც წარმოსადგენია, რომ განათლებულ კვეყნებში, შეგნებულ ხალხში, რომელიმე ჭირი უწინდებულად და მძინვარებდეს და ხალხი ჯიანჭველასავით მუსროს.

შავი ჭირი და ხოჭერა ეხლა დასავლეთ ევროპაში გელარ ფარფაშობს, ფიცხლავ აჰკიდებენ ხოლმე გუდანაბადს. საოფლე სახადი გერმანიაში იშვიათი მოვლენა-ლაგანდა და იმასაც გარედან თუ შემოიტანს ვინმე. უფაფილისაგან დაჩენჩილს, ჩოტურა პირისახეს მთელს გერმანიაში წამლადაც ვეღარ იპოვით. ეს იგი იმათ, ვისაც ჩვენი ხალხი ანგელოზებს და ბატონებს ეძახის, გერმანელებმა ბინა აღარ მისცეს, საქართველოსკენ გამოყარეს გამოისტუმრეს—წადით იქ, სადაც სიბნელე მეფობსო.

განათლებული ევროპა აზიელებსაც ძალას ატანს, ჰიგიენურად იცხოვრეოდ და თუ რო ვერა შეასმინა რა, თვით გზავნის ჭირთან საბრძოლველად მთელს ექსპედიციებს—ჯარს და მეცნიერებს რათა ჰიგიენურ სანიტარული ზომებით ცეცხლი და-საწყისშივე ჩაქროს, რომ ევროპასაც არ მოედოს.

დიალ, ბატონებო, კულტურულ ხალხში ჰიგიენური სწავლა-მოძღვრება დიდი სასწაულების მოქმედია.

და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან აღამიანის ტვინი მეცნიერების ქურაში ნაწრობი, ძველი უანგისაგან ხალასღება; სიყრმიდანვე თანდაყოლილს უკუღმართ აზრებისაგან ჭკუა თავისუფლდება,—შავ



და ბნელ ცრუ მორწმუნოებით გაუღენ-
თილს პირბადეს თვალთაგან იგლეჯს,
ბინდს იშორებს. ნება და სურვილი არა-
მიანისა, მეცნიერებით აღფრთოვნებული,
ძველ უვარგის და უმსგავსო ზნე-ჩვეუ-
ლების მახედან თავისუფლდება — ამსხვრევს
გამოფიტულს, სამარცხვინო ტრადიციულ
ბორკილებს და ახალ წმინდა აღთქმისკენ
სულით და გულით მიისწრაფის. მეცნიე-
რება ის შემოქმედი ძალაა, რომლითაც
უძლიური და სუსტი ადამიანიც-კი ყოვ-
ლად ძლიერი ხდება და სულით აღფრთო-
ვანებული უსაზღვრო სიხარულს ეძლევა.
მეცნიერება უნათებს კაცს ახალ და ახალს,
ყოვლად საიმედო, საუკეთესო გზას და
თან ხელთ აძლევს ძლიერს იარაღს და
ძალას კეთილ მიზნის მისაღწევად. ძალა
მეცნიერებისა ორ გვარი ძალაა: სთრგუ-
ნავს სიძნეებს და ჭყნს სინათლეს. ხოლო
ყოველ გვარ ბრძოლაში საბოლოოდ გა-
მარჯვებული რჩება ხალხი, მეცნიერებით
შეიარაღებული, და მისი სახელით მებრ-
ძოლი.

მაშ მივბაძოთ, ბატონებო, დასავლეთ
ევროპას. ქართველი უნდა ქართველადვე
დარჩეს, მხოლოდ აუცილებლად საჭიროა
ქართველის გაევრობიულება. თორემ აბა რა-
სა ჰგავს, ერთი მიბძანეთ, რამდენად უნ-
და იყოს უბედური და უკან ჩამორჩენი-
ლი, ბეჩავი ქართველი ხალხი, რომელიც

დღესაც, ამ მეოცე (XX) საუკუნეში შეა-
გვარ ჭირს და ვარამს ბატონებს ეძახის:
უფავილი ბატონია, წითელა და ქუთხუშა
ბატონია, შეცელ-ეჭილი ბატონია, ნერვუ-
ბით ავადმყოფს ეშმაკეულობა უსხედან,
ანუ წმიდა გითრგის დარისხულია და სხვა
ათას გვარი უმსგავსობა. მთელს საქარ-
თველოს ხალხის ფსიხიკას (სულიერ მხა-
რეს) სამას სამოცდა სამი წმიდა გიორგე-
ბი განაგებენ.

დიალ ბატონებო, აქ ალაგი არ არი
ყველა ცრუმორწმუნოება ჩამოვთვალოთ
და ის ღვდლებიც დავასახელოთ, რომელ-
ნიც კი არამც თუ ეწინააღმდეგებიან, პირ
იქით, აქეზებენ კიდეც. ყველა ეს ზემოდ
თქმული სვინიდისის და მეცნიერების წი-
ნაშე გვავალებს ჩვენ სხვა სწავლასთან
ერთად ეს ჭიგინური სწავლა-მოძღვრებაც
ხალხში გავაგრცელოთ, ხალხს უქადაგოთ
და ბუნებრივი, გონიერი ცხოვრება ვას-
წავლოთ, ევროპიელს დავწიოთ. და მგო-
ნი რო, ღვთის წინაშე დროც არის. გაშ
ვისწავლოთ ჯერ ჩვენ.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება)

P. S. საკიორველება ის არის რო ი
დალოცვილი ღმერთიც და წმ. გიორგე-
ბიც მხოლოდ ჩვენ, ქართველებს გვრის-
ხამს და განათლებულ ხალხს კი არა.

ჯერ.





შინაური მიმოხილვა

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპეკტორის ბ. გასპარიანცის „მოღვაწეობაში“ გურიაში და ბათომის ოლქში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში.

ასე გასინჯეთ, თვით რუსი „ნაფიცი პედაგოგიებიც“ - კი აშფოთებული არიან უკანასკნელის საქციელით სახალხო სკოლების მართვა გამგეობის საქმეში.

ბევრი მათგანი მეკითხება: „ნუ თუ გაზვიადებული და გადამეტებული არ არის ყოველივე ის, რაც ბ. გასპარიანცი რუსულ და ქართულ პრესსაში იწერებაო?“. ჩვენ ამაზედ შემდეგს ვუპასუხებთ:

ის, რაც აქამდის გასპარიანცის შესახებ გაზეთებმა გამოაქვეყნეს, არამც თუ გაზვიადებული არ არის, არამედ სრულს სიმართლეს შეადგენს და დამყარებულია უტყუარ ფაქტებზედ.

რომ მკითხველი საზოგადოება უფრო დარწმუნდეს, თუ რა მოხელეების ხელშია ჩვენში სწავლა-განათლების საქმე, იძულებული ვართ სავსებით, უცვლელად გამოვაქვეყნოთ ერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომლის გაზეთების ფურცლებზედ აღნიშვნა, ცოტა არ იყოს, ჩააფიქრებს და გააწითლებს კავშასის სამოსწავლო უწყების წარმომადგენლო... .

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს, ბ-ნ კრუპსკისაც კი ვერ აუტანია გასპარიანცის ონბაზობა და მის მიერ სამსახურში ჩადენილი ბოროტმოქმედებანი.

აი რასა სწერს იგი (კრუპენსკი) ოლ-

ეს მზრუნველს ბ. რუდოლფს რაპორტი 4 ენდენისოვეს 1912 წ. № 5247).

„ვაბრუნებ რა ბასილეთის ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლის ივანე გიორგიძის თხოვნას, მაქვს პატივი წარმოვუდგინო თქვენს აღმატებულებას პასუხი სახალხო სკოლების მესამე რაიონის ინსპეკტორის ბ. ტერ-გასპარიანცისა და უპატივცემულებად მოგახსენოთ შემდეგი:

დაუსრულებელის მიწერ-მოწერიდან მესამე რაიონის მასწავლებლების საჩივრებისა გამო იმავე რაიონის სახალხო სკოლების ინსპეკტორის მოქმედებათა შესახებ ყოვლის ეჭვს გარეშე გამოირკვა, რომ ტერ-გასპარიანცი მოკლებულია ნიჭისა და მოხერხებასა, დაამყაროს სათანადო, სწორი და კორექტული განწყოფილება მის ხელქვეით მასწავლებლებთან.

მთავარი ძირითადი მიზეზი მისი განუწყვეტელი უსიამოვნობისა და გაუგებრობისა მასწავლებლებთან არის არ ქონვა პირდაპირობისა, გულწრფელობისა და სამართლიანობისა მის სამსახურში, როგორც მის ხელქვეით მსახურებთან, ისე დირექტორის და უმაღლეს სამასწავლებლო მთავრობასთან.

ტერ-გასპარიანცი, რომ დაემსახურებინა მასწავლებლებში სახელი, ერთობ განუსაზღვრელად გულუხვი იყო ყოველნაირ დაპირებებით, სიტყვით თუ საქმით ჰპირებოდა და ყურადღებას არ აქცივდა იმას, შესაძლებელი იყო თუ არა აღსრულება და დაიმსახურეს თუ არა იმათ, ვისაც აძლევდა. ბ. გასპარიანცი უველა



ჰპირდებოდა მასწავლებლობის ადგილებსა, გადაყვანას უკეთესს ადგილზე, შემწეობას ფულით, ჯამაგირის მომატების და სხვ. რასაკვირველია, ასეთი დაპირების მიმღებნი გასპარიანცისაგან ვალდებულია რაცდნენ თავის თავს, შეეწუხებინათ როგორც ის, ისე დირექცია უდიერის თხოვნებით და ასე გასინჯეთ, დაპირებულის აღსრულების მოთხოვნითა. მაშინ ბ. გასპარიანცმა საქმე მოაბრუნა და აუწყებდა რა დირექციას ძალიან არა კეთილსაიმედო აზრებს იმ პირებზედ, რომელნიც მან წასწია წინ და დაამედა პირფერული დაპირებით, შუამდგომლობდა დისკიპლინარული სასჯელი მიეყენებინათ მათვის და სამსახურიდან ჩამოეყენებინათ.

როგორც ზომა არ იცოდა ბ. გასპარიანცმა მოუფირებელ დაპირებებში, აგრეთვე უზომო იყო მისი არაკეთილსაიმედო მოხსენებანი მოსამსახურე პირებზე, რომლებიც გრძნობდნენ იმის განკარგულებათა უქმაყოფილებას. ამის გამო ისეთი შთაბეჭდილება გამოაქვს კაცს, თითქო ბ. გასპარიანცს სურს შური იძიოს იმათზე, ვინც კი გაბედა მისი სამდურავი.

მუდამ ყალბმა მხილებამ ბ. გასპარიანცისაგან მასწავლებლებისა, მიუხედავად იმისა, რომ მე ვაფრთხილებდი იმას, იქნამდე მიიყვანა საქმე, რომ მან დაპარგა მასწავლებლების თვალში ყოველი ნდობა, გამოიწვია მტრული განწყოფილება იმათ მხრივ, განსაკუთრებით გურიაში და დირექციაც დავიდარაბაში ჩაგდო. დირექცია ვერ ხედავს შესაძლებლად ნდობით და რწმენით მიექცეს მის მოხსენებას.

მოკლედ დავახასიათეთ რა ბ. ტერ-გასპარიანცი, მე უნდა მოგახსენოთ, რომ მას უთავბოლოდ უყვარს ლაპარაკი, ხოლო იმ ცოტასაც, რასაც იგი აკეთებს, ცდილობს გააღიდოს, გაბეროს და რაღაც

უშველებელ საქმედ გახადოს, რომელიც მოითხოვს დიდ ძალას და თავის ტეხასა. სიყალბე მასწავლებლთა, დირექციისა და მასზე მინდობილ საქმისადმი უფუჭებს მას ყოველსავე ავტორიტეტს და სრულიად ფუჭად ხდის და მორალურად ამცირებს მის მოქმედებას.

კერძოდ მასწავლებელ გორგიძის საჩივრის გამო საქმე ასეთ ნაირად ხსიათდება.

ბ. გორგიძე ბათუმელი მცხოვრებია, სადაც აქვს სახლი. ბ. გასპარიანცის თქმით, არ არის გაჭირებებაში, უმასწავლებლობაც შეუძლიან ცხოვრება, სამსახურში ცუდი სახელი აქვს დამსახურებული (აჭარის უფროსის მოხსენებით იგი იყო სოფლის მწერალი და პასპორტებით ვაჭრობდა, რისთვისაც სამსახურიდან დაითხოვდა), განიძრახა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებულიყო, თუნდა დროებით, მასწავლებლობის აღგილის მოპოებით. ბ. გასპარიანცი ძალიან გულიანად უწევდა მას მფარველობას: ჯერ მწერლად მიიღო თავის კანცელარიაში, თუმცა, თვით გასპარიანცის სიტყვით, არ ვარგოდა საკანცელარიოდ, რადგანაც იმას ცუდი ხელი ჰქონდა, შემდეგ ისევ გულმოდებინედ გზავნიდა მასწავლებლის მოვალეობათა აღსასრულებლად, თუმცა ბ. გორგაძეს ამისი ღირსება არა ჰქონდა მოპოვებული; ამათან არ მაღავს და ამბობს, რომ სჩადიოდა ამას იმისთვის, რომ დაეხსნა ბ. გორგიძე სამხედრო სამსახურიდან.

როდესაც ბ. გორგიძემ მიიღო მასწავლებლობის ღირსება, ბ. ტერ-გასპარიანცმა დანიშნა იგი ბასილეთის ორ კლასიან სასწავლებელში, რასაკვირველია, განსაზღვრულის აღთქმით, რომ იშუამდებლებდა და დაამტკიცებდა აღნიშნულ სასწავლებელში. ამას მოწმობს მისი პასუხი ბ. გორგიძის თხოვნა-

ზე; ბ. გასპარიანცი 9 ივისიდან ამა 1912 წ. № 2774-თა სწერს გორგაძეს, რომ ბასილეთის სასწავლებლის მასწავლებლად იგი დამტკიცებულ იქმნება მარიამბის თვეში.

არა ერთ გზის გზანიდა ბ. გორგიძეს მასწავლებლად, მაგრამ ინსპეკტორმა ბ. ტერ-გასპარიანცმა ერთხელაც არ დაუნიშნა განსაზღვრული ჯამაგირი და მით მისა საბუთი ბ. გორგიძეს აღეძრა უსაფუძვლო მოთხოვნანი, მიეცათ მისთვის ჯილდო გაწეული ხარჯებისათვის.

დაიმედებულს გორგიძეს ბ. გასპარიანცისა, რომ იგი დამტკიცებულ იქმნება, რასაკვირველია, უფლება ჰქონდა დამდურებოდა ბ. გასპარიანცს ადგილის მიუყემლობის გამო.

უმჯობესი და ბუნებრივი იყო, სრულიადაც არსად გაეგზავნა ბ. გასპარიანცს გორგიძე, როგორც მალიან საეჭვო ყოფაქცევის კანდიდატი, რომელსაც ამასთან მასწავლებლობის ცენზიც არ ჰქონდა, როდესაც იყვნენ უფლება მოსილნი და შემძლე კანდიდატები; უფრო არ უნდა ექმნა ეს იმ მიზნით, როგორათაც ეს ჩაიდინა ბ. გასპარიანცმა, სახელდობრ დამალვა და გადარჩენა მისი სამხედრო ბეგვარისაგან.

არ უნდა მიეცა ბ. გორგიძისათვის დაპირება მასწავლებლად დამტკიცებისა, რადგანაც ეს დამოკიდებულია არა იმისგან — ინსპეკტორისაგან, და რადგანაც ადგილის მიღება ორკლასიან სასწავლებელში მოითხოვს უსათუოდ პედაგოგიურს მომზადებას და გამოცდილებას; ესენი კი ბ. გორგიძეს არა ჰქონდა, არ ჰქონდა არც უფლება ორკლასიან სასწავლებელში თანამდებობის დაპერისა.

ტერ-გასპარიანცის მიერ დაპირება ბ. გორგიძის მასწავლებლობის ადგილისა

არის მიუტოვებელი საქმე უფრო იმითომ, რომ გასპარიანცმა პირველმა დაიცვა ქუთაისის გუბერნიის ინსპეკტორთა კრებაზე ეს გარემოება იმ პირთ, თომელთაც მიღებული აქვთ მასწავლებლობის წოდება ეკზემენის საშუალებით, არ მიენიჭებათ მასწავლებლობის ადგილი მათის სრული პედაგოგიურის მთუმზადებლობით და გამოუცდელობით.

ასეთი დამოკიდებულება ბ. გასპარიანცისა გორგიძისადმი არის ტიპიური და ჩვეულებრივი ფორმა მისი მოქმედებისა სამსახურში: დაპირებანი, დახლართვა და გართულება საქმისა — ყველა ამას იგი თვალის დახამხამების უმაღვე სჩადის ვისიმე წინასწარ დაუკითხავად. ხოლო როდესაც საქმე მივა დაპირების აღსრულებამდე და დახლართულ კომბინაციების გასახსნელიად, ბ. ტერ-გასპარიანცი ყოველთვის პიულობს დამნაშავეს, ხელშემშენელს მისი კეთილი დაწყობილობისას, პირველ ყოვლისა დამნაშავედ გამოდის დირექცია, რომელიც ითხოვს, ადგილები მიეცეს სემენარიელებს და მედალისტებსა, რომელიც უარს ეუბნება, რომ ჯილობების გაცემა არ შეიძლება იმისთანა თანხიდან, რომელიც არ არსებობს და სხვა დამნაშავეთ გამოჰყავთ უმაღლესი სამოსწავლო მთავრობა, რომელიც ცირი თავისუფლებას აძლევს სკოლების ინსპეკტორებს, დამნაშავეა იდამინისტრაცია და სხვ. რომ ვსოდეთ, დამნაშავენი არიან ჟველანი გარდა ბ. ტერ-გასპარიანცისა.

ბ. გორგაძე, ჩემის აზრით. არ არის სასურველი კანდიდატი სამასწავლებლო მოქმედებისათვის. წინანდელმა მისმა სამსახურმა სოფლის მწერლად, მერმე გადამჟერად პოლიციაში, კვალი დასტოვა მის ზნეობრივ პიროვნებაზე, რის დამატკიცებელია მისი თხოვნაც.



ამისთანა მასწავლებლებისაგან ყოველის ლონით უნდა დავითაროთ სკოლა.

დირექტორი ნიკ. კრუპენსკი”.

ამ გვარად, ბ-ნი გასპარიანცი მასწავლებლად ისეთ პირებს ამჟღაპნებს, რომლებიც პოლიციაში არიან ნამსახურნი და იქიდან დათხოვნილი სხვა და სხვა უზნეო საქციელისა გამო (პასპორტებით ვაჭრობა და სხვა). ამისთანა მასწავლებლების შემწეობით გასპარიანცს სურს ჩვენს მდაბიო ხალხში გარყვნილება და უზნეობა შეიტანოს...

სხვა უწყების მოხელეს რომ ამ გვარი ბოროტ-მოქმედება ჩაედინა, როგორიც არის მაგალითად დასხისა სამსედრო სამსახურიდამ და სხ., დადი სხია ამისთანა მო-

ხელე სამსახურიდან დათხოვნილი იქნებოდა და სისხლის სამართლის წესით სამართლში მიცემული, მაგრამ სჩანს ბ. გასპარიანცს დიდი მფარველები უნდა ჰყავანდნენ.

როდესაც დირექტორის და გასპარიანცის შორის დამოკიდებულება გამწვავდა (რაპორტისა გამო), გასპარიანცმა სხვა ხერხს მიმართა.

უმაღლესი სამოსწავლო მთავრობის გულის მოსაგებად, გურიის და აჭარის სკოლებში პოლიტიკანობა უფრო განამტკიცა და მასწავლებლად რუსები და სომხები დანიშნა. ალბად, იფიქრა, შეიძლება ამ ხერხმა მიხსნას და სამსახურიდან, არ დამათხოვენო...

დიმ. დუმბაძე.



პიგლიორგრაფია

ვ. ი. რცხილაძე. „მცენარენი და ცხოველი“ ფასი თრი აბაზი.

უფელე სამეცნიერო წიგნს, ქართულად დაწერილს, უფელა სიამთხვებით უნდა ეგებებოდეს, რადგანაც ამ შერით ჩვენში მწერლებია მართლა სილატაკის შეტს არას წარმოადგენს. ერთ, რომელიც არ ცდილობს უფელებერი შეცნიერება მშემდლიურის ენით შეიძინოს, ხანკრძლივი არ არის და უფელა დარწმუნებული უნდა იუვეს, რომ სხვათა შორის, ჩვენი ერთად ერთი ხსნა სწორედ მშემდლიურ ენით შეცნიერების გავრცელებაშია. სიამთხვებით შევებებულ ჩვენც ამ მოზღვდილ წიგნს, რომელიც შეიცავს აწინდელ შეცნიერთა აზრს ცხოველთა და მცენარეთა შესახებ. მაგრამ გადავიწვერცლეთ თუ არა ეს წიგნი, შირველ გვერდიდანვე სახტად დავრჩით იმ ქართულით,

რომელსაც აუტორი ხმარობს ამ სამეცნიერო წიგნში. აქ არც გრამატიკაა, არც ენის სიმარტივე, რაც აუცილებლად საჭიროა სამეცნიერო ცოდნის გასავრცელებლად და ბეჭრგან არც აზრის ცხადად გამოხატულება სჩინს. ამ წიგნს წინ უძღვის ათ სტრიქნიანი შესაფალი, მაგრამ მისი წარმოთხება ბევრჯელ მოუნდება შეგნებულს მკითხველს, რომ მიხვდეს, თუ რის თქმა უნდოდა აუტორს, შეუგნებელი მკითხველი კი დარწმუნებული გარ გერას გაიგებს, თუნდაც ასჯერაც წაიკითხოს. ძლიერ მოიკავებებს ენის შერით ამ წიგნის მოკლე წანისაიტებაც. აქ შესვდებით სიტყვების ასეთს დასაგებას წინადადებაში: „ხოლო ეს კავშირი ჩვენ წინაპართ, გინც ჩვენი გულტყრობა და ენა შექმნა, მისთი გონიერების ნაშანია და არა ჩვენი დორისა, სამწუხაროდ.“

(გვ. 6). სამწუხ. ოთვ აქ შთავარი და დამცა
კიდებული წინადაღებანი დომისალიგითა არეული. უეჭველათ ავტორს ამის თქმა უნდოდა: ეს
კავშირი არა ჩვენი დორის გთხიერების ნიშა-
ნია, არამედ ჩვენ წინაპართა დორისა, რომე-
ლიაც ჩვენი ენა და კულტურა შექმნა.

ოთვა მცენარეებს და ცხოველებზე იწყებს
საუბარს, (გვ. 9) ავტორი სეთის წინადაღე-
ბას ხმარდის: „მთელი ბუნება იუთია რო დიდ
ნაწილად: ცოცხალი ბუნება, მკვდარი
ბუნება.“ უსათუდ უნდა ითქვას: ცოცხალი
ბუნებად, და მეგდარ ბუნებად, ან უნდა მიემა-
როს წინ—ეს ნაწილებია: ცოცხალი ბუნება
და მეგდარი ბუნება. შემდეგ იქმნება თემულ-
ობა: „ორგორადაც ცოცხალი, აგრედევ მეგდა-
რი ბუნების უველა შემაღებენები სხეულები
(უნდა უველა სხეული) ერთი და იგივე (?)
მარტივი სხეულებიდან წარმოსდგებიან, (ერ-
თისა და იმავე) ერთ და იმავე ფიზიკურს და
ქიმიურს კანონებს ემთხჩილებიან (უნდა ერთ-
სა და იმავე ფიზიკურსა და ქიმიურს კანო-
ნებს). ორგანიზმონი (?) და მინერალები თა-
ვიანთ შედგენილობით და არსებობით ძლიერ
განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“ (უკეთესი ქა-
რთული იქნება განსხვავდებიან ერთმანეთში
და არა ერთმანეთისაგან.) იქმნე ასეთი საო-
ურია დაბეჭდილი მსხვილი ასთებით: განსხვა-
ვება ცოცხალ არსებათა, ორგანიზმო-
თა, და (აქ და უადგილო) მკვდარ სხეუ-
ლებთა, (სხეულთა და არა სხეულებთა) მი-
ნერალებთა (,) შორის (.) მინერალთა
და არა მინერალებთა. აქ მრავლობითი რიც-
ხვის არნაირი დაბლოდვებაა არეული, რაც
ცხადად ამტკიცებს ენის უცდისორისას. ერთს

ცხოველს (იხ. 79 გვ.) ავტორი ისუთხს სახელი
უწითებს, რომლის ხმარებაც მწერლებაში და
ლაპარაკშიაც უზრდებასად უნდა ჩაითვალოს.
არ ვიცით ეს სახელი თვითონ ავტორის მოგო-
ნილია, თუ ხალხი მართლა ასე უწითებს ამ
ცხოველს. ავტორი ხმარდის ტერმინს ჰარაზა-
ტებს, რაც ქართულად მუქთახორის ნიშანებს;
მუცლის ჭია ღრგვალი და გრძელი,
ამ უგაესკენებს ავტორი დედობის უწითებს,
ესეც უხერხელი ტერმინია ჩემის აზრით.
ტრისინა ქართულად ფერტელის ან გრეიილის
ნიშანებს, ავტორი კი შირდაბირ ტრისინას
ხმარდის. ამ სახით ტერმინების მხრითაც ამ
წიგნში ბერის უხერხელობის ეხედავთ, თუმ-
ცა ზოგი ტერმინი შესაფერისიც არის. ამი-
ტრის დორ არის შევიმუშავოთ საერთო სა-
მეცნიერო ტერმინები, რომელ უველას შემძლის
მიღებული ტერმინების ხმარება.

ბ-ნი ვ. რცხილაძის ნაშრომი მაინც უკა-
დების დინსია, სჩანს ავტორი სხვა გამო-
ცემის დაბეჭდისაც აშირებს და ამიტომ,
ჩვენის აზრით, მეტად საჭიროა მიექცეს უუ-
რადება იმ ნაკლის, რაც ამ ჟარტა შენაშენაში
აღვნიშვნეთ. წიგნი დინსია დაწერილებით
განხილვისა და დინსება-ნაკლულებების მი-
უდგომლად დაფასებისა, აწნე-დაწნევისა, რის-
თვისაც ამ ფამად, სამწუხარდ, რაც ღრა გრაქვს
და არც ადგილი უკრნალში. ამიტომ ამ ფამად
გვიმართო მხლოდ ეს მცირე შენიშვნა.

კახაბერი.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.



განცხადებანი

უფლებული საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„შერპებანი“

(წელიწადი შეორე)

გაზეთი წლიურად ღირს 7 მან. ნახევარი წლით—4 მან. სამი თვით—2 პ. 50 კ.
თვიურად ქუთაისში—4 აბაზი. ქუთაისს გარედ—90 კაპ. საზღვარ გარედ 14 მან.

ცალკე ნომერი უგელგან ერთი შაური.

განცხადების ფასი ჩვეულებრივია

რედაქტორ-გამომცემილი პ. ბაბუნაშვილი.

ფულის გამოსაგზავნი მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქ. რაჭდენ დიმიტ. მიქაელ
რედაქტორის მისამართი: პუშკინის ქ., სახლი ქვეშვილისა, № 12.

უფლებული საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ჩვენი დროება“

წელის მთწერის პირბები თბილისში და თბილის გარეთ: წლიურად—5 მან., ნახევა-
რი წლით—3 მან., ერთი თვით 3 აბაზი., საზღვარ გარეთ ერთი ორად მეტი.

ცალკე № უველგან — 3 კაპ.

მისამართი: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Д. З. Сараджева, рядомъ съ редак-
гaz. „Закав. Рѣчъ“, Телефонъ № 12—48. Для телег. Тифлосъ „Дроэба“.

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.

მიიღება ხელის მთწერა 1913 წლისათვის

უფლებული უურნალ

„განიიდაზისე“

(წელიწადი პირველი)

და უფლებული გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

(წელიწადი შეხეთე)

წლიური ფასი უურნალისა ცალკე 5 მან., გაზეთისა 4 მან., ორივე ერთად 8 მან.
სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს რაიგე გამოცემა წლიურად 7 მან.

დაქთმბა. ორივე გამოცემა საოწმუნო ბრივ საზოგადოებრივია.

რედაქტორი მლ. ს. მჭედლიძე.

გამართულია ხელის მთწერა 1913 წლის

„ბაკაცანითისა პე“

(წელიწადი შეორე)

1913 წელს გაზეთი გამოვა კვირაში თრივერ, ხუთშაბათობით და კვირაობით.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 3 მან. 50 კ., ნახევარი წლით 1 მან. 80 კ., ერთი
თვით 1 მან. 40 კ. სიღაძეში და სოფლებში: ერთი წლით 2 მან. 50 კ. ნახევარი
წლით 1 მან. 30 კაპ. ერთი თვით 1 მან. 25 კაპ. ცალკე ნომერი უგელგან 3 კაპ.

გაზეთის გამთწერა შეიძლება მხოლოდ თვის შიგნივე რიცხვიდან.

მისამართი: Г. Сигнахъ К. I. Ткавадзе.

Открыта подписка на 1913 годъ

(2-й годъ издания)

НА ЕЖЕМЪСЯЧНЫЙ ПОПУЛЯРНЫЙ ЕСТЕСТВЕННО-ИСТОРИЧЕСКИЙ
СЪ ИЛЛЮСТРАЦІЯМИ ВЪ ТЕКСТѢ
ЖУРНАЛЪ для САМООБРАЗОВАНИЯ

,ПРИРОДА“

подъ редакціей В. А. ВАГНЕРА (Спб.), проф. Л. В. ПИСАРЖЕВСКАГО
(Спб.) и препод. в. ж. к. Л. А. ТАРАСЕВИЧА (Москва).

содержание:

Философія естествознання. Астрономія. Физика. Хімія. Геологія съ палеонтологією. Минералогія.
Общая біологія. Зоологія Боганица. Человѣкъ и его мѣсто въ природѣ.

ВЪ ЖУРНАЛЪ ПРИНИМАЮТЬ УЧАСТИЕ

Проф. С. В. Аверинцевъ, В. Агафоновъ, проф. Н. И. Апдрусовъ, проф. В. М. Ар-
вольди, лаб. Г. Ф. Арнольдъ, проф. Н. А. Артемьевъ, проф. И. И. Боргманъ, проф.
П. И. Бахметьевъ (Софія), А. Н. Бахъ (Женева), прив.-доц. А. И. Бабчинскій, докт.
геогр Л. С. Берг, астр. С. И. Блажко, прив.-доц. В. А. Бородовскій, П. А. Бѣль-
скій, проф. В. А. Вагнеръ, проф. Ю. Н. Вагнеръ, акад. проф. П. И. Вальденъ,
проф. Б. Ф. Вериго, акад. проф. В. И. Вернадскій, лаб. В. Н. Верховскій, проф.
Г. В. Вульфъ, М. И. Гольдеміт (Париж), проф. А. Г. Гурвичъ, проф. В. Я. Дани-
левскій, д-ръ П. Н. Ліатроптовъ, проф. А. С. Догель, В. А. Дубянскій, Е. А. Ела-
чичъ, проф. В. В. Завьяловъ, проф. В. Р. Заленскій, проф. А. А. Ивановъ, проф.
В. Н. Іпатьевъ, лаб. П. В. Казанецкій, проф. А. В. Клоссовскій, проф. Н. К.
Кольцовъ, преп. Инж. уч. Т. П. Кравецъ, проф. А. Н. Красновъ, проф. Н. И. Куз-
нецовъ, проф. Н. М. Кулакінъ, прив.-доц. Н. В. Култашевъ, проф. Н. С. Курнаковъ,
проф. П. П. Лазаревъ, прив.-доц. М. Ю. Лахтинъ, Н. Н. Лебеденко, лабор. Г. А.
Левитскій, І. Д. Лукашевичъ, д-ръ Е. И. Мардиновскій, проф. А. К. Медвѣдевъ,
проф. М. А. Мензбиръ, проф. П. Г. Меликовъ, проф. С. И. Метальниковъ, Н. А.
Морозовъ, проф. Г. Морозовъ, прив.-доц. А. В. Немиловъ, проф. А. В. Нечаевъ,
проф. А. М. Никольскій, докт. зоол. М. М. Новиковъ, лаб. А. Г. Огородниковъ, В.
Л. Омелянскій, пруф. А. В. Павловъ, проф. Л. В. Писаржевскій, проф. В. В. Под-
высоцкій, проф. К. Д. Пожровскій, Б. Е. Райковъ, А. А. Рихтеръ, А. Рождественскій
(Лондонъ), Н. А. Рубакінъ, проф. Д. П. Рузкій. Я. В. Самойловъ, Я. Ф. Семе-
новъ Л. Д. Винницкій, асс. по као. физ., геогр. С. А. Совѣтовъ, препод. С. И. Со-
зиновъ, лаб. Н. Н. Соковнинъ, проф. А. Н. Сѣверцевъ, проф. С. М. Танатаръ, д-ръ
Л. А. Тарасевичъ,маг. хим. А. А. Титовъ, астрономъ Пулк. обсерв. Г. А. Тиховъ,
проф. М. М. Тихвинскій, проф. В. Е. Тищенко, проф. Н. А. Умовъ, прив.-доц. А.
Е. Ферсманъ, проф. О. Д. Хвольсонъ, преп. А. А. Черновъ, проф. Л. А. Чугаевъ,
А. Н. Чураковъ, прив.-доц. В. В. Шипчинскій, пр.-доц. П. Ю. Шмидть, проф. Е.
А. Шульцъ, д-ръ С. М. Щастный, проф. А. Н. Щукаревъ, прив.-доц. А. И. Ющенко,
преп. А. Н. Яницкій, проф. А. И. Яроцкій.

*Условія подписки: цѣна въ годъ (съ доставкой и пересылкой) — 5 руб.; на 1/2 г.
— 3 руб., ва три мѣсяца — 1 руб 50 коп., за границу на годъ — 7 руб. Допускается
разсрочка: 3 руб. при подпискѣ и 2 руб. не позже 1 мая.*

Подписка на 1/2 года, 3 мѣсяца и въ разсрочку привимается только въ главной
конторѣ (Москва, Мясницкая, Гусятниковъ пер., 11).

Объявленія печатаются въ журнале по следующей ценѣ: на обложкѣ: 4-я
стр., — 100 р., 1/2 стр. — 60 р., 1/4 стр. — 35 р.; 2-я и 3-я стр. — 75 р., 1/2 стр. — 40 р.,
1/4 стр. — 25 р.; Послѣ текста: стр. — 60 р., 1/2 стр. — 35 р., 1/4 стр. — 20 р.

ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА: Въ конторѣ журнала «Природа» (Москва), во всѣхъ книж-
ныхъ магазинахъ, земскихъ складахъ и почтовыхъ отдѣленіяхъ.

Адресъ главной конторы и редакціи: Москва, Мясницкая, Гусятниковъ пер., 11.
Телефонъ № 4-10-81.



ШКОЛА И ЖИЗНЬ

ЕДИНСТВЕННАЯ ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧЕСКАЯ
ГАЗЕТА СЪ ЕЖЕМѢСЯЧНЫМИ ПРИЛОЖЕНИЯМИ.

3-й г.
издания

Открыта подписка на 1913 г.

3-й г.
издания

Задача газеты: тѣсное единеніе школы съ жизнью и семи съ школою; свободное развитіе всѣхъ видовъ школы, отъ высшей до низшей.

Въ число бесплатныхъ приложенийъ на 1913 г., не менѣе 80 лист., входятъ, между прочимъ, трактать о воспитаніи Джона Локка, сборникъ статей самаго выдающагося представителя эксперим. психологіи Стенли Холла и другія классическая произведенія, необходимыя не только каждому педагогу, но и всѣмъ интересующимся школой и воспитаніемъ.

Программа газеты: 1) Статьи по вопросамъ: а) организаціи школы и школьнаго законодательства, б) общепедагогической теоріи и практики. 2) Статьи по различнымъ вопросамъ образованія и воспитанія. 3) Фельетонъ, характеризующій по преимуществу внутреннюю жизнь школы или популяризующій различные стороны знанія. 4) Обзоръ печати. 5) Хроника образованія; дѣятельность законодательныхъ учрежденій, правительства и т. д. 6) Хроника школьнай жизни въ Россіи и за границей. 7) Обзоръ спѣциальной литературы, русской и иностранной. 8) Объявленія.

Освѣщеніе всего, что касается умственнаго, нравственнаго и физического воспитанія школьнаго и до школьнаго, какъ въ Россіи, такъ и заграницей, обеспечивается сотрудничествомъ профессоровъ, преподавателей средней и низшей школы, земск. и город. дѣятелей, членовъ Г. Думы и Г. Совѣта, дѣятелей разл. обществъ и родительскихъ организаций.

ვარ. ბურჯანაძემ განაცხადა, რომ კავკავმა უმთავრესი უურადღება მაქცია წიგნების საწყობის მოწეობას კავკავის განუთვილებასთან; ახსნა ამის მიზეზი და მოიგვანა სტატის-ტიკური ცნობები ქართველების შესახებ თერგის თლექში. იმის აზრით განუთვილების წიგნები საკმისით უნდა ეძლეოდეს, შასუხის მგებელი იქნება განუთვილების გამგებობის თავმჯდომარე, რომელიც გექსილზე მოწერს ხელს.

მათე ბახტაძის აზრით განუთვილებას წიგნები უნდა ეძლეოდეს საკმისით, გექსილობით, რადგან ეს გექსილი გამგებისა, ან კერძო პირის ხელმოწერილი უხერხელად მიაჩ-ნია; ეს წარმოშობს და განამტკიცებს უნდობლობის მთავარ გამგებასა და მის ნაწილის შორის; განუთვილების გამგების თვითიცალური ქადალი სრულებით საკმარის გარანტიას წარმოადგენს. ამასთანავე მოიხსენა, რომ იმ რაითნაში სხვას რავის ეძლეოდეს წიგნები, არც ნისად და არც ნაღდ ფულზე.

კიტა აბაშიძეს გარანტია აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ მთავარმა გამგე-

ბამ ზარალი აცილდს თავიდან; წიგნებით გაჭრობაში შეზღუდვისა და მონოპლიზის შედეგია.

მ. ნასიძე თხოულობს, რომ წიგნები იძლეოდეს საკომისით, გარანტიად საქმარის სად მიაჩნია ოფიციალური ქადაღდი; მთავარმა გამგეობაში წელიწადში თრჯერ ჩაიძიროს ანგარიში; ვექსილი კი სრულებით საჭირო არ არის, რადგან იგი უსერხულობასა და უნდობლობას უფრო წარმოშების. ამასთანავე ვერ გაუგია, რატომ მთავარი გამგეობა არ უნდა ენდოს თავის განეოფილებას? სრულიად საქმარისი იქნება მთავარი გამგეობის მიერ წესიერი კონტროლი.

გ. რცხილაძე. რადგან ერთი და იგივე ვართ და ქართული წიგნის გაურცელება და გვისახავს მიზნად, ამის გამო მთავარმა გამგეობაში უოველნაირად ხელი უნდა შეუწიოს ამ საქმეში განეოფილების. მაგრამ მთავარმა გამგეობაში ანგარიში უნდა გაუწიოს განეოფილების მდგრძალებლასაც; უველა განეოფილება ხომ ერთნაირად ვერ იქნება გამგეობის ნდობით აღჭურვილი, გასაგზავნ წიგნების რაოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს მთავარი გამგეობის მისაზრებაზე; გარანტიის წინააღმდეგია.

ღ. კარიქაშვილი. წიგნების გაჭრობა კომერციული საქმეა. მის წარმოებას, დიდი მხენვაბა, წინ დახევულობა და გნესაკუთრებული უნარი უნდა. უამისოდ წიგნების გაჭრობა ზარალის მეტს არაუგერს იძლევა. რომ განეოფილებას იძლევული იქნება ეს საქმე შესაფერად აწარმოვნონ, საზოგადოების მთავარმა გამგეობაში ნისიად არ უნდა აძლიას წიგნები უგრანტიოდ; რანაირი იქნება გარანტია, ეგ სხვა კითხვაა, ერთ-ერთ გარანტიად გამგეობას აქმდე მიაჩნდა და ვექსილის ჩამინთმება იმ შირთაგან, რომელიც საქმის რიგინად წარმოების პასუხის გებას კისრულობდნენ. აქ მე უხერხელობას არ ვხედავ. განეოფილები, მართალია ნაწილია ჩექნის საზოგადოებისა, მაგრამ ვექსილის განეოფილები კი არ იძლეოდნენ, არა უკრძალვით შირთი შირთი, რომელიც საქმეს კისრულობენ, არც უნდობლობაა აქ განეოფილებისადმი. ეჭვი არ უნდა გვექნდეს, რომ განეოფილების სათავეში მდგრძალი შირთი უკეთად ჰატიონებია არას და იქნებიან, მაგრამ იმისი ეჭვი კი შეიძლება იყვეს, რომ უკეთად ერთნაირი უნარი ჰქონდეს წიგნის გაჭრობისა. აი ამიტომ, რომ არსებოთად თავიათ ჯაბით იქნენ დაინტერესებული კერძო შირთი საქმის კარგად წაევანაშია, რომ შესაფერის მუჟამთბოთ და წინდახედულობათ აწარმოებდნენ გაჭრობას განეოფილებები, საჭიროდ ვხედავთ ვექსილების ჩამორთმევას ამ საქმის წამიართველობაგან. მაგრამ შეიძლება სხვანაირი გარანტიაც იყვეს. ეს იქნება საზოგადოების გამგეობის აზრით მახლობელის უკადებების დაჭერა, სამდგრილის განტროლის დაწესება და იმნაირის წესების შემთხვება, რომელთა ასრულება განეოფილებათათვის საგადღებულო იყოს.

ი. ალექსიშვილი.—ფოთის განეოფილებას სასურველად მიაჩნია წიგნის მაღაზიის გასხვა. ქალაქში ადგილიც მოგვცა, მაგრამ უფერებლივის გამო მაღაზია ვერ გაჭირებულით. მაადაზია აქვთ სამსების და წიგნების ძირიად ჟენდიან. 8 აპრილს კრება გვაქვს და ამ საგანს კრებაზე გადავწეველთ. საჭიროა, რომ მთავარი გამგეობა ნდობით გვექმენდოს, წიგნები საჭმისით გვაძლიოს და ვექსილის არ თხოულობდეს. უხერხელია ვექსილის თხოვნა.

გ. ნასიძე.—შროტესტს აცხადებს იმ უნდობლობის გამო, რომელიც გამიახსატა დ. გარიბეძეშვილის სიტყვაში. უნდა სრულის ნდობით გვიმპეოდეთ, სოლო კანტროლი გაშვილ განეოფილებას გაჭრობის საქმეში. ასეთს განტროლს დიდის სიამოგნებით მივიგებებით.



ოფიციალური ქადალდი, რომელსაც განუთვილება გაუგზავნის მთავარ გამგებას, სრული გარანტია. განა განუთვილებაში სხედას მთვლე ჭეშის პატრიონი, რომ ისეთს უბრალო საქმეს, როგორიცაა წიგნის გატრაბა, ვერ გაუძღვენონ?

თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი განმარტავს, რომ გამგების წევრს დ. კარიჭაშვილს ისეთი არაური უოქვამს, რომ ასეთი ცხარე შენიშვნა გამოწვია, როგორიც ინება ბ-ნმა მ. ნასიძემა.

ს. რ. გორგაძე.— მ. ნასიძის უგანასკნელმა შენიშვნაში საგანი დააბინება. „გულტურის“ მაგალითი არ გამოდგება, რადგან „გულტურას“ უფლება აქვს, უმეტე შირობა არ შეუსრულა ბარათის მიმცემის, უჩივლოს სამართალში და გადასცდევინოს ფული. მთავარი გამგება ვერ უჩივლებს თავის განუთვილებას; ეს ხომ სასაცილო იქნებოდა. ვექსილი სასკიროა მისისათვის, რომა კაცი საკუთარის ჯიბით აგებს პასუხს, მაშინ მხედ იმაქტებების, მაღაზიას კანტროლს გაუწევს და ზარალს თავიდნ აიცილებს. წიგნით გატრაბა როგორი საქმეა და სიფრთხილეა საჭირო; ხონის წარმომადგენელმა ნათელი ჰყავ ეს საგანი.

ს. გ. ყიფიანი. საჭიროა ვექსილებს გვერდი აუმცულო და დავკმარეთვილდეთ განუთვილების თვიციალურ ქადალდით.

კრებაშ დაადგინა: საკმარისია საგარანტიოდ ოფიციალური ქალალდი. — ამასთანავე კრებაშ სასურველად სცნო: შემუშავებული იქმნას წიგნით ვაჭრობის წესები, რომელიც წარედგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად მომავალ საზოგადო კრებას.

ლორთქიფანიძე— ჩვენი აზრი ისაა, რომ მთავარ გამგებას დავეხმაროთ წიგნების გავრცელებაში. ამისათვის ფრიად საჭირო გავარკვით როგორ განაწილდეს წმინდა მოგება მთავარ გამგებასა და განუთვილებათა შორის.

შ. მიქელაძე.— პრინციპიალურად უნდა გადავწევილოთ, რომ განუთვილებათა წიგნის მაღაზიებს მეტი პროცენტი დაეთმოთ ვადრე კერძო გატრების. შეუძლებელია, რომ მთავარ გამგების მაღაზიამ არაური მოიგოს, ვინაიდნ მაღაზიას ბევრი ხარჯი აქვს.

შ. დედაბრიშვილი.— პრინციპიალურად მარტო ის გადავწევილოდ, რომ განუთვილებათ მეტი პროცენტი დაუიმოთ შედარებით კერძო შირებთან.

მ. ნასიძე.— წინააღმდეგია უშირატესობისა. გატრაბა არ მოითხოვს ასეთს უპირატესობას. კერძო გატრან დაფთება, რავი გაიგებს, რომ მის მოქაშეს უშირატესობა ეძლევათ. ერთს შირობაში უნდა ვიღებოთ ჩვენც და კერძო გატრანიც.—

მ. ბახტაძე.— ეგ შეუძლებელია, რადგან განუთვილება იხდის მთავარ გამგების სასარგებლოდ თვის შემთხვევის 20% ს.

დ. კარიჭაშვილი.— მოხსრება შედავათისა.

გ. ს. რცხილაძე.— ვეგებას თვის ერთსარი შირობანი დავდოთ, ხოლო განუთვილებებს ფართო ნდობა ადმისტრინოთ. ეს საგანი ასე გადაწევა: სასურველია, რომ მეტი შელავათი მივცეთ განყოფილებათ.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ მთახსენა კრებას, რომ ზოგიერთ განუთვილებას ვერ გადევ კარგად არა აქვს გამორკვეული, თუ როგორ მთაწულს საკუთარი საქმის წარმოქება. ამატომ მთავარი გამგება წინადაღებას აძლევს განუთვილებებს, რომ მათ უგებაშ ერთსა ინიციგი დამყაროს საქმის წარმოქებაში. ამის გამო განუთვილებათა წარმომადგება

ცლებს ევალებათ გაეცნონ მთავარ გამგების კანცელარიაში საქმეთა წარმოებას და უძლებელი იმი ნაირი წესი თანდა თან განახოდნილონ თავიათსა.—ეს წინადაღება ერთხმად მიღებული იქმნა.

მიღებულ იქმნა აგრეთვე წინადაღება, რომ წესდების ზოგიერთი ჩე შეცვლილ იქმნას; მაგალითად: § 2 ჩატარების, რომ საზოგადოება მართავს სადამოს კურსებს და მოძრავ სკოლებს; § 5 — „საზოგადოების“ უფლება ჰქონდეს უძრავი ქონების როგორც შეძენის, ისე გაცემისა; § 19 — „მთავარ გამგებისა და განეფთილებათა გამგების წევრები იცვლებოდნენ ნაწილ — ნაწილ და არა ერთხმად, როგორც ახლაა.

ამის შემდეგ კრებას მოხსენდა, რომ ამ უამად თრი ქართული მუზეუმია: წ. პ. საზოგადოებისა და საისტორია საზოგადოებისა; მოხსენდა აგრეთვე ამ მუზეუმების მოყვავისტორია და წინადაღება მიეცა დამწრეთ გამოსთვას თავიათ აზრი მუზეუმების შერთუბის შესახებ.

არჩილ ჯაჯანაშვილი.—ძველად წ. პ. საზოგადოებას ათასი საქმე აწერა კისრად. დღეს გარემოება შეიცვალა, მოხდა სტერილუზაცია. ოვითოვეულ დარგს კულტურულ მოთხოვნილებისას თვისი ჭირის უფალი გაუჩნდა. ამასკე გხედვთ მუზეუმის საქმეშაც. წინად თუ ჩვენი საზოგადოება იძულებული იყო ეკასრა მუზეუმის გაძლილა, დღეს სულ სხვაა: დაიბადა საისტორია და საეტნოგრაფია საზოგადოება, რომელიც მხედ აგრძებს ძველ ნივთებს. ამ უამად უკვე მამწათებულებული უნდა ჩაითვალოს ის საგანი, რომ საჭიროა ჩვენი მუზეუმი გადასცემი საისტორია საზოგადოებას. საჭიროა ერთი გამგება. სრული ხასია გამეფება, თუ ჩვენი ქონება ჩვენად დარჩა და საისტორია—საისტორია საზოგადოებისად. ერთი სიგელი ერთს თახაში იქნება დაცული, ხოლო მეორე, რომელსაც დიდი გამშირი აქვს შირველთან, მეორე თახაში. ასეთ შირვებიში შეუძლებელია მეტნიერული გვლევა—ძაება. ამის გამო წ. პ. მუზეუმი უნდა გადაეცეს საქართველოს საისტორია და საეტნოგრაფია საზოგადოებას, რომ დაშარდეს ერთი გამგება და მოვლა პატრიოტია.

ს. გორგაძე.—იურისტებს მიგანდოთ გამოიგვლით—გვაქვს თუ არა უფლება გადავცეთ ჩვენი მუზეუმი საქართველოს საისტორია და საეტნოგრაფია საზოგადოებას. ჩვენი საქმე ცოცხალია. სწავლა-განათლების გავრცელებას ასებულ შირვებიში დიდი უნარი და გამრჯელობა სჭირდება. წ. პ. საზოგადოება ვერ უვდის მუზეუმს, ვეღარ იძენს ნივთებს, ვერ ჰყებდებს ხელნაწერებს. ოვით მუზეუმის ინტერესი მოითხოვს, რომ ეკუთვნოდეს იმას, ვისაც მისის მოვლის უნარი და შეძლება აქვს. ამის გამო იგი უნდა გარდაეცეს საქართველოს საისტორია და საეტნოგრაფია საზოგადოებას, რომელსაც ძალ-დონე შესწევს მის მოვლა-პატრიოტიობისა.

გრ. რცხილაძე.—ფორმულის შემუშავება არა ნიმნავს მოთხოვნას დ. სარაჯიშვილი. მა ანდერძით დიდი თანხა დაუტოვა წ. პ. საზოგადოებას მუზეუმის ასაშენებლად. ჯერ აშენდეს შენობა და მერმე ვილაპარაგოთ ჩვენის მუზეუმის გადაცემზე. ესლა კი ადრეა ამაზე დაპარაკო.

კ. აბაშიძე.—ეთნომუება რცხილაქვს. დ. სარაჯიშვილი წ. პ. საზოგადოებას მუზეუმი თავით დაცვის ასაგებად. სხვა ქველმოქმედნიც ასე იქცევან, სწირავენ აზრი ფული მუზეუმის მისაგებად. სხვა ქველმოქმედნიც ასე იქცევან, სწირავენ აზრი ფული მუზეუმის გადაცემზე. ესლა კი ადრეა ამაზე დაპარაკო.

მ. ნასიძე.—წინადაღებია გადაცემისა. მუზეუმის მოსავლელად მთავარმა გამგებისამ



დანიშნოს ცალკე სექტია სწორედ ისე, როგორც იქცევა სომხური კულტურული საზოგადოების და საქართველოს საიტით და სატენიცებაზე საზოგადოების შეგვინახავს მიღითხად დარებულ ქრისტიანობას.

გ. სიხარულიძე.— პატრიოტ მუზეუმისა ისევ წ.-კ. საზოგადოება დანჩეს, ხოლო მოვლა და პატრიოტისა ჩამარდეს საეთნოგრაფიო საზოგადოებას. თავშეჯდომარის წინადაღებით კრებაშ მსჯელობა მოსპოტ ამ საგნის შესახებ.

საჭიროები: 1) „რა ხაკლულევანება აქვს „საზოგადოების“ სკოლების პროგრამას და როგორ შეივსოს იგი; 2) მეურნეობისა და ხელოსნობის შეტანა წ.-კ. საზოგადოების სკოლაში, და 3) კერძო სკოლების შესახები წესები და კანონები“ — გადაეცა გამოსარევებული და კერძოსა და შესაშემსებულად კომისიას. ამ კომისიაში არჩეულ იქმნენ: ა. ბ. მდივანი, ლ. ბ. ბოცვაძე, დ. ბ. გარიბეშვილი, ს. რ. გორგაძე და გ. ბურგულაძე. ამით გთავდა 20 მარტის სხდომა.

სხდომის დასურვისათანავე თავშეჯდომას თავის სთხოვა დამსწრეთ, რომ მეორე დღეს მოვიდნენ კანცელიანიაში; აქ გაიცნობენ საქმის წარმოების წესი, დათვალიერებულ ძირითა სელნაწერებს, წიგნის მაღაზიას და საწერობს და შემდეგ გაემგზავრებიან ქართულს გიმნაზიაში მუზეუმებისა და თვით გიმნაზიის დასათვალიერებლად *).

შესი და პირობები

მმათა ზუბალაშვილთა სტიპენდიერის დანიშვნისა ქართველთა

შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ კამგეობის მიერ.

1. მმათა ზუბალაშვილების სტიპენდიების ნიშნავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა.

2. სტიპენდიები ეძლევათ უპროცენტო სესხად საზოგადოდ რუსეთისა და საზოგარეთის დაბალს და საშუალო სპეციალსა და მაღალს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველებს, უფრო კი რუსეთის დაბალ, საშუალო და მაღალ სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეებს, ან ამგვარსავე სასწავლებლებში ახლად შემსვლელთ, — განურჩევლად სქესისა, წოდებისა და სარწმუნოებისა.

3. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა უპირატესობას აძლევს სტიპენდიის მიღების მსურველთა შორის იმათ, ვინც ცნობილ იქმნება გამგეობის მიერ, რომ ლარიბია, ნიჭიერი, მოყვარე შრომისა და პატრიონი განსაკუთრებულის ზნეობისა.

4. რაოდენობა თვითეულ სტიპენდიისა არის 300 მან. წელიწადში, მაგრამ გამგეობას შეუძლიან ამაზე ნაკლებიც დაუნიშნოს მთხოვნელს სტიპენდიად.

5. სტიპენდია ეძლევა მოსწავლეს იმ ხნის განმავლობაში, რომელიც საჭიროა მისთვის სრულ კურსის გასათავებლად, უკეთ ეს ვადა არ აღმატება 1911 წლის 31 დეკემბერს, ვინაიდგან ძმანი ზუბალაშვილი მხოლოდ ამ ვადამდის არიან სასტიპენდიო ფულს დაპირებულნი.

*) უკნასკნელი დღე გამგეობისა და გნეოთვილებათა წარმომადგენლების შექრებულის სხდომისა დაბეჭდების შემდეგს ნომერში. რედ.

6. სტიპენდიებს ნიშნავს საზოგადოების გამგეობა აგვისტოს დამდეგს, მოლის შემთხვევით განთავისუფლებულ სტიპენდიებს—სხვა დროსაც სასწავლო წლის განმავლობაში. ადგილობრივ ქართულ გაზეთებში გამოცხადებულ უნდა იყვეს, რომ ესა და ეს სტიპენდია თავისუფლიაო.

7. თხოვნები—სტიპენდიები დაგვინიშნეთო—უნდა შემოიტანონ ქ. შ. წ.-კ. გამაურცელებელ საზოგადოების გამგეობის სახელზე სტიპენდიების დანიშვნის ვადის წინ ერთი თვით ადრე მაინც ან თვით მოსწავლეებმა ან მათმა მშობლეებმა და ნათესავებმა.

8. თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) სასწავლებელი (და მისი ფაქულტეტიც ან სპეციალი განყოფილება), რომელშიაც სტიპენდიის მთხოვნელი სწავლობს, აგრეთვე კლასი ან კურსი, რომელზედაც იგი არის.

ბ) სასწავლებელი, რომელშიაც მთხოვნელი მიუღია მოსამზადებელი სწავლა და ის სასწავლებელი (და ამისი ფაკულტეტიც ან სპეციალი განყოფილება), რომელშიაც იგი შესვლას აპირობს.

და გ) ოჯახური და ნივთიერი მდგომარეობა სტიპენდიის მთხოვნელისა.

9. თხოვნასთან წარმოლგენილ უნდა იქმნას შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოწმობა სასწავლებლის მთავრობისა, სადაც მთხოვნელი სწავლობს.

ბ) მოწმობა იმ სასწავლებლისა, რომელშიაც მთხოვნელი მოსამზადებელი სწავლა მიუღია, თუ იგი ახლა შედის დაბალს და საშუალო სპეციალსა ან მაღალს სასწავლებელში.

10. სასწავლებლებში ახლად შემსვლელთ დანიშნული სტიპენდია მიეცემათ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი გამგეობას წარმოუდგნენ თავიანთ სასწავლებლის მთავრობის მოწმობას, რომელშიაც დამოწმებული იქმნება, რომ ისენი მიღებული და ჩარიცხული არიან სასწავლებელში მოსწავლეებად.

11. თუ ასეთი მოწმობა (მუხლი 10) სტიპენდიატმა არ წარმოუდგინა გამგეობას სამოსწავლო წლის დაწყების დღიდან ერთი თვის განმავლობაში, იგი ჰკარგავს სტიპენდიის მიღების უფლებას და მისი სტიპენდია, გამგეობის ამორჩევით, სხვა მთხოვნელს გადაცემა.

12. ყოველი სტიპენდიატი ვალდებულია:

ა) აცნობოს ხოლმე გამგეობას თავისი ადრესი.

ბ) აცნობოს გამგეობას ყოველი თვალსაჩინო ცვლილება, რომელიც კი მოხდება მის ნივთიერ ყოფა-მდგომარეობაში.

გ) გამოუგზავნოს ყოველ თვე გამგეობას საკუთარი ხელმოწერილი კვიტანცია, რომ მან ნამდვილად მიიღო გამგეობის მიერ გაგზავნილი თვიური სტიპენდია.

და დ) ყოველ წელს, არა უგვიანეს პირველ აგვისტოსა, წარმოუდგინოს გამგეობას სასწავლებლის მთავრობის მოწმობა, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს, რომ იგი სასწავლებელში მოსწავლედ ითვლებოდა, კლასიდან კლასში ან კურსიდან კურსზე გადავიდა.

13. გამგეობა სტიპენდიატს მოუსპობს სტიპენდიას:

- ა) როცა ძმანი ზუბალაშვილნი შესწყვეტენ წ.-კ. გამავრც. საზოგადოების განკარგულებაში სასტიპენდიოო ფულის ძლევას.
- ბ) როცა სტიპენდიატი დანიშნულ ვადაზე ვერ წარმოადგენს იმ მოწმობას, მე-12 მუხლში („დ“) არის აღნიშნული და აგრეთვე დააგვიანებს პატივსადებ საბუთს.
- გ) როცა სტიპენდიატი ერთსა და იმავე კლასში ან კურსზე დარჩება და მიზეზი მისი დარჩენისა გამგეობის მიერ არ იქმნება შეწყნარებული.
- დ) როცა სტიპენდიატი კურსს დაასრულებს სასწავლებელში, ან როცა იგი კურსის დასრულებამდის ოვითონ თავს დაანებებს სასწავლებელს.
- ე) როცა სტიპენდიატს დაითხოვენ სასწავლებლიდან, რა მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული ეს მისი დათხოვნა.
- ვ) როცა სტიპენდიატი გამოიცვლის სასწავლებელს ან, ფაქულტეტს გამგეობის ნებადაურთველად.
- და ზ) სხვა მიზეზის გამოც, რომელიც გამგეობის აზრით, საკმაო საფუძველი იქმნება სტიპენდიის მოსასპობად.
14. ყოველი სტიპენდიატი ვალდებულია, როცა მას სტიპენდია დაენიშნება, მასცემ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას ხელწერილი, რომ იგი სტიპენდიას იღებს სესხად და ვალდებულია შემდეგ ში,—სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, გამოვა იქიდან კურს-დასრულებული თუ არა, —სტიპენდიის სახით აღებული ვალი ნაწილ-ნაწილ გადაუხადოს გამგეობას იმ წესით, რომელიც ქვევით არის აღნიშნული. სტიპენდიატი თუ მცირეწლოვანია, ასეთს ხელწერილს სდებს მათთან ერთად მისი მშობელიც, ან პკეკუნი, ან შზრუნველი.
- 15) იმ ხელწერილით, რომელსაც სტიპენდიატი აძლევს გამგეობას სტიპენდიის დანიშვნის დროს, იგი ვალდებულია, ორის წლის შემდეგ დღიდან სასწავლებელში კურსის დასრულებისა ან—თუ სწავლა არ დაასრულა—დღიდან კურსის დაუსრულებლად სასწავლებლიდან გამოსვლისა, დაიწყოს სტიპენდიის სახით მიღებულ სესხის ნაწილ-ნაწილ გადახდა. იმ სტიპენდიატებმა, რომელთაც მუდმივი აღგილი და განსაზღვრული ჯამაგირი ექმნებათ, უნდა გადიხადონ 15% თავიანთ შემოსავლისა ყოველ წელს. ვიდრე მთელს ვალს გაისტუმრებდნენ; იმ სტიპენდიატებმა კი, რომელთაც განსაზღვრული ჯამაგირი არ ექნებათ და, მაშასადამე, ვალის გასასწორებლად მათ მიერ წლიურად გადასახდელი ვერ იანგარიშება შემოსავლის პროცენტების მიხედვით, უნდა გადაიხადონ იმდენი, რამდენსაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა დაუნიშნავს მათ წლიურ გადასახადად.
16. გამგეობას შეეძლიან სტიპენდიის ფული ერთდროულად და სავსებით მოსთხოვოს ყოფილ სტიპენდიატს.
17. იმ შემთხვევაში, თუ ყოფილი სტიპენდიატი განსაკუთრებით შევიწროებულ ნივთიერ მდგომარეობაში მყოფი აღმოჩნდა, გამგეობას შეუძლიან ვალის გადახდის ვადა გაუგრძელოს, აგრეთვე სრულიადაც გაანთავისუფლოს ვალის გადახდის მოვალეობისაგან.
18. ყოფილ სტიპენდიატებისაგან დაბრუნებული ფული, შემომწირველთა სურვილის მიხედვით, ისევ ქართველთა სწავლა-განათლების საქმეს მოხმარდება—ან

ისევ სტიპენდიებზე დაიხარჯება ახლანდელის სახელშოდებით, ან და სწავლა-განათლების სხვა რამ საგნისთვის გადაიდება, რომელსაც აგრეთვე „ძმათა ზუბალაშვილ-შვილთა სახელი დაერქმევა *).

ხელშერილის ფორმა

ПОДПИСКА

19 года дня. Я нижеподписавш...ся, даю сию подписку Правленію Тифлисскаго Общества распространенія грамотности среди грузинскаго населенія въ томъ, что назначенную имъ мнѣ стипендію имени „Братьевъ Зубаловыхъ“ въ размѣрѣ рублей въ годъ я получаю въ видѣ безпроцентной ссуды и обязан. . . всю полученную мною во время ученія въ учебномъ заведеніи сумму стипендіи уплатить названному Правленію Общества распространенія грамотности черезъ два года по выходѣ моемъ изъ учебнаго заведенія взносами въ томъ размѣрѣ, въ какомъ размѣрѣ Правленіемъ Общества грамотности будетъ ко мнѣ предъявлено требованіе объ уплатѣ.

Подпись.....

❖ ० ६ ०

უგანათ. თავადის გრიგოლ დადიანის პრემიის მიცემისა.

§ 1

უგანათლებულების თავადის გრიგოლ დადიანის პრემია - 400 ბანეთი მიეცემა მას, ვინც შეადგენს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუკეთესო თხზულებას: 1) საქართველოს წარსულის ცხოვრების შესახებ, 2) ქართულის ენის შესახებ და 3) ქართულის ძველის ან ახალის მწერლობის შესახებ.

§ 2

თხუზულებას საქართველოს წარსულის ცხოვრების შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელის წარსულის ცხოვრებისა ანუ რომელისამე მის ეპოქისა, 2) სოციალ-ეკონომიკური ისტორია, სრული ანუ რომელისამე ეპოქისა, 3) საკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომელისამე ეპოქისა, 4) სამხედრო ისტორია, 5) იურის პრუდენცია, 6) მითოლოგია.

*) ამავე წესს ხელშედვანების გამგეთა განსვენებულის ნ. ღთდობერიძის სახელთან დასრულების განაწილების დროსაც, მხოლოდ იმ განსხვევებით, რომ ღთდობერიძის სახელის სტიპენდია ექვევა მარტო უმაღლეს საწავლებლის მოწაფეებს. რედ.



§ 3

თხუზულებას ქართულის ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1) ისტო-რიული გრამატიკა ქართულის ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, 2) შედარებითი გამოკვლევა ქართულის ენის შტოებისა, 3) გამოკვლევა ქართულის ენისა შედარებით უცხო ენებთან, 4) ქართულის ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, 5) ქართულის ენის განმარტებითი ლექსიკონი, 6) უცხო ენებთან მონათესავე ქართულის სიტყვების ლექსიკონი, 7) უცხო ენათაგან შემოსულის სიტყვების ლექსიკონი.

§ 4

თხუზულებას ქართულის მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1) ქართულის მწერლობის სრული ან რომელისამე ეპოქის ისტორია, 2) ერთ-ერთის მწერლობის დარგის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, 3) ერთ-ერთის ან რაცდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ-მხრივი შესწავლა და გამოკვლევა, 4) დამოკიდებულება ქართულის მწერლობისა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისამე კერძო ეპოქისა, 5) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

§ 5

საკონკურსო თხუზულება უნდა იყვეს დაწერილი ქართულად.

§ 6

საკონკურსო თხუზულება უნდა იქმნას წარდგენილი წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობაში 1906 წლის 1 იანვრამდე.

§ 7

საკონკურსო თხუზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1903 წელზედ ადრე გამოცემული.

§ 8

საკონკურსოდ წარმოდგენილის თხუზულების გასარჩევად გამგეობა ირჩევს კომეტენტის პირებისაგან სამს საკონკურსო კომისიას: საისტორიოს, საფილოლოგოს და სამწერლოს. თითო საკონკურსო კომისია შესდგება სამის წევრისაგან. ყოველი თხუზულება გადაეცემა განსახილველად შესაფერს კომისიას, რომლის წევრები ერთად ან ცალ-ცალკე, როგორც საუკეთესოდ ჩასთვლიან, კითხულობენ, ერთმანეთში მოილაპარაკებენ თხუზულების ღირსება-ნაკლულევანების შესახებ და ღაასკვნიან აზრს—თხუზულება ღირსია კონკურსისა თუ არა. კომისია თავის დასაბუთებულის აზრის დაწერას მიანდობს ერთ-ერთს თავის წევრს. თუ სამივე წევრი ვერ მოთანხმდნენ, უმეტესობის დასაბუთებულს აზრთან უნდა დართული იქმნას დანარჩენის წევრის დასაბუთებული აზრიც. თუ აგრეთვე წევრთა საბუთები თხუზულების ღირსება-ნაკლულევანებისა სხვა და სხვა იქნა, თვითეული წევრი ცალკე მოიხსენიებს თავის საბუთებს და დასკვნასაც.

(დასასრული იქნება)



სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურული ჟურნალი

კრიტიკული
გვირებულის

„განათლება“

მიღება ხელის მოწერა 1913 წლის თვეს.

(წელიწადი მექვენი)

1913 წელში უურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-
თვის შეს რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. უურნალში იბეჭ-
დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-
ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან;
აქვს თვიური უურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე
უკეთ დასურათებული. უურნალში მთაწილეობას იდებენ უგელა ჩენი საუკეთესო მე-
ცნიერები, მწერლები, ჰერიტები, და პოეტები.

იანვრიდან უურნალში იქნება ცალკე განეოფილება; სადაც დაიბეჭ-
დება უოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამარტინულებელი საზო-
გადოებისა და მისი განეოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი უურნალისა არის თოთი მანეთი (4 ბ.) მხოლოდ
სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს უურნალი
დაეთმობათ წლიურად სამ მანეთად, საზღვარ გარეთ 6 მანეთი. ვინც
წლიურ ფასს უურნალისას იანვრის ბოლომდის გადიხდის, საჩუქრად
მიღებს განსვენებულის იაკობ გოგება შვილის მოზრდილ სურათს.

ხელის მოწერა მიღება ფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რე-
დაქტიაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იგანე ავალი შვილთან.
ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ
ორ ადგილის იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მოწერების დროზე დაიკვეთონ უურნალი.

მისამართი: თიფლის. დვორის გრძინის გიმნაზია. **ლ. გ. ბოცვაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

გამოვა 1913 წ. საზოგადო გუნდი

ნაკადული

(წლიური მეცხრე)

ხელის მოწერა მიღება უურნალ „ნაკადულის“ რედაქტიაში.
გაღვინის პრისტექტზე ზებადვეიდის სახელში № 8. და წერკათხვის გამარტ. საზო-
გადოების მაღაზიაში, თავ. აზ. ქართველა.

1913 წლის 1-ლ იანვრიდან 1914 წლის 1-ლ იანვრამდე წლიური ხელის-მოძ-
წერლებს მიეცემა: მოზრდილთავის 12 წიგნი 3 მან. მცირე წლოვანთათვის 24 წიგ-
ნი 3 მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—3 მან.

ქ. ქუთაისში გამოდის უოველ-დღიურ გაზეთი

„იმპერია“

(წელიწადი პირველი)

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით 4 აბაზი.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ამნარიალ შეუძლიათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მან. პირველ მაისს 2 მან. პირველ ენკენისავეს 2 მან.

თითო ნომერი ერთი შაშრი

მისამართის გამოცემა ათი შაური.

რედაქციის ადრესი: Въ гор. Кутаисъ, редакція газеты „Имерети“. Аntonу Mихailovichу Хеладзе.

უოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიკი და სალიტერატურო ჟურნალი

„პ ლ ლ ი“

(წელიწადი მეორე)

ჟურნალი ღირს წლიურად 5 მან., თვიულად 50 კაპ.

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ცალკე ნომერი უველგან—ორი შაური

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3. რედაქცია „კლდე“.

დეპუტია: თბილისი კლდე.

ოდის ყოველდღიური სალიტერატურო, საგანრო სამეცნ-

ნეო საგლეხო გაზეთი

„ქართლი“

(წელიწადი მეორე)

1913 წლის გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოცილდა. პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის-მოწერნი არიან, ამ წლის განმავლობაში მიიღებენ

ერთ კრებულს

ამ წიგნში დაიბეჭდება ქართველ მწერალთა ნაწარმოებნი, როგორც პოეტური, ისე ბელეტრისტული, ზომით იქნება არა ნაკლებ 250 გვერდისა.

გაზეთის ფასი ოცნებიც გრაში, ისე მის გარეთ დირს წელიწადში 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ერთი თვით 50 კაპ. საზოგადო-გარეთ ერთიანდა.

ცალკე ნომერი უველგან სამი კაპიკი

რედაქტორ-გამოცემელი ი. ეკალაძე-ცინცაძე.

მისამართი: ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს. ფული და მასა-
ლებელ მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს.